

თსუ არნოლდ ჩიქოზავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**არნოლდ ჩიქოზავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტის**

**84-ე**

**სამეცნიერო სესია**

ემღვნება **ალექსი ჭინჭარაულის** დაბადების  
100 წლისთავს

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2024 წლის 23-25 დეკემბერი

თბილისი  
2025

სამეცნიერო სესია გაიმართება ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 202-ე აუდიტო-  
რიაში.

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ნანა მაჭავარიანი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

# მუშაობის გეგმა

23 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ნანა მაჭავარიანი

წიგნის წარდგენა – გ. გოგოლაშვილი, „ქართული ენათმეცნიერების მოამაგენი IV – იოსებ ყიფშიძე“

ნოდარ არდოტელი – ქართულიდან ნასესხები ლექსიკა ჰინუხურ ენაში

მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე – ნაცვალსახელის წარმოების ზოგი საკითხისათვის ინგილოურში

თეა ბურჭულაძე – კვლავ პიესის ენის თავისებურებისათვის

ელიზავეტა გაზდელიანი – სვანური სოციალური ტერმინი *ლფჟკელ* „ქალბატონი“-ს სტრუქტურულ სემანტიკური ანალიზისათვის

გვანცა გვანცელაძე – ზოგი ქართული გვარსახელის „აფხაზურ-აბაზური წარმომავლობის“ შესახებ

თეიმურაზ გვანცელაძე – პირსახელ *ლიპარიტისა* და საგვარეულო სახელ *ბაღვაშის* წარმომავლობისათვის

ლელა გიგლემიანი, როენა ჭკადუა – სივრცითი განლაგების ატრიბუტულმსაზღვრელიანი მიკროტოპონიმები სვანურში

გიორგი გოგოლაშვილი, ქეთევან დათუკიშვილი – ენობრივი ატავიზმის საკითხისათვის ქართულში

ვახტანგ ენდელაძე – რიტორიკული სტრატეგიები და დისკურსული ინსტრუმენტები ქართულ ენაში

თამარ ვაშაკიძე – მუხრან მაჭავარიანი – პოემა „ვახტანგი“

მაკაო თეთრაძე – ადულური ენის ლექსიკონები და ახალი ადულურ-ქართული ლექსიკონის შედგენის პრინციპები

ლიაკარიჭაშვილი – ზოგიერთი ცნების დაზუსტების-  
თვის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში

მაკალაზარტყავა – გარეკომპონენტის შემცველ რთულ  
სიტყვათა მართლწერისათვის

## 24 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – მ. ღლონტი

წიგნის წარდგენა – ნანა მაჭავარიანი, „ენათმეცნიერული შტუ-  
დიები“ II

რომანლოლუა – ხინალუღური ენის ადგილის განსა-  
ზღვრისათვის დადესტნურ ენათა შორის. I. ძირეულ ლექსიკაში მო-  
მხდარი ზოგიერთი ფონეტიკური პროცესის ანალიზი

თამარლომთაძე, გიორგი გოგოლაშვილი – ებ-  
რაელთა ქართული (ტერმინისა და ცნების საკითხისათვის)

ნანა მაჭავარიანი – „გელაზი“ ლექსემის წამომავლო-  
ბისათვის

მედეასალლიანი – სვანურ ღვთაებათა პანთეონის ზო-  
გი არქაული ტერმინის წარმომავლობისათვის. IV. ლაპატრა

თეატეტელოშვილი – ერთი ტიპის კომპოზიტა და  
მათი შესაბამისი შესიტყვებების მართლწერისათვის

ნატოშავრეშიანი, სოფიკოჭაავა – დიალექტური  
მასალის ჩაწერის პრინციპები (XX საუკუნის 10-20 იანი წლების სა-  
არქივო მასალების მიხედვით)

ვაჟაშენგელია – სამი ქართველური სიტყვის ისტორიი-  
სათვის

ეთერშენგელია – კერვასთან დაკავშირებული ლექსი-  
კური ერთეულების შესახებ მეგრულში

მანანაჩაჩანიძე – შიშის ფენომენის პოეტურ-ლინგვის-  
ტური დესკრიფცია შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში *წი-  
თელი და იისფერი*

მერაბჩუხუა – ზოგი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის  
*ღვადა/ გრემი*

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ზოგი კომპოზიტის წარმომავ-  
ლობისათვის ქართულში (1. ჩუმქარი; 2. ნიავექარი)

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – ერთი კორექტურული შეცდომის  
შედეგი [ლუსუმი//ლუხუმი]

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი , დ ა ვ ი თ ჭ ე ლ ი -  
ძ ე – „მცენარეთა სახელების კრებისთი ლექსიკონი“ – კვლევის შედე-  
გები და მცენარეთა ქართული სახელების ერთიანი მოდელი

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ დ ა ვ ა – ფონეტიკური პროცესები მეგრულ  
ნასესხებ ლექსიკაში

## **25 დეკემბერი, 11 საათი**

თავმჯდომარე – **ვაჟა შენგელია**

წიგნის წარდგენა – რ. ლოლუა, „კავკასიის ალბანური ენის  
სტრუქტურა და ისტორიის საკითხები“

### **პროექტი „წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“**

პროექტი (FR-21-2100) ხორციელდება შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური  
მხარდაჭერით

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი – ტრადიციული ხალხუ-  
რი სამეურნეო ყოფის ამსახველი კოლოკაციების ეთნოლინგვისტუ-  
რი ანალიზისათვის

რ ე ვ ა ზ ა ბ ა შ ი ა – სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებუ-  
ლი ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში

ქ ე თ ე ვ ა ნ   მ ა რ გ ი ა ნ ი – მიწის ლოცვის რიტუალთან დაკავშირებული კოლოკაციები სვანურში (ე. კოჟევნიკოვას ტექსტების მიხედვით)

რ ო ს ტ ო მ   ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე – სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ზოგიერთი იდენტური ლექსემა და კოლოკაცია ქართული ენის მთის კილოებსა და ნახურ ენებში

ნ ა თ ი ა   ფ ო ნ ი ა ვ ა – აფხაზური ა-ც° („ხარი“) ლექსემის შემცველი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის

## ქართულიდან ნასესხები ლექსიკა ჰინუხურ ენაში<sup>1</sup>

ჰინუხელი ხალხის ქართულ სამყაროსთან მეზობლობა არაერთ საუკუნეს ითვლის და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ მჭიდრო ენობრივ კონტაქტებზე, რაც სარკისებურად აირეკლა საკვლევ ენათა სიტყვიერ მარაგში. ქართულ-ჰინუხურ ლექსიკურ შეხვედრებზე დაკვირვებისას თვალშისაცემია ქართულ ნასესხობათა სიუხვე და ჰინუხური სახელთა სიმცირე. ეს შეპირობებული ჩანს შემდეგი გარემოებებით: ა) ჰინუხური ენა ძირითადად მოკლებული იყო ქართულთან უშუალო კავშირ-ურთიერთობას, ან ეს ურთიერთობა სპორადულ ხასიათს ატარებდა; ბ) პატრიარქალური ყოფა, უპირატესად დამყარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ტრადიციულ ფორმებზე, აპირობებდა ერთგვარ კარჩაკეტილ ცხოვრებას და ხელს უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის გარესამყაროსგან მოწყვეტას; გ) ქორწინების შიდაეთნიკური ენდოგამიური ფორმები უარყოფითად მოქმედებდა სხვა ხალხებთან ურთიერთობაზე და ანელებდა ლექსიკური სესხების პროცესებს; დ) მცირერიცხოვნობა, რაც სესხების ნაკლებმასშტაბურობას უწყობდა ხელს და ა. შ.

ქართული ნასესხობანი ჰინუხურში შესული ჩანს სამი გზით: ა) დიდოური ენის მეშვეობით, ბ) ხუნძური ენის გზით და გ) საკვლევ ენათა უშუალო კავშირ-ურთიერთობით.

(ა) დიდოური ენით გაშუამავლებულ ნასესხობათა სტრუქტურაში გვხვდება ამ ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, მაგ.: **არხი** (შდრ. სავ. დიდ. 'id.') „არხი“, **ჭაჭა** (შდრ. სავ. დიდ. 'id.') „თვითნახადი არაყი, ჭაჭა“, **ჯამი** (შდრ. სავ. დიდ. 'id.') „ჯამი“, **ჯანდი** (შდრ. სავ. დიდ. 'id.') „თრთვილი, ჯანდი“, **გუთან** 1. „კავი“. 2. „სახნისი“, **ჩითი** (შდრ. სავ. დიდ. 'id.', ხუნძ. ჩით 'id.') „ჩითი“, **თუფი** (შდრ. სავ. დიდ. 'id.') „თოფი“ და სხვ.;

(ბ) ხუნძური ენის გზით შეთვისებულ ლექსიკაში თვალნათლივ დაჩნდება სტრუქტურული ნიშნები და სემანტიკური ნიუანსები, რომლებიც ამ ენისთვის არის ნიშანდობლივი, მაგ.: **ლაგამ** „ქარ-

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-24-10850).

თული ლავაში“, **ზაბასი** „აბაზი“, **აბდალ** „სულელი“, **ბურაჟ** „ბურაო, ბურლი“, **ფანდურ** „ფანდური“, **ჟაირან** „ჯეირანი“, **ლოთი** „ლოთი“ და მისთ.;

(გ) წყარო-ენიდან უშუალოდ ნასესხებ მასალაში ძირითადად დაცულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ჰინუხურ ენაში, როგორც წესი, **ძ** და **ჯ** არ გვხვდება და ისინი იცვლება სათანადო ლოკალური რიგის სპირანტებით (**ძ** > **ზ**, **ჯ** > **წ**), მაგ.: ქართ. **ძაბრი** > ჰინ. **ზაბრუ**, ქართ. **ჯაგი** > ჰინ. **ჟაგი**. ამასთან, რიგ შემთხვევაში შეიძლება სახელობითის ნიშანი სახელს არც ახლდეს, მაგ.: გალაგან (შდრ. ხუნძ. **გა-ლან** 'id.') „ზლუდე, გალავანი“, **თუფლი**//**თუბლი** „ტუფლი“, **მანწილ** „ანწილ“, **ჩოჩხალა** „ჩურჩხელა“ და ა. შ.

რელატიური ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ძველი უნდა იყოს ის ნასესხობანი, რომლებიც უკავშირდებიან ქრისტიანულ ტერმინოლოგიას<sup>1</sup>, ან ძველებური საბრძოლო თუ სამუშაო იარაღის სახელებს, ანდა გამოხატავენ მცენარეულობის და ცხოველების სახელწოდებებს, მაგ.: **საყდარი** „ეკლესია“, **ღურდელი** „მღვდელი“, **ამინ** „ამინ, ჭეშმარიტად“, **კორკოტი** „სიმინდის ბურღული“, **ხირიბ** „ხერხი“, **წარაქი** „წერაქვი“, **ზეკუ** „სოკო“, **შუნდი** „შვინდი“, **კანჭულ** „ჭანჭური“, **ცეკე** „ციკანი“ და მისთ.

ქართული ლექსიკა შემთვისებელ ენაში სხვადასხვაგვარად იცვლება – სათანადო სიტყვა-ფორმები წყარო-ენის ნიშან-თვისებებსაც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ და მსესხებელი ენის ბუნებასაც შეეთვისებიან, რაც შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ა) ლაბიალიზებულ კომპლექსში იშვიათად იკარგვის ლაბიალური კომპონენტი **გ** (ჟ): **ბეზხი** (< ქართ. ვეფხვი) „ავაზა“, ნესი „ნეს-ვი“; ბ) არაბუნებრივი კომპლექსები მოდიფიცირდება: **ბე>ბე**: **მუბქა** (< ქართ. იუბკა) „იუბკა“; **სხ>ხს**: **მახსარა** (< ქართ. მასხარა) „ხუმრობა, დაცინვა“; **რცხ>რც**: **ფარცი** (< ქართ. ფარცხი) „ფარცხი“; გ) ჰიატუსის დაძლევა ხდება ინტერვოკალურ პოზიციაში, ან ხმოვანთა მეზობლად **ი** და **ჟ** სონანტებისა და **შ** სპირანტის ჩართვით: **მარალ**//**მარა-**ლი „იარალი“, ყავურმა „ყაურმა“, **ბეგაჟულ** (< ქართ. ბოქაჟულ-ი) 1. „ბოქაჟული“, 2. „აულის ადმინისტრატორი“; დ) თანხმოვანთა თავ-ყრა ანლაუტში ხმოვნის დართვითაც დაიძლევა: ისტოლი (< ქართ. სტოლი < რუს.); ე) არაბუნებრივი თანხმოვანთა ჯგუფები შეიძლება ხმოვანთა (**ა, ი, უ...**) ჩართვით დაიძლიოს: კარამეტი (< ქართ. კრამი-

<sup>1</sup> ქრისტიანული ტერმინოლოგიის შეთვისება XIV ს.-ის შემდეგ ნაკლებსავარაუდოა.

ტი) „კრამიტი“, ნავუთი (< ქართ. ნავთი) „ნავთი“, წინილი (< ქართ. მწნილი) „მწნილი (კომბოსტოსა)“ და სხვ.

გარდა ფონოტაქტიკური ადაპტაციისა, ფონეტიკური ადაპტაცია ხორციელდება: ა) ხმოვანთა **ასიმილაციურ-დისიმილაციური** პროცესებით; ბ) თანხმოვანთა **სუბსტიტუციით, აბრუპტივიზაციით, სპირანტიზაციით, დეზაბრუპტივიზაციითა და ტრანსპოზიციით.**

რაც შეეხება მორფოლოგიურ ათვისება-ასახვას, ჰინუხურში შესული ქართველიზმები უპირატესად უსულო არსებით სახელებს განეკუთვნება, ამდენად, თუ ადამიანის თვისებები გადატანით არ მიეწერება (მაგ., I კლ. **ბუღა** ფიგ. „მამაცი კაცი“, III კლ. **ბუღა** „ბუღა“), მესამე და მეოთხე კლასში არიან წარმოდგენილი. მრავლობითში, როგორც წესი, **-ბე** ნიშანს დაირთავენ, რომლის წინ ფუძისეული ხმოვანი შეიძლება მოეკვეცოთ, მაგ.: **ცეკე** „ციკანი“ – მრ. ცეკ-**ბე**. შეთვისებული სახელები ძირითადად ძირეული სახელების ანალოგიურად იბრუნვიან.

სემანტიკის მიხედვით, ნასესხები სახელები მეტწილად ორი სახის ცვლილებას გვიჩვენებს: ა) ეტიმონის მნიშვნელობის დავიწროება, ბ) ეტიმონის მნიშვნელობის გაფართოება, მაგ.: (ა): ქართ. ჭაჭა 1. „გამოსახდელი მასალა“, 2. „ალკოჰოლიანი სასმელი“ > ჰინ. ჭაჭა „თვითნახადი არაყი“, (ბ): ქართ. ბურღი > ჰინ. ბურღუ 1. „ბურღი“; 2. „ხრახნი“ და ა. შ.

## მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე, ლ ი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე

### ნაცვალსახელის წარმოების ზოგი საკითხისათვის ინგილოურში

ჩვენებითი და, შესაბამისად, მესამე პირის ნაცვალსახელების კვლევას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ამ საკითხებს ეხებოდნენ თავის დროზე ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ა. მარტიროსოვი, ბ. ფოჩხუა, ნ. ჩართოლანი და სხვ. ამ კვლევათა საფუძველზე გამოყოფილია ქართული ენის ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემაში გამოყენებული სამი თან-

ხმოვნური ძირი: ორი სახელობით ბრუნვაში [ს, ზ] და ერთიც ირიბ ბრუნვაში [მა]:

**ს**- : ესე / ესა / ესი, ისი

**ზ**- : ეგე / ეგა / ეგი, აგი, იგი.

**მა**- : ამა / ემა, იმა (ჩართოლანი 1985).

როგორც ნ. ჩართოლანი აღნიშნავს, **-ს**- ძირიანი ჩვენებითი ნაცვალსახელები დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსთვის, დასავლეთ საქართველოდან – ზემოიმერულისა და რაჭულისათვის, **-ზ**- ძირიანი კი, დასავლეთ საქართველოსთვის. გამონაკლისია ინგილოური კილო.

ინგილოურშიც **ს**- ძირიანი სისტემაა, თუმცა აქ არის რამდენიმე ფორმა, რომელიც დიალექტში მეორე სისტემის პარალელურ არსებობაზეც მიგვითითებს.

ნელი ჩართოლანი ინგილოურში გამოყოფს **-გ**- ნაცვალსახელოური ძირის შემცველ ფორმებს და აღნიშნავს, რომ მათგან ნაცვალსახელის ფუნქცია მხოლოდ ერთს – **ჰიგია** ფორმას აქვს შენარჩუნებული, ხოლო დანარჩენები: **ჰიგი**, **ოგი**, **ოგის** ფორმები, არ მიაჩნია ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციისად და მათ ნაწილაკებად განიხილავს.

მკვლევარი ამ მსჯელობისას ეყრდნობა როგნედა ღამბაშიძის იმ დროისათვის გამოუქვეყნებელი ლექსიკონის მასალებს.

აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი კატეგორიულად უარყოფს ნაცვალსახელოურ შინაარსს **ოგი** // **ოგე** ფორმებთან (ღამბაშიძე 1988, ჩართოლანი 1985), გრ. იმნაიშვილი – მხოლოდ ნაცვალსახელებად განიხილავს მათ (იმნაიშვილი 1966), ნ. როსტიაშვილი კი ხედავს და აღნიშნავს მათ ორივე ფუნქციას: ნაწილაკისა და ნაცვალსახელის (როსტიაშვილი 1978). ვასილ აბაშვილი, უბრალოდ, არ ეხება ამ საკითხს (აბაშვილი 2009).

ნაშრომში განხილულია ინგილოური ტექსტების მონაცემები და ნაჩვენებია, რომ **-გ**- ძირის შემცველი ჩვენებითი და, ასევე, მესამე პირის ნაცვალსახელოური ფორმები დიალექტში შეიძლება შეგვხვდეს არა მხოლოდ ნაწილაკის, როგორც ეს აღნიშნულია ზოგიერთი მკვლევრის მიერ, არამედ ჩვენებითი ნაცვალსახელის, პირის ნაცვალსახელისა და ზმნიზედის ფუნქციითაც.

ნაშრომში განხილულია ფორმები: **ჰიგი**; **ჰიგია** / **ჰიგია**; **ჰეგ** // **ჰეგი** // **ეგ**; **ოგე**; **უგე** // **უგი** // **ჰუგე** // **ჰუგი**... აგრეთვე, მათი მარტივი და ნაწილაკდართული ფორმები. ნაჩვენებია, რომ ისინი ნაცვალსა-

ხელის ფუნქციითაც საკმაოდ ხშირად გამოიყენებიან. გაანალიზებულია განხილული ელემენტების ყველა კონტექსტური მნიშვნელობა და შესაბამისი ინფორმაცია შეტანილია „ინგილოური დიალექტის კორპუსულ ლექსიკონში“, რომელიც მზადდება დასაბეჭდად.

### **ბიბლიოგრაფია:**

**აბაშვილი 2009** – ვასილ აბაშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, მერიდიანი, თბილისი.

**თოფურია 1979** – ვარლამ თოფურია, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში, შრომები III, თბილისი.

**იმნაიშვილი 1966** – გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

**მარტიროსოვი 1964** – არამ მარტიროსოვი, ნაცვალსახელები ქართველურ ენებში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**როსტიაშვილი 1978** – ნათელა როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი.

**ფოჩხუა 1958** – ბიძინა ფოჩხუა, ხმოვანთავსართული ზმნისარტები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები I, თბილისი.

**დამბაშიძე 1949** – როგნედა დამბაშიძე, ინგილოური კილო (დისერტაცია), გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი, თბილისი.

**დამბაშიძე 1988** – ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი.

**შანიძე 1980** – აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი III, თბილისი.

**ჩართოლანი 1985** – ნელი ჩართოლანი, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, თბილისი.

**ჩიქობავა 1925** – არნოლდ ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, თბილისი.

**ჩიქობავა 1966** – არნოლდ ჩიქობავა, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებაში; კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი.

## კვლავ პიესის ენის თავისებურებისათვის

პიესის ენაში გამოყენებული წინადადების სტრუქტურა სპეციფიკურია. თავისებურია მოვლენების დროის თვალსაზრისით გადმოცემა. ავტორი ზოგჯერ ერთმანეთის პარალელურად ანაცვლებს ახლანდელსა და მომავალ დროს, ოღონდ მომავალიც ახლანდელ დროს გამოხატავს. ეს ეხება არა პერსონაჟთა დიალოგს, არამედ სცენის აღწერას: „ახალგაზრდა წამოდგომას **დააპირებს**, მოხუცი მხარზე ხელს **დაადებს**, იჯექითო“; „ყველა ზურგს **შეაქცევს** უცნობს“; „ყველას **შეკრებს** სცენის მარჯვენა კუთხეში, ცოლ-ქმრის გარდა“; „შეყვრებულები **წამოდგებიან** და **შეურთდებიან** მძებნელებს“. ამის პარალელურად კი ახლანდელი დროითაცაა გადმოცემული მოქმედება: „ყველას, მოხუცის გარდა, თოკი **უჭირავს**“; „მოცეკვავეები **ცეკვავენ**, ყველას ყურადღება მათზე **გადადის** და სახეზე ღიმილი **ეფინება**...“

ქართულში ახლანდელსა და მომავალს შორის მყარი ფორმოზ-რივი ზღვარი ყოველთვის არაა დადებული. როგორც ჩანს, დასახელებულ შემთხვევებში ავტორი გარკვეულ მოვლენათა გადმოსაცემად იყენებს მომავალ დროს, ოღონდ იმ თავისებურებით, რომ ერთმა და იმავე ფორმამ შეიძლება ახლანდელი დროის გაგებაც მოგვცეს და მომავლისაც.

ზოგჯერ ორ პერსონაჟს შორის დიალოგი ისე მიმდინარეობს, რომ ერთია მხოლოდ აქტიური მოსაუბრე. ავტორი ისე ადგენს სცენას, თითქოს მეორე პერსონაჟმა უპასუხა და პირველი მას პასუხს სცემს: „აბა, თუ გამოიცნობ. ვერა, ტყუილად ეცდები, იმიტომ რომ წამითაც არ დაუშვებ, ამის გაკეთება თუ შემიძლია – ძალივით გაგადებდი ქუჩაში! რაო, რა თქვი? ძალს ასეთ ამინდში არავინ აგადებს? მე გაგადებდი. დაუფიქრებლად. თუმცა, მართლაც, საზიზღარი ამინდია....რაო, ძალდი არ მყოლია არასოდეს და იმიტომ? მართალი ხარ, ძალდი კი არა, მახლობელი ადამიანი არ მყოლია არასოდეს, ისე გაგატარე ცხოვრება, ისე გავხდი ორმოცი წლისა“.

პიესა ასახავს როგორც მხატვრული ლიტერატურის, ისე გაბმული მეტყველების სპეციფიკას. შესაბამისად, ნიშანდობლივია სათქმელის სისხარტე. ამისათვის ზოგჯერ სცენარისტი ენის ეკონომი-

ურობის პრინციპს იყენებს. კერძოდ, ერთგან ზოგადი მოვლენის აღწერა ან პერსონიფიცირება საკუთარ სახელზე **გა** ზმნისწინის დართვითაა მიღწეული: „ასე **განიკოვდა** ვანო და **გაგანოვდა** ნიკო, ხოლო ბოლოს ორივენი **გაგანოვდნენ**“; (სიკეთისა და ბოროტების განსაზოგადებლად). შდრ. **-ობა** მაწარმოებლის საკუთარ სახელზე დართვით განზოგადებული მოვლენის გამოხატვა: ჯაყობა, ყვარყვარობა, ლუარსაბობა.

## ე ლ ი ზ ა ვ ე ტ ა გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი

### სვანური სოციალური ტერმინი ლგვკელ „ქალბატონი“-ს სტრუქტურულ სემანტიკური ანალიზისათვის

სვანურ ენაში სოციალური იერარქიის გამომხატველი ერთ-ერთი ტერმინია **ლგვკელ** ბზ., ლშზ., **ლგვკელ** ბქ., ლნტ. „ქალბატონი, ბანოვანი, დიდგვაროვანი ქალი“ (სვანური ლექსიკონი). „კნენა, ქალბატონი“ (კ. დონდუა, სვან. ქართ.რუსული ლექსიკონი). „ქალბატონი, თავადის ქალი“ (ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი). აღნიშნული ტერმინი ყველა დიალექტში მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება. ასევე დასტურდება გამოქვეყნებულ ტექსტებში, მაგ.:

(თამარ დედფალს)... მიჩა ლწრტყ ოთარშერ **ლგვკელდ** ხოსჩუქრა... ჰლ ლწრტყ (თენგიზს) დდინანშერ **ლგვკელდ** ლოჰოდა (ბზ., სვან. ქრესტ. 1978: 60) „თამარ დედოფალს თავისი ქამარი ოთარისანების ქალბატონისათვის უჩუქებია... თენგიზ დადემქელიანს ეს ქამარი დადიანების ქალბატონისათვის მიუცია“;

**ლგვკელობ** გლესს ესერ ლჰჰედი ე, ჟი ეჯღჰ დემ იგმარი (დავითიანი, 1973: 65) „ქალბატონობა გლესის ქალს რომ მიეცეს, მაინც ვერ მოიხმარსო“;

**ლგვკელ** ხაშთხუა ოქრემ კუბშუ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ. II, 1967: 195) „დიდგვაროვანი ქალი ოქროს კუბოთი მარხია“;

აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი მრავლობით რიცხვში **-უ** სუფიქსს დაირთავს. მაგ.: **ლგვკალ-უ** ილაფუნალზ წერნი-მეშხად (სვან. პოეზ., 1939: 132,19) „ქალბატონები წითელ-შავად იღებებიან“; გიორ-

გი წერეთელს **ლგფკელ-უ** ხონკრგდა ძერუ (ლმზ., სვან. კრესტ. 1978: 257) „გიორგი წერეთელს ორი ქალბატონი (ქალბატონები) ახლდა“; **ლგფკელ-უ**-ს გლენზრ ხაჯგრაღზ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ. II, 1967: 5) „ქალბატონებს გლეხები თურმე ევედრებოდნენ“.

**ლგ-ფკელ** ტერმინში **ლგ-** პრეფიქსი გამოიყოფა, რომელსაც სვანურში სხვადასხვა ფუნქციები აქვს. აღნიშნულ ტერმინსა და მსგავს ლექსემებში **ლგ-** ქართული **-იან** სუფიქსის ბადალია და რისამე ქონებას გამოხატავს. მაგ.: **ლგ-ფაყუ** „ქუდიანი“; **ლგ-შდიმ** „ყურია-ნი“ და ა. შ. **ლგ-ფკელ**-ში ფუძეა **ფკელ**, რომელიც **ფაკელ** ტერმინიდან უნდა მომდინარეობდეს. **ლგ-ფკელ** ფორმაში **-ა**- ხმოვანი **ლგ-** პრეფიქსის გავლენით რედუცირებულია. შდრ. **გეზალ** „შვილი“ **ლგ-გზელ** „შვილიანი“; **ნედუმტ** „თიკანი“ **ლგ-ნედუმტ** „თიკიანი“; **ნამდექ** „ნამგალი“ **ლგ-ნამდექ** „ნამგლიანი“.

რაც შეეხება **ფაკელ** ლექსემას, დასტურდება ქართულში. **ფაკელი** ძვ. თავს სახვევი (საბა). ფილონი - მოიღო **ფაკელი** დედისა თვისისა (ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი). ამავე ლექსიკონში **ფილონი** განმარტებულია, როგორც სამღვდლო სამოსელი. სასანთლე წინგასამდლოლი გასანათებლად, მაშხალა – რომელსაც მიწერილი აქვს – **ფაკელი**, სასანთლე რკინისა ზედსადგმელი სანათთა ქონისა ან ზეთისა (ნ. ჩუბინიშვილი, ქართ. ლექსიკონი). **ფაკელი** || **ფაკეოლი** – წამოსახამი (ზ. სარჯველაძე, ძვ. ქართული ენა). ამ ლექსიკონში **ფაკელის** პარალელურად მითითებულია **ფაკეოლი** ფორმა. შეიძლება **ფაკელ** ფორმაში **ე** ხმოვნის სიგრძე **ე+ო** ხმოვანთა შერწყმის შედეგი იყოს.

-**ფკელ** რომ **ფაკელ** ფორმიდან მოდის, ამას ადასტურებს ბ. ნიჟარაძის ტექსტი, სადაც აღწერილია ქორწილში პატარძლის ნათესავი მამაკაცი, სიძის ოჯახის ვაჟკაცთა ულვაშს ქალთა მანდილს (**ფაკელ**ს) ავედრებს პატარძლის პატიოსნებას და პატივისცემას. მანდილთან მითითებულია **ფაკელ**.

სავარაუდოდ **ლგ-ფკელ** უნდა ნიშნავდეს ლამაზ თავსაბურავიან, მანდილიან ან მოსასხამიან ქალბატონს, გამორჩეულს სხვა ქალებისაგან.

## ზოგი ქართული გვარსახელის „აფხაზურ-აბაზური წარმომავლობის“ შესახებ

მიმდინარე წელს გამოცემულ თავის წიგნში „Абхазо-абазинские фамилии и родовые имена в картвельской антропонимии“ აფხაზი ავტორი ვ. კვარჭია ცდილობს, აფხაზურ-აბაზური ეტიმოლოგიები დაუძებნოს მრავალ ქართულ გვარსახელს. ის უმეტესწილად არ ითვალისწინებს ლინგვისტური ანალიზის ელემენტარულ წესებს. მოხსენებაში განვიხილავთ რამდენიმე ქართული გვარსახელის შესახებ ხსენებული ავტორის მიერ წარმოდგენილ ზოგ მოსაზრებას.

ვ. კვარჭია 128-ე გვერდზე წერს:

„**Гуана**, абаз. **Гвана**, кабард.-черкес. **Гуана**, садз. **Гуандза** «Гуанов», абхазская форма родового имени **Гуанаа**, садз. **Гуандза (Гуанга)** – **Гуанц-ил, Гуанцилаа**, «Гуановы», «Гуандзовы» (см. **Гунджиа**) дворянский род [3,293]. От абхаз. **Гуанаа** – в груз. закономерно *Гвана-дзе (Гвина-дзе), Гвана-швили, Гона-швили*; от формы **Гуандза (Гуанга)** – груз. *Гванца-дзе* (срав. л. имя Гванца); от абхаз. **Гуанзилаа** – груз. *Гванцила-дзе, Гванцела-дзе (Гванц-ил* срав. абхаз. *Апса – Апс-ил, Апш-ил, Шаш – Шаш-ил, Ачба – Ач-ил, Март-ил, Барт-ил, Тарк-ил, Шакр-ил* и т. д.)“.

როგორც ვხედავთ, ავტორი მოკლედ და ბუნდოვნად, წყაროების მიუთითებლად, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სემანტიკური ანალიზის გარეშე აკავშირებს აფხაზურ-აბაზურ და ყაბარდოულ ენობრივ სამყაროსთან შემდეგ ქართულ გვარსახელებს: **გვანაძეს** თუ **ღვანაძეს**, **გვანაშვილს** თუ **ღვანაშვილს**, **გონაშვილს**, **ღვინაძეს**, **გვანცაძეს**, **გვანცილაძეს**, **გვანცელაძეს**.

ამ დაკავშირებებს საფუძვლად უდევს მხოლოდ ზედაპირული ფონემური მსგავსება, ერთი მხრივ, ამჟამინდელ აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ პირსახელებთან, რომელთაგან ზოგის არსებობა საეჭვოა და, მეორე მხრივ, ავტორის მიერ უეჭველ აფხაზურ-აბაზური წარმომავლობის მქონედ უარგუმენტოდ გამოცხადებულ ისეთ ლექსიკასთან, როგორიცაა ძველბერძნულ, ლათინურ წყაროებში ასახული **აფსილ** // **აფშილ**, ურარტული **შაშილ** (უნდა ყოფილიყო შა-

შილუ), ავტორის მიერ „აღდგენილი“ ვითომდა აფხაზური **\*აჩილ**, **\*მარჩილ**, **\*ზარჩილ**, აფხაზთა შორის გავრცელებული გვარსახელ **თარკიგლ** და ქართული წარმოშობის გააფხაზებული **შაყრგლ** (< ქართ. გვარი **შეყრილაგა**).

აქ ავტორი ეყრდნობა თავისსავე უარგუმენტო „აღმოჩენას“, რომლის მიხედვითაც, უძველეს აფხაზურ-აბაზურ ენაში თურმე არსებობდა სუფიქსი **\*-გლ**, რომელიც მოგვიანებით **\*-ილ** // **\*-ელ** // **\*-ულ** ვარიანტებად ქცეულა და მათი მეშვეობით ყოფილა ნაწარმოები აფხაზურ-აბაზური პირსახელებისა და გვარსახელების დიდი ჯგუფი, რომლებიც მერე ეს ონომასტიკური ერთეულები ქართველებს გადაუღიათ და დაურთავთ ქართული **-მე**, **-შიგლი**, **-იან**, **-ურ** და სხვა დაბოლოებები.

ავტორმა არ იცის, ან ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ მის მიერ აფხაზურ-აბაზურად მიჩნეულ გვართაგან გამჟღავნებულ ქართული ეტიმოლოგია აქვს **ღვინამე**-ს (< პირსახელი **ღვინა-ა** < აპელატივი **ღვინო**); აშკარად მისი გამოგონილია და რეალურად საერთოდ არ არსებობს, არც ძველ საბუთებში იძებნება გვარსახელები: **\*გვანამე** თუ **\*ღვანამე**, **\*გვანაშიგლი** თუ **\*ღვანაშიგლი**, **\*გვანცამე**, **\*გვანცილამე**; ამ გვართა გამოგონება ავტორს, ჩვენი ვარაუდით, „გაქართველებულ“ გვართა რაოდენობის გასაზრდელად და მკითხველზე შთაბეჭდილების გასამძაფრებლად დასჭირდა;

არსებობს გვარსახელები **ღვანიძე** და **ღვანია** (ავთ. სილაგამე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში. 1996, გვ. 204), მაგრამ მათი აფხაზურობის სამტკიცებლად მხოლოდ ციტირებული უსაბუთო განცხადება არ კმარა. ანალიზი კი ვ. კვარჭიას არ წარმოუდგენია - მან ქართული ენა არ იცის.

აქვე მოკლედ წარმოვადგენ მოსაზრებებს პირადად ჩემი სახელისა და გვარის შესახებ: სახელი გვანცა ისტორიულ წყაროებში ყველაზე ადრე იხსენიება ერთიანი საქართველოს დედოფლის, რაჭის ერისთავის ასულის, დავით VII ულუს მეუღლის, მონღოლთა მიერ დაახლოებით 1262 წელს სიკვდილით დასჯილი მოწამის სახელად. ვარიანტები **გვანცა** და **გვანცამ** გვხვდება თ. ჟორდანიასა და პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ ისტორიულ საბუთებშიც (თ. ჟორდანია, ქრონიკები. ტ. II, 1897, გვ. 10; პ. ინგოროყვა, სვანეთის ისტორიული ძეგლები. 2. ტექსტები. 1941, გვ. 150). სახელი **გვანცა** ქართველთა შორის ხშირად იხმარება დღესაც, მაგრამ იგივე სახელი **საერთოდ არ დასტურდება არც აფხაზებში და არც აბაზებში** (თ. გვანცელაძე).

პროფ. ზ. ჭუმბურიძის ცნობით, სიტყვა **გვანცა**-ს სვანურში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ჭინჭრაქა (ფრინველი); 2. გადატ. ცელქი, მოუსვენარი ბავშვი (ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? - წიგნში: ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული. 1987, გვ. 382). შდრ.: აფხაზურ-აბაზურ ენაში **გვანცა** აპელატივი, როგორც აღინიშნა, არ არსებობს. გარდა ამისა, ვ. კვარჭიამ ვერც მის მიერ გამოყოფილი ვითომდა აფხაზურ-აბაზური -ილ სუფიქსის გამოყოფა დაასაბუთა.

რაც შეეხება გვარსახელ **გვანცელაძე**-ს, მასში ალ. ლლონტი მამაკაცის მეტსახელ **გვანცელა**-ს ხედავდა და აკავშირებდა ქალის პირსახელ **გვანცა**-სთან (ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი. 1986, გვ. 101), ისტორიული დოკუმენტებიდან ეს გვარსახელი პირველად დასტურდება 1569 წელს იმერეთის მეფე გიორგი II-ის მიერ გაცემულ დოკუმენტში, რომელშიც იხსენიება სოფელ ჩუნეშში მცხოვრები **ღმერთისაიი გვანცელაძე**, ვინც გელათის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეუწირავს მეფეს (პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I, 1991, გვ. 632).

რაც შეეხება გვარსახელის საყრდენ **გვანცელა** ფუძეს, იგი სამი მორფემისაგან შედგება: ძირია **გვანც(ა)**-, ხოლო **-ელ** და **-ა** სუფიქსების ფუნქცია ორნაირად შეიძლება აიხსნას: 1. **-ელ-ა** რთული, ორკომპონენტური სუფიქსია და აქვს კნინობით-ალერსობითი სემანტიკის გამოხატვის ფუნქცია, შდრ. გოგია > გოგი-**ელ-ა**, ზურ-იკ-ო > ზურ-იკ-**ელ-ა**, მამია > მამი-**ელ-ა**...; 2. **-ელ** პიროვნების სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსია, ხოლო **-ა** აქაც კნინობით-ალერსობითობის მაწარმოებელია, შდრ. ამგვარად ნაწარმოები, სადაურობის სახელთაგან მომდინარე გვარსახელები: **ზანბ-ელ-ა-ძე** (შდრ. სოფ. ზანბა), **ოკრიბ-ელ-ა-შვილ-ი** (შდრ. ოკრიბა), **პანკ-ელ-ა-შვილ-ი** (შდრ. პანკისი), **ტაგ-ელ-ა-შვილ-ი** (// **ტაგელიშვილი**) < **ტაო-ელ-ა-შვილ-ი** (შდრ. ტაო), **ქვაბი-ელ-ა-შვილ-ი** (შდრ. ქვაბი „გამოქვაბული, ქვაბული“)... – **ელ-ა** დაბოლოების ფუნქციის ახსნის მეორე ვარიანტის გაზიარების შემთხვევაში ანგარიშგასაწევია **გვანცა** სიტყვის დადასტურება **გეო-გრაფიულ სახელად**: აჭარაში, კერძოდ, ჭვანას ხეობაში, სოფელ ცხემლისთან არსებობს **გვანცას მთა**, **გვანცას ტყე** და **გვანცას ჩანჩქერი** (შუახვეის მუნიციპალიტეტი). ვინც ამ მთასთან, ან ტყესთან ცხოვრობდა, ის **გვანცელი** იქნებოდა, ეს სადაურობის სახელი კი იოლად დაირთავდა **-ა** სუფიქსსაც და **-ძე** დაბოლოებასაც. აქ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს.

ამრიგად, განხილული ენობრივი მასალა იძლევა იმის უფლებას, დავასკვნათ, რომ ვ. კვარჭიამ ვერცერთი რეალურად არსებული ქართული გვარსახელის აფხაზურ-აბაზური წარმომავლობა ვერ დაამტკიცა. ეს გვარები და მათი საყრდენი პირსახელები თუ აპელატივები აფხაზურ-აბაზურ ენასთან კავშირში არ არიან.

## თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

### **პირსახელ ლიპარიტისა და საგვარეულო სახელ ბაღვაშის წარმომავლობისათვის**

მიმდინარე წელს რუსულ და თურქულ ენებზე გამოცემულ წიგნში „აფხაზურ-აბაზური გვარები და საგვარეულოთა სახელები ქართველურ ანთროპონიმიაში“ ვალერი კვარჭია ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, აფხაზურ-აბაზური „წარმომავლობა“ დაუძებნოს ასეულობით ქართულ გვრსახელსა და პირსახელს. მცირე გამოწაკლისის გარდა, პრაქტიკულად უამრავი ქართული ონომასტიკური ერთეული (განსაკუთრებით ყველაზე პოპულარულნი, ან უძველესნი) ყოველგვარი ზუსტი მეთოდის გარეშე, თვითნებურად ცხადდება აფხაზ-აბაზათა წვლილად ქართველურ ონომასტიკონში. იმის საჩვენებლად, თუ რა მეთოდებით „ამტკიცებს“ ვ. კვარჭია თავის „აღმოჩენებს“, კრიტიკულად განვიხილავ ავტორის მოსაზრებებს პირსახელ ლიპარიტისა და საგვარეულო სახელ ბაღვაშის ენობრივი კუთვნილების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია წიგნის რუსული ვარიანტის 72-74-ე გვერდებზე.

წიგნის საზოგადო მიზანია, რადაც უნდა დაუჯდეს, შთაენერგოს მკითხველებს იმისი ეჭვი მაინც, რომ შუა საუკუნეების საქართველოს დიდებულთა გვარები და ამჟამინდელ გვარსახელთა დიდი ნაწილი არაქართულია, ხოლო ამ გვართა მატარებელი დიდებულები და ახლანდელ საგვარეულოთა წევრების წინაპრები ეთნიკური აფსუა-აბაზები იყვნენ.

ვ. კვარჭია არ ეთანხმება გივი წულაიას დასკვნას, რომ ბაღვაშთა საგვარეულოს დამაარსებელ ლიპარიტის ნამდვილი გვარი დადგენილი არ არის და უყოყმანოდ აცხადებს, ამ დიდი ფეოდალის

ადრინდელ საგვარეულო სახელს შეიცავს მისივე პირსახელი **ლიპარიტი**, რომელიც თურმე აფსუურ-აბაზური ყოფილა და შედგება ორი აფსუურ-აბაზური სიტყვისაგან – **ლოჟ+ბარათ**, შდრ.: „**ბარათ** (კაცის სახელი) + **ლოჟ** (აბაზური თავადური გვარი), ანუ **ლიპარიტი** თურმე ნიშნავს „**ბარათს ლოჟს გვარიდან**“ [**Барат (из рода) Лой**]. ვ. კვარჭია აქვე აცხადებს, რომ ბარათ აფსუური პირსახელია და მისგან მოდის „მძლავრი აფხაზური გვარი“ **ბარათაშვილი** (გვ. 72), თუმცა აფსუებში ამ პირსახელის ოდესმე არსებობის არანაირ საბუთს არ ასახელებს – ამჟამად ეს სახელი აფსუებსა და აბაზებს შორის გავრცელებული არ არის (იხ.: III.Д. Инал-Ипа. Антропонимия абхазов. Майкоп, 2002, с. 95; Н.Б. Экба. Абазинские личные имена. – Сводный словарь личных имен народов Северного Кавказа. Москва, 2012, с. 34; В.А. Амичба. Абхазские личные имена. - Сводный словарь личных имен народов Северного Кавказа. Москва, 2012, с. 44).

ვ. კვარჭია თავს არ იწუხებს იმით, რომ პირსახელთა ენობრივი კუთვნილებისა და ამ სახელთა აგებულების საკითხთა განხილვის დროს იმსჯელოს წმინდა ლინგვისტური არგუმენტებით. მას საერთოდ არ აინტერესებს პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. იყო თუ არა გავრცელებული IX საუკუნეში, როცა ეს პირველი ლიპარიტი ცხოვრობდა, აფსუა-აბაზებში პირსახელი **ბარათ** და გვარსახელი **ლოჟ**? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად რეალურად არავითარი წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს. სახელ **ბარათ**-ის აფსუურად გამოსაცხადებლად, იგი წააქეზა აკად. ს. ჯანაშიას დაუსაბუთებელმა ვარაუდმა ბარათაშვილთა გვარის აფსუური წარმომავლობის შესახებ, თუმცა ქართველ მეცნიერს აფსუურად მიაჩნდა არა სახელი **ბარათა**, არამედ ბარათაშვილთა წინაპარ **ბარათა ქაჩიზაძის** გვარის ძირეული **\*ქაჩიზა** სეგმენტი (იხ. ს. ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები, ტ. II, 1952, გვ. 464-481). გამოდის, რომ ვ. კვარჭია უბრალოდ „უტყუარ ფაქტს“ თვითონ ქმნის სხვაზე არასწორად მითითებით.

2. ნამდვილად ჰქონდათ თუ არა აფსუა-აბაზებს გვარსახელები IX საუკუნეში? არც ამ მნიშვნელოვანი კითხვის დადებითი პასუხისათვის არსებობს რაიმე უტყუარი ისტორიული წერილობითი წყარო. შდრ.: აფსუური გვარსახელების ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული იმ ლიპარიტის დროიდან ათასი წლის შემდეგ, XIX საუკუნეში, 1867 წელსაც კი, როცა რუსმა მოხელეებმა შეადგინეს ოსმალეთის იმპერიაში გასამეფებელ აფსუა მუჰა-

ჯირთა სიები და ამ სიებში დღეს **ბა**-ზე დაბოლოებულ ზოგ გვარს არა აქვს აფსუური გვარების მაწარმოებელი -**ბა** სუფიქსი (თ. გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბ., 2011, გვ. 148-151).

3. რომელი კონკრეტული ფონეტიკური პროცესების საფუძველზე გარდაიქმნა **ლოჲ-ბარათ** ქართულში **ლიპარიტ** ფორმად? შეუძლებელია, **ო** ხმოვანი იმ შორეულ დროში აფსუურ-აბაზურ ენას საერთოდ ჰქონოდა, ვინაიდან, როგორც ირკვევა, ხმოვნები **ე, ი, ო, უ** აფსუურსა და აბაზურში გაჩნდა მხოლოდ XVI-XVIII საუკუნეებს შორის (იხ.: თ. გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბ., 2011, გვ. 34-42; Т. И. Гванцеладзе. К истории становления современной системы вокализма абазинского и абхазского языков. – «Клычевские чтения – 2017». Материалы межрегиональной научно-практической конференции с международным участием. Карачаевск, 2017, гв. 39-43). ეს არსებითი ფაქტი უნდა გაეთვალისწინებინა ვ. კვარჭიას და უნდა დაესკვნა, რომ **ლოჲ** ვარიანტი იმ დროს არ იარსებებდა.

4. ვ. კვარჭიამ ვერ შენიშნა ვერც სხვა ლინგვისტური დაბრკოლებანი. საქმე ისაა, რომ აფსუურ-აბაზურიდან ამ ორსიტყვიანი გამონათქვამის ქართულში შემოსვლის დროს უეჭველად უნდა ამოქმედებულიყო სიტყვათა სესხებასთან დაკავშირებული სავალდებულო ფონეტიკური პროცესები, რომელთა შედეგად ქართულში გაჩნდებოდა არა რეალურად დოკუმენტირებული **ლიპარიტ** ფორმა, არამედ **\*ლაუზარათ** ვარიანტი:

ა. ლინგვისტურად არ იხსნება აფსუურ-აბაზური **\*ლაჲ** მარცვლის ქართულში **ლი** მარცვლად გარდაქმნა;

ბ. ფონეტიკურად ასევე არ იხსნება „აფსუურ-აბაზურ“ **ბარათ** სიტყვისაგან ქართულში **-პარიტ** სეგმენტის მიღება: ვ. კვარჭიამ არ იცის და ვერც ეცოდინება, რა მიზეზით შეიცვალა **ბ** ბგერა **პ** ბგერით, **ა** ხმოვანი **ი** ხმოვნით და **თ** თანხმოვანი **ტ** თანხმოვნით? სამამისო ფონოლოგიური პირობები **ბარათ** სიტყვაში არ არსებობს!

5. რატომ არ ჩანს წერილობით წყაროებში სახელი **\*ლოუზარათ** თუნდაც ერთი აფსუას, ან აბაზას სახელად? დღეს რატომღა არ ჰქვია ეს „სახელი“ არცერთ აფსუასა და აბაზას? რატომ არ გვხვდება იგივე „სიტყვა“ აფსუურ-აბაზურ ფოლკლორში?

6. პირსახელი ლიპარიტი ნამდვილად არ ჩანს ქართული წარმომავლობისა, მაგრამ იგი არც აფსუურ-აბაზურია და მისი ახლე-

ბური „ეტიმოლოგია“ მხოლოდ ვ. კვარჭიას უსაბუთო სურვილია. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს რამდენიმე მოსაზრება ამ სახელის წარმომავლობის შესახებ (ა. ჭინჭარაული, ქ. ჯერვალდიძისა და ნ. პეტრიაშვილისა...). სახელი დასტურდება ქართულ გვარებში: ლიპარტია, ლიპარტიანი, ლიპარტელიანი, ლიპარტაშვილი. იგივე სახელი დღემდე გავრცელებული სომხებშიც. მაგალითად, ასე ჰქვია ცნობილ სომეხ საოპერო მომღერალს ლიპარიტ ავეტისიანს...

ამრიგად, პირსახელ ლიპარიტის აფსუურ-აბაზური წარმომავლობის საკითხი ვერ გადაწყვეტა. მას არ ეყო ლინგვისტური პროფესიონალიზმი.

მსგავსი არამეცნიერული ხერხით ცდილობს ვ. კვარჭია, დაამტკიცოს ძველქართული **ბადვამის** არისტოკრატიული გვარის აფსუურ-აბაზური წარმომავლობაც. იგი წერს: „საგვარეულო სახელი *ბაგვაშ* დღესაცა შენარჩუნებული აბაზებში თავადური გვარის *ბაგვაშის* სახით, ხოლო აფსუებში დიდი სოფლის დასახელებაში – **ფაქვაშ** (ფაქიაშ)... მიიჩნევა, რომ *ბაგვაშ* ნაწარმოებია *ბად* აფსუურ-აბაზური თავადურ-აზნაურული საზოგადოების საგვარეულო სახელისაგან“ (გვ. 72).

ამ განცხადების განხილვა უნდა დავიწყოთ იმით, რომ რაკი ვ. კვარჭია ეხება აფსუურ-აბაზურ და ქართველურ ლექსიკასა და მათ ენათმეცნიერულ ანალიზს, მას სწორედ ენათმეცნიერული კვლევის წესების გამოყენება მოეთხოვებოდა. მაგალითად, საანალიზო სიტყვები ზუსტად უნდა ჩაეწერა – აუცილებელი იყო ენობრივი მასალის წარმოდგენა ან მოქმედი დამწერლობების გამოყენებით, ან ლინგვისტური ტრანსკრიფციის მოშველიებით. წიგნში ეს წესი დაცული არ არის, ყველა ენის სიტყვები მოცემულია რუსული ტრანსლიტერაციით, ტრანსკრიფციის გარეშე, რაც ავტორს მანიპულირების შესაძლებლობას უქმნის: მაგალითად, რუსულ ენას არა აქვს აფსუურ, აბაზურ და ქართულ ენებთან საზიარო **ღ** ბგერა, ან აფსუური და აბაზური ენების ლაბიალიზებული **ღი** [=ღვ] და პალატალიზებული **ღი** ბგერები, არც მათი გამომხატველი ასოები, ამიტომ როცა ვ. კვარჭია გვარში რუსულ **rr** ასოებს წერს, მკითხველი ვერ მიხვდება, აქ **ღვ** იგულისხმება, თუ **გვ**. ანუ ყველგან **ბადვამ** უნდა წაიკითხოს, თუ **ბაგვამ**. ამ გზით ავტორი ან მანიპულირებს და შეგნებულად ფარავს სხვაობას ქართულ ბადვამ-სა და აფსუურ-აბაზურ ფორმებს შორის, ანდა უცოდინრობის გამო აიგივებს ფონოლოგიუ-

**რად დაშორებულ, ერთიმეორესთან რაიმე კავშირის უქონელ ვარიანტებს.** თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქ ვ. კვარჭია აფსუურ-აბაზურ მასალას იმოწმებს აბაზა ენათმეცნიერის სარიათ იონოვას წიგნიდან, აშკარა ხდება, რომ **აფსუა ავტორი კიდევ მანიპულირებს და უცოდინრობასაც ავლენს:**

ს. იონოვამ სრულებით არ იცის ქართული **ბაღვაში** ფორმის არსებობა, ამიტომ ის ქართულ მასალას არც ახსენებს, ხოლო 1857-1858 წლების რუსულ ცნობაში დასახელებულ გვარსახელ **Багошев-**ზე დაყრდნობით ა ლ ა დ გ ე ს აბაზურ **\*ბაგაში** ან **\*ბაგვაში** ფორმებს და არა **ბაღვაში** არქეტისს (С. Х. Ионова. Абазинские фамилии и имена. Черкесск, 2006, გვ. 272), თუმცა რუსულად ჩაწერილი **ბაგოშევი** ფორმისაგან შეიძლება აღადგინო 8 აბაზური ვარიანტი, კერძოდ: **ბაგაშ** ან **ბაგაში**, **ბაგვაშ** ან **ბაგვაში**, **ბაღაშ** ან **ბაღაში**, **ბაღვაშ** ან **ბაღვაში**. ამათგან რომელია ზუსტი, არავინ იცის, ვინაიდან, სამწუხაროდ, ეს გვარი 1857-1858 წლების შემდეგ ან ამოწყდა, ან ოსმალეთში გადაიხვეწნენ მუჰაჯირებად და დღეს არსად დასტურდება.

ს. იონოვაც, ბუნებრივია, არ არის დარწმუნებული იმაში, თუ როგორ ჟღერდა აბაზურად ამ გვარის წევრთა საგვარეულო სახელი. სიზუსტისაგან შორსაა ვ. კვარჭიას განცხადება, ამ გვარისაგან მოდის ბაღვაშების ქართული საგვარეულო სახელიო. მეტიც, ვ. კვარჭია არც სასურველის რეალობად გამოცხადებას ერიდება, როცა 72-ე გვერდზე აცხადებს, საგვარეულო სახელი **ბაღვაში** ახლაც შემორჩენილია აბაზებში თავადურ გვარსახელ **ბაგვაშის** სახითო („Родовое имя *Багваши* сохраняется в качестве княжеской фамилии *Багваши* и ныне у абазин“), სინამდვილეში კი აბაზური გვარსახელი **ბაგოშევი** არანაკლებ 150 წელია აღარ არის გავრცელებული ყარაჩაი-ჩერქეზეთში და მისი აბაზური ჟღერადობა დღეს აღარავინ იცის.

ვ. კვარჭიას თვალსაზრისით, ბაღვაშების გვარი იგივე ყოფილა, რაც ოქემჩირის მუნიციპალიტეტის სოფელ **ფოქვეშის** სახელი (ამ სოფელს აფსუები **ფაქვაშ**-ს ეძახიან). ის ვერ ასაბუთებს, თუ რამ შეცვალა **ბაღვაშ** ფორმის ჟღერადობა: რატომ გარდაიქმნა **ბ** თანხმოვანი **ფ** თანხმოვნად, ხოლო **ღვ** თანხმოვანი – **ქვ** რთულ ბგერად.

როგორც ჩანს, ვ. კვარჭიაც არაა მაინცდამაინც დარწმუნებული ბოგუშევიების გვართან ქართველი ბაღვაშების კავშირის სიმართლეში და სხვა, საკმაოდ არასერიოზულ „ეტიმოლოგიასაც“ სთავაზობს მკითხველს, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რომ ვ. კვარჭიას წარმოდგენა არა აქვს ენათმეცნიერული ანალიზის წესების შესახებ. იგი

ასე მსჯელობს: ლიპარიტ პირველი ბაღვაში IX საუკუნის 80-იან წლებში არგვეთის საერისთავოდან თავის ყმებთან ერთად გადასახლდა თრიალეთში და ქედზე დააარსა საერისთავო. მანვე თრიალეთის ქედზე გაჭრა გზა და მის დასაცავად ააგო კლდეკარის ციხე. ვ. კვარჭია აღტაცებით წერს, გასაოცარია, რომ **ბაგვაში** იგივეა, რაც აფსუური **ბააგვაშე** „კლდის კარი“, ანუ „ჭიშკარი კლდეში“, შდრ. აფს. **ბაა** „ციხე“ და **გვაშე** „ჭიშკარი“. შესაძლებელია **ბაღვაში** იყოს აფსუურ-აბაზური **ბაღ-გვაშე** „ბაღის [ტომის] ჭიშკარი“-ო, დასძენს ვ. კვარჭია (გვ. 73). როგორც ჩანს, მას აქვე გაახსენდა, რომ მეორე ვარიანტს აკლია **რ-** აფიქსი, რომელიც მრავალის კუთვნილ რამეს აღნიშნავს და ის აქ აუცილებლად უნდა ყოფილიყო (**ბაღ რ-გვაშე** „ბაღების ჭიშკარი“), ამიტომ უარს აცხადებს „ეტიმოლოგიის“ მეორე ვარიანტზე („ბაღის ტომის ჭიშკარი“) და დაასკვნის, აფსუური სახელი **ბააგვაშე** „კლდის ჭიშკარი“ ეპითეტად დაემატა ლიპარიტის სახელს. სინამდვილეში ბაღვაშები აფხაზი აზბების (ანჩაბადეების) განაყოფი შტოს ლოუს გვარიდან იყვნენო (გვ. 73). რაც ვ. კვარჭიას უწერია ამ ადგილას კრიტიკას ვერ უძლებს. მთავარი ისაა, რომ IX საუკუნის აფსუურ-აბაზურ ენას არავითარ შემთხვევაში არ ექნებოდა შეწყვილებული (დაგრძელებული) **აა** ხმოვანი, რომლის ადგილას აბაზურ დიალექტებში წარმოდგენილია **ჟა** მარცვალი, რომელიც ქართულში აუცილებლად გადმოვიდოდა **ღა** მარცვლის სახით და რეალურად IX საუკუნეში უნდა ეარსება არა ვ. კვარჭიას მიერ „აღდგენილ“ **ბააგვაშე** ფორმას, არამედ, **\*ბაღაგვაშე** ვარიანტს, რაც არცერთ წყაროში არ დასტურდება (შენიშვნა: **ჟ** თანხმოვანი ჯერ კიდევ არსებობდა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ახლანდელი გალისა და ოჩემჩირის მუნიციპალიტეტების საზღვართან დასახლებული მიგრანტი აფსუების ენაში, XIX საუკუნეში მას უკვე ჩაენაცვლა დაგრძელებული ა ხმოვანი. შდრ. მეგრ. **ღანდა** < აფს. **აანდა** „ღობე“, რომელიც მოდის აბაზურში დღემდე შემორჩენილი უძველესი **ჟანდა** ვარიანტისაგან). ამრიგად, ფონეტიკური საკითხების ანალიზი ვ. კვარჭიას იმიტომაც არ იზიდავს, რომ ისინი გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნიან მის „გენიალურ მიგნებებს“.

## სივრცითი განლაგების ატრიბუტულმსაზღვრელიანი მიკროტოპონიმები სვანურში

ლექსიკური ერთეულები **ჟა/აბე** „ზემო“, **ჩუ/აბე** „ქვემოთ“  
ენაში უკვე არსებულ ტოპონიმთან ერთად ახალ ტოპონიმს ქმნიან.

ვ. თოფურია შენიშნავს, ისეთი მიკროტოპონიმების არსებო-  
ბას სადაც **ჟაბე** და **ჩუბ/ჩუბი** წარმოდგენილია საზღვრულის გარე-  
შე, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ან სიტყვაწარმოებითი აფიქსებით  
(ჟაბეშ, ჟაბშარ) (ვ. თოფურია, ტ. II., გვ. 202)

მართლაც, **ჟაბშარ** „ზემოები“ უბანია სოფ. კახურას მაღლა მხა-  
რეს.

**ჟაბშარი** „ზემოურთა“ უბნის სახელწოდებაა ლენტეხში, **ჟაბარ**  
ყანაა სოფ. მაგარდელის სამხრეთ აღმოსავლეთით. **ჟაბეშ** ეწოდება  
მულახის ერთერთ უბანს და სხვა.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ ლექსიკურ  
ერთეულთა მორფოლოგიური ექვივალენტები ფართოდ არის გა-  
ვრცელებული ყველა ქართველურ ენაში.

**ჟაბე-ჩუბე** ტიპის მსაზღვრელშემცველ ტოპონიმებს მსაზღვრე-  
ლად შეიძლება ჰქონდეთ აპელატივი. მაგ. **ჟაბე ლაზგა** „ზემო სამო-  
სახლო“, **ჟაბე ზენ** „ზემო მინდორი“, **ჩუბე ზუგუ** „ქვემო ბორცვი“.

მეტწილად კი ასეთ სინტაგმურ წყვილში საზღვრული უკვე  
არსებული ტოპონიმია. **„ჟაბე ბავარ** „ზემო ბავარი“, **ჟაბი ლგჰა** „ზემო  
ლგჰა, **ჩუბე ლატვარ** „ქვემო ლატვარი“, **ჩუბე ლახამ** „ქვემო ლახა-  
მი“.

ასეთი სახის ზოგ ტოპონიმში კარგად ჩანს განლაგება, რომე-  
ლიც ტერიტორიის რელიეფს ეფუძნება, **ჟიბე ვედ** „ზემო ვედი“,  
**ჩუბაბე ვედ** „ქვემო ვედი“.

**ჟიბე ვედ** „ზემო ვედი“, **ჩვიბე ვედ** „ქვემო ვედი“ აღნიშნულ  
ტოპონიმში ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული ნათლად  
გადმოგვცემს ამ სოფლის სივრცითი განლაგების ოთხივე მხარის  
სრულ სურათს, ნათლად გვიჩვენებს თუ როგორი მდებარეობა  
აქვს ობიექტს.

მსგავსი მიკრო ტოპონიმები, როგორც ინფორმაციის მატარებელი, ძალიან მნიშვნელოვანია იქაურ მცხოვრებთათვის, რომელთაც შექმნეს ეს სახელწოდებანი.

გიორგი გოგოლაშვილი,  
ქეთევან დათუკიშვილი

## ენობრივი ატავიზმის საკითხისათვის ქართულში

### 1. საკითხის დასმისათვის

**ატავიზმი** ცნობილი მოვლენაა ბიოლოგიაში, მედიცინაში; იგი ასე განიმარტება: „**ცოცხალ ორგანიზმში შორეულ წინაპართათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენა**“. ატავიზმი მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია.

აღნიშნულ მოვლენაში იგულისხმება შემდეგი: ინდივიდის განვითარების პროცესში ზოგჯერ თავს იჩენს წინაპართა ნიშან-თვისებები, რომლებიც ცოცხალ ორგანიზმთა რომელიმე სახეობას **ახასიათებდა ევოლუციური განვითარების ადრეულ ეტაპებზე**, ბოლო თაობებში კი აღარ დასტურდება.

ბუნებისმცოდნეების აზრით, **ატავიზმის** მაგალითებია:

**ადამიანისათვის** – კუდისებრი დანამატი; ან კისრის ფისტულა, რომელიც ძუძუმწოვრების სალაცყე ხვრელს მოგვაგონებს; ამასვე ეკუთვნის პოლიმასტია – სარძევე ჯირკვლების ნორმაზე მეტი რაოდენობით განვითარება...

**ცხოველებისათვის**, მაგ., ცხენისათვის – კარგად განვითარებული შუათითის აქეთ-იქით თითო დამატებითი თითი...

**მცენარეებში** ატავიზმის მოვლენად განიხილება შემდეგი შემთხვევა: ავსტრალიურ აკაციას ფილოდიუმების ნაცვლად ფრთართული ფოთლები უვითარდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მცენარე ნორმალურფოთლებიანი აკაციებისაგანაა წარმოშობილი.

მოკლედ, **ატავიზმი** დამახასიათებელია ყველა სახის ცოცხალი ორგანიზმისათვის: ადამიანისათვის, ცხოველისათვის, მცენარისათვის.

**ენაც ცოცხალი ფენომენია**; ეს რეალობაა. „ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე“ (ი. ჭავჭავაძე).

თუ ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის არის დამახასიათებელი ატავიზმი, ენა რატომ უნდა იყოს გამონაკლისი?

ჩვენი აზრით, **ატავიზმი, როგორც მოვლენა, ისევე ვლინდება ენაში, როგორც სხვა ცოცხალ ორგანიზმებში**. ენის განვითარების პროცესში ხდება გარკვეული სისტემური ცვლილებები, რომელთა შედეგად მიღებულ ახალ სისტემაში ზოგჯერ თავს იჩენს ძველი სისტემის რომელიმე ელემენტი ყოველგვარი მორფოლოგიური შეპირობებულობის გარეშე. პარადიგმაში გამოვლენილი ამგვარი ელემენტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც **ენობრივი ატავიზმის** შემთხვევები.

ენობრივი ატავიზმის მაგალითად განვიხილავთ ზემოთმრეულ კილოკავში დადასტურებულ ერთ ფაქტს: აქ სისტემური ენობრივი ცვლილების შედეგად მიღებულ პარადიგმაში თავი იჩინა ამოსავალი (ისტორიული) პარადიგმის ერთმა წევრმა...

უფრო კონკრეტულად: ქართულში სისტემური ენობრივი ცვლილების შედეგად (ა) ერთ შემთხვევაში ისტორიულად ორთემიანი ზმნა გაერთთემიანდა და (ბ) მეორე შემთხვევაში ერთთემიანი ზმნა გაორთემიანდა:

| ა)              |             | ბ)        |            |
|-----------------|-------------|-----------|------------|
| ძვ. ქართ.       | ახ. ქართ.   | ძვ. ქართ. | ახ. ქართ.  |
| წარვი-ყვან-ებ   | წავი-ყვან   | ვ-თეს     | ვ-თეს-ავ   |
| წარი-ყვან-ებ    | წაი-ყვან    | ს-თეს     | თეს-ავ     |
| წარი-ყვან-ებ-ს  | წაი-ყვან-ს  | თეს-ს     | თეს-ავ-ს   |
| წარვი-ყვან-ებ-თ | წავი-ყვან-თ | ვ-თეს-თ   | ვ-თეს-ავ-თ |
| წარი-ყვან-ებ-თ  | წაი-ყვან-თ  | ს-თეს-თ   | თეს-ავ-თ   |
| წარი-ყვან-ებ-ენ | წაი-ყვან-ენ | თეს-ენ    | თეს-ავ-ენ  |

ზემოთხსენებულში ამ პარადიგმებს ასეთი სახე აქვს:

|                |            |
|----------------|------------|
| ა)             | ბ)         |
| წავი-ყვან      | ვ-თეს-ავ   |
| წაი-ყვან       | თეს-ავ     |
| წაი-ყვან-ს     | თეს-ავ-ს   |
| წავი-ყვან-თ    | ვ-თეს-ავ-თ |
| წაი-ყვან-თ     | თეს-ავ-თ   |
| წაი-ყვან-ებ-ენ | თეს-ენ     |

ორივე შემთხვევაში პარადიგმის პირველი ხუთი წევრი არის ახალი ქართულის ფორმა, მეექვსე წევრი კი – სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის ფორმა – ამოსავალი (ისტორიული) პარადიგმის „ნაწილია“. დაირღვა პარადიგმის აგების მორფოლოგიური პრინციპი – პარადიგმის საყრდენი ფუძის უცვლელობის პრინციპი – პირველ (ა) შემთხვევაში მარტივ ფუძეს (ყვან) ენაცვლება რთული (ყვან-ებ), მეორე (ბ) შემთხვევაში რთულს (თეს-ავ) ენაცვლება მარტივი (თეს).

როგორ უნდა აიხსნას ეს მოვლენა (პარადიგმის „დაკოჭლება“)? რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს „კოჭლ პარადიგმაში“ ამოსავალი პარადიგმის ერთი წევრის დადასტურებას?

\* \* \*

ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში შემჩნეულია და იგი **გამონაკლისად** მიიჩნევა. „გამონაკლისი“ არ არის მეცნიერული კვალიფიკაცია ფაქტისა. „გამონაკლისის“ შესახებ მომხილავად გვეჩვენება ვარლამ თოფურიას მოსწრებული გამოთქმა: „**გამონაკლისი გაჭირვების ახსნაა**“ (ბ. ჯორბენაძის ზეპირი გადმოცემით). რამდენადაც ენა სისტემაა, გამონაკლისი არსებობს არა რეალურად, არამედ ჩვენი ცოდნის დონეზე...

\* \* \*

45-ე რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ კონფერენციაზე (ქუთაისი, 17 ოქტომბერი, 2025 წ.) ზემოთხსენებულის აქ წარმოდგენილი პარადიგმების განხილვისას დაისვა შეკითხვა: „კოჭლი პარადიგმა“ ხომ არ უნდა მივიჩნიოთ შერეულ პარადიგმად? პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. შერეულად მიიჩნევა ის პარადიგმა, რო-

მელიც მიიღება სინქრონიულ დონეზე არსებული პარალელური პარადიგმების შერევით:

| I      | II           | III (შერეული) |
|--------|--------------|---------------|
| დავრგი | // დავრგე და | დავრგი        |
| დარგი  | // დარგე     | დარგი         |
| დარგა  | // დარგო     | დარგო         |

პირველი და მეორე პარადიგმა რეალურად არსებობს ერთდროულად; მესამე პარადიგმამ პირველი და მეორე პირის ფორმები აიღო პირველიდან, ხოლო მესამისა – მეორიდან. ასეთი შემთხვევა განიხილება შერეულ პარადიგმად (გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, 2010, 381...)... ჩვენს საანალიზო პარადიგმებში კი თითო „გამონაკლისი წევრი“ სხვა ქრონოლოგიური დონის ფაქტია (ვიმეორებთ: შერევა შეიძლება მოხდეს ერთ ქრონოლოგიურ სივრცეში არსებული ფაქტებისა)...

ჩვენი აზრით: ახსნა ამ მოვლენისა **გრამატიკულად** (მორფოლოგიურად) **ვერ მოხერხდება...** გრამატიკული ანალიზი დასრულდა იქ, სადაც დამთავრდა ფაქტის აღწერა...

ვფიქრობთ, შეიძლება დაშვება იმისა, რომ **წაიყვანებენ, თესენ** ზემომოყვანილ „კოჭლ“ პარადიგმებში არის **ენობრივი ატავიზმის** მაგალითი. ანუ: „**ცოცხალ ორგანიზმში შორეულ წინაპართათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენა**“.

სანამ ამ ფაქტის სხვაგვარი მეცნიერული (გრამატიკული) ახსნა არ გვექნება, ვიტოვებთ უფლებას, ამგვარად გავიაზროთ ეს მოვლენა.

ატავიზმი ბიოლოგიურად გამოვლინდება ერთ კონკრეტულ ინდივიდში, ენობრივად კი ატავიზმის ამ შემთხვევამ ერთი კონკრეტული ნაირსახეობის (დიალექტის) კონკრეტულ პარადიგმაში იჩინა თავი...

ატავიზმად მიჩნეული ენობრივი ნიმუში არქაული ფაქტია. შეიძლება თუ არა ამ ფაქტს მიეცეს **არქაიზმის** კვალიფიკაცია და არა **ატავიზმისა?**

რა მიმართებაა ენობრივ ატავიზმსა და არქაიზმს შორის?

**არქაიზმი არ არის მოვლენის ახსნა. არქაიზმი შეფასებაა ფაქტისა...**

ერთი შეხედვით, არქაიზმი და ატავიზმი ერთმანეთს ჩამოჰგავს. კერძოდ, ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ენობრივ მონაცემთა „ქრონოლოგიის დარღვევას“. ენის განვითარების ახალ საფეხურზე დასტურდება ენობრივი ფაქტი (ლექსიკური ერთეული, სიტყვაფორმა...), რომელიც დამახასიათებელი იყო ამ ენის განვითარების წინა პერიოდისთვის.

ამ ორ ენობრივ ფაქტს შორის სხვაობა კი ისაა, რომ **არქაიზმს**, რომელიც ძველი პერიოდის ენობრივ ერთეულს წარმოადგენს, **ყოველთვის შეესატყვისება ახალი ფორმა** (რომლის მაგივრადაც ის გამოიყენება), **ატავიზმს კი – არა**.

მაშასადამე, არქაიზმი ძველი ენობრივი პარადიგმის წევრია, ატავიზმი კი – ახალი პარადიგმისა.

არქაიზმი და „ახალი“ ფორმები პარალელურად არსებობს ენაში. ატავიზმი კი არ არის პარალელური ვარიანტი „ახალი“ ფორმისა. ატავიზმის შესატყვისი „ახალი“ ფორმა ენაში (იმ ენობრივ სივრცეში, ამ შემთხვევაში დიალექტში) არ შექმნილა, ამიტომ ახალ სისტემაში (პარადიგმაში) „არარსებული ახალი ფორმის“ ადგილი დაიჭირა ძველმა – ატავიზმმა...

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი სხვაობა ამ ორ ენობრივ ფაქტს შორის: არქაიზმს იყენებს რომელიმე ავტორი კონკრეტულ ტექსტში (უპირატესად – სტილიზაციის მიზნით), ატავიზმი კი არის უალტერნატივო ფორმა, რომელიც ყველა შემთხვევაში გამოიყენება.

ანუ: არქაიზმის გამოყენება სტილისტიკის სფეროა, ხოლო ატავიზმის საკითხი გრამატიკის სფეროს განეკუთვნება.

\* \* \*

**ამგვარად: მსჯელობის საგნად ქცეულ ზემოთმხრობულ პარადიგმებში მიექცევ წევრად ისტორიული ფორმის დადასტურება უნდა ჩაითვალოს ენობრივი ატავიზმის ფაქტად.**

\* \* \*

ატავიზმის სხვა შემთხვევებზე სხვა დროს გვექნება საუბარი...

## **რიტორიკული სტრატეგიები და დისკურსული ინსტრუმენტები ქართულ ენაში**

თანამედროვე კომუნიკაციის სივრცე, განსაკუთრებით ქართულ ენაში, სიმწიფეებსა და შესაძლებლობებს აძლევს რიტორიკულ სტრატეგიებსა და დისკურსულ ინსტრუმენტებს. ტექსტი აღარ არის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალება, ის ემოციურ, სოციალურ და კულტურულ ეფექტსაც ქმნის, რაც კვლევის აქტუალობას ზრდის.

ჩვენი კვლევა მიმართულია რიტორიკული სტრატეგიების და დისკურსული ინსტრუმენტების ანალიზისკენ ქართულ ენაში, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ტექსტურ კონტექსტებში. მიზანია გამოვავლინოთ, როგორ გამოიყენება ენა აზრის გადაცემისა და კომუნიკაციის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, როგორ ფუნქციონირებს ტექსტური სტრუქტურა აუდიტორიის აღქმისა და ემოციური რეაქციის გამოწვევისთვის.

რიტორიკული სტრატეგიები მოიცავს სხვადასხვა სტილისტიკურ, სინტაქსურ და ნარატიულ მექანიზმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ავტორს არგუმენტაცია განავითაროს, აუდიტორიასთან ურთიერთობა დაამყაროს და ტექსტის კომუნიკაციური მიზნები განახორციელოს. დისკურსული ინსტრუმენტები, მათ შორის წინადადების სტრუქტურა, პუნქტუაცია, ეპითეტები, კავშირები და გამეორება, უზრუნველყოფენ ტექსტის მიმღები ფუნქციის ეფექტურობას და აძლიერებენ რიტორიკულ ეფექტს.

კვლევა მოიცავს როგორც კლასიკური ლიტერატურული ტექსტების, ისე მედია-კონტექსტის მაგალითებს, რაც იძლევა საშუალებას გამოიკვეთოს განსხვავებები რიტორიკული სტრატეგიების გამოყენებაში სხვადასხვა დროისა და კომუნიკაციური გარემოს მიხედვით. სტრუქტურული, ფუნქციონალური და კონტექსტუალური ანალიზის კომბინაცია საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ, როგორ ქმნიან ინსტრუმენტები აზრის თანმიმდევრობას, ემოციურ ტონალობას და საზოგადოებრივ რეაქციას.

კვლევა აჩვენებს, რომ რიტორიკული სტრატეგიები და დისკურსული ინსტრუმენტები ქართულ ენაში წარმოადგენს მნიშვნე-

ლოვან კომუნიკაციურ მექანიზმს, რომელიც ერთდროულად აკონტროლებს ტექსტის სტრუქტურას, არგუმენტაციას, აუდიტორიის აღქმას და სოციალურ კონტექსტში ფუნქციონირებას.

## თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

### მუხრან მაჭავარიანი – პოემა „ვახტანგი“

ერთ წერილში მუხრან მაჭავარიანი აღნიშნავს: „ქართული ენის გამამდიდრებელი, ქართველი კაცის გამაგულიანებელი, ქართველთა მტრების გამამრავლებელი და მტერთან ბრძოლაში ქართველთავე შემწე იყო და არის საქართველოს უხვი და თვალწარმტაცი ბუნება“. ამ საოცრებათაგან ერთ-ერთია „წყლის ღვთაებრივი ნიშატი“, რომლის შესახებაც მოთხრობილია პოემაში „ვახტანგი“.

„მივიდნენ...

შეცბნენ...

მარტოდენ

მეფე გალალდა ნამეტურ;

წყლის ღვთაებრივი ნიშატი –

იგრძნო,

შენიშნა რამეთუ“.

პოემა რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება. ესენია: „ვახტანგმა წყალი ისურვა“, „სპილოები“, „თავმომწონე მხედარი და სხვა“, „რაო, – ვახტანგმა, – ვინ არი?“, „ცხენის წინა ფეხები“, „ორბის ფრთა ეტყვის ცერასა“, „უჯარმით კაცი აფრინეს“ და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი – მთელმა საქართველომ რომ ზეპირად იცის – „ვითარცა მტკვარი“. რვავე ეპიზოდს თავისი სათქმელი აქვს; მთლიანად კი პოემა ძველი, გარდამავალი და ახალი ქართულის ლექსიკურ ერთეულთა ფორმოვარი-სტილური ნაზავია – რითმულ-რიტმული სტრუქტურითა და სტროფული ინტონაციით გამორჩეული... და იმგვარად თხრობილი, როცა ნამბობში ერთიანდება „გუშინ“, „დღეს“ და „ხვალ“; როცა ყოველი წამი ნამდვილი აწმყო – სამშობლოს გან-

ცდით გათანაბრებული...

„მე ნატურით ლირიკოსი ვარ! – წერს მუხრანი, – დღემდე მხოლოდ ერთადერთი პოემა მაქვს დაწერილი, – ისიც ლირიკული უფროა, ვიდრე ეპიკური!“

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება პოემა „ვახტანგის“ მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი.

## მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

### **აღულური ენის ლექსიკონები და ახალი აღულურ-ქართული ლექსიკონის შედგენის პრინციპები<sup>1</sup>**

აღულური ენის დოკუმენტირებას დიდი ხნის ისტორია აქვს დაწყებული დირის გრამატიკული აღწერითა და სიტყვარით (1907). აღულური ტექსტების კორპუსზე ბოლო წლებში მუშაობს რუსეთის ფედერაციის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (მაისაკი, 2014).

აღულური ლექსიკური მასალა რამდენიმე ლექსიკონის სახით არის გამოცემული. მათ შორის აღსანიშნავია: 1942 წლის შაუმიანის გრამატიკას დართული აღულურ-რუსული ლექსიკონი, რამაზანოვის 2010 წელს გამოცემულ აღულურ-რუსული ლექსიკონი, ინტერკონტინენტური ლექსიკონების სერიით გამოცემული აღულური ლექსიკონი (ხალილოვი, 2023), სულეიმანოვის აღულურ-რუსული დიალექტოლოგიური ლექსიკონი (სულეიმანოვი, 2003). გარდა ზემოაღნიშნული გამოცემებისა, აღულური მასალა შესულია სხვადასხვა ლექსიკოგრაფიულ ბაზებში, მაგალითად, აღმოსავლური ენების დადესტნურ ენებში ნასესხობების ონლაინბაზაში (2024).

თითოეული ზემოხსენებული ლექსიკონი ფორმატით, შედგენილობით განსხვავებულია და მოითხოვს შედარებით ანალიზს. განსხვავებულია: მეთაური სიტყვის აღწერის პრინციპები, სიტყვასტატიათა რაოდენობა, გრამატიკული და სემანტიკური ინფორმაცია,

---

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-24-10850).

აღლური სიტყვების ჩაწერისათვის შემუშავებული ანბანი, შრიფტი თუ სატრანსლიტერაციო ნიშნები.

მოხსენებაში ვრცლად მიმოვიხილავთ და შევადარებთ აღლური ენის სალექსიკონო მასალას სხვადასხვა გამოცემებში.

ჩვენი მიზანია პროექტის „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები“ ფარგლებში შეიქმნას აღლურ-ქართული ლექსიკონი, ამგვარი თარგმნითი ლექსიკონის გამოცემა სიახლე იქნება ლექსიკოგრაფიულად. ლექსიკონი მანამდე არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემულ კავკასიურ-ქართული ლექსიკონების შედგენის პრინციპებს ეფუძნება. თუმცა ამავდროულად ვითვალისწინებთ აღლური ენის თავისებურებებსა და დოკუმენტური ლექსიკოგრაფიის თანამედროვე სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც სალექსიკონო ერთეულები ირჩევა.

## ლი ა კ ა რ ი ქ ა შ ვ ი ლ ი

### **ზოგიერთი ცნების დაზუსტებისთვის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში**

მოხსენება ეხება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-10 სტროფის მე-4 ტაეპში – „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ – ზოგიერთი ცნების დაზუსტებას. ტაეპი კომენტატორთა შორის ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. დღეისათვის პოემის გამოცემებში დამკვიდრებული წაკითხვის ვარიანტი შინაარსს ნათლად არ გადმოსცემს და მისი განმარტება მიახლოებითი, ბუნდოვანი ინტერპრეტაციით გვიწევს.

შევისწავლეთ ლექსიკური მნიშვნელობა სიტყვისა „ლამის“, რომელიც განიმარტებოდა როგორც მიახლოებით ჯგუფის ნაწილაკი (ლამის, თითქმის, კინაღამ). ჩვენი დაკვირვებით, ის არის ზმნა და ნიშნავს „სურს“, „აპირებს“. ამ მნიშვნელობით ის საკმაოდ აქტიურია „ვეფხისტყაოსანში“ და ამავე ეპოქის სხვა ძეგლებში: „ვისრამიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“. დაზუსტდა კონტექსტის მიხედვით „ფერთა“, რომელიც აქ უნდა ნიშნავდეს შესაფერისს, საკადრისს. აღსანიშნავია, რომ „ვლენა“ იკითხება მხოლოდ პოემის გამოცემებში,

თანაც 1951 წლის შემდგომ, პოემის ხელნაწერებსა და ადრეულ გამოცემებში სარიტმო სიტყვაა „ლევა“/„ლევნა“.

ტაეპის ლექსიკური, მორფოლოგიური, კონტექსტური და პოეტიკური ანალიზის შედეგად, მასში მოცემულ სიმბოლურ-ალეგორიულ სახეთა გათვალისწინებით, შევეცადეთ ტაეპის რეკონსტრუქციას და მისი რეალური შინაარსის ამოკითხვას, რომელიც მოკლედ (და გამარტივებულად) ასე შეიძლება გადმოიცეს: პოეტის სათაყვანებელ პირს (თამარ მეფეს) სურს („ლამის“) შეიქმნას „სამთა“ შესაფერისი საქებელი თხზულება („საქებელთა“). „ლექსთა ... ლევა“, რომელიც კომენტატორებს ესმით, როგორც გამოლევა, ამოწურვა (ლექსებისა) (ვახტანგ VI, თეიმურაზ ბაგრატიონი), მიანიშნებს თხზულების დიდ მოცულობაზე.

პირდაპირი მნიშვნელობით, „სამთა“ გულისხმობს პოემის სამ მთავარ გმირს: ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს, ხოლო ალეგორიული მნიშვნელობით, საფუძვლიანად მიგვაჩნია იმ მკვლევართა პოზიცია, რომლებიც მასში მოიაზრებენ წმინდა სამებას.

## მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

### **გარე კომპონენტის შემცველ რთულ სიტყვათა მართლწერისათვის**

თანამედროვე ქართულში აქტუალურობას არ კარგავს გარე კომპონენტის შემცველი რთული სიტყვების დაწერილობის საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარე განიმარტება შემდეგნაირად: პრეფიქსი, რომელიც დაერთვის არსებით ან ზედსართავ სახელებს და აღნიშნავს რაიმეს ფარგლებს მიღმა (//იქით) ან რაიმეს ირგვლივ მყოფობას, არსებობას: გარე-სამყარო, გარე-სკნელი, გარე-მოცველი, გარე-მორტყმული, გარე-მოცული... წარმოშობით ზმნისართია, გამოიყენებოდა თანდებულადაც... (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: 1. ზმნს. გარეთ, რაიმეს (ვინმეს)იქით, განგან, განზე, მიღმა (საპირირისპ. შინ, შიგნით); 2. გარშემო, გარს; 3. თანდ. იხმარება ნა-

თესაობითსა და მიცემით ბრუნვებთან, – იგივეა, რაც გარეთ // გარე-  
შე; 4. (გარესი) გარეგანი, გარეშე, გარეთი, გარეთა (საპირისპ. შინა,  
შინაგანი, შიგნითა); 5. ფიგ. გარე სამყარო, გარემომცველი სამყარო  
(ქეგლი).

**გარე-** კომპონენტისანი რთული სიტყვები რამდენიმე ჯგუფს  
ქმნის:

**გარე** + არსებითი სახელი: **გარეკუთხე, გარეუბანი, გარეპირი,  
გარეკილიბი...**

**გარე** + კომპოზიტური არსებითი სახელი: **გარეხიმაშვილი...**

**გარე** + კომპოზიტური მიმღეობა: **გარეკანშემოცლილი...**

**გარე** + მიმღეობა (სასუბიექტო თუ საობიექტო): **გარემარბი, გა-  
რემოცული, გარეგამხედავი;**

**გარე** + -ელ, -ურ სუფიქსებით ნაწარმოები სახელები: **გარეუბ-  
ნელი, გარეპოლიტიკური...**

**გარე** + საწყისი: **გარეხედეა...**

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი: **გარე-გარე** და სხვა.

ასევე გვხვდება **გარეს** შემცველი შესიტყვებები: **გარე სამყარო,  
გარე განათება, გარე ვაჭრობა, გარე მიგრაცია, გარე ავტოსადგომი...**

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ გარეს შე-  
მცველი ზემოთ დასახელებული შესიტყვებები რადიო-ტელევიზიი-  
სა და პრესის ენაში სხვადასხვაგვარი დაწერილობით დასტურდება  
– უშუალოდ შესიტყვებად (ცალ-ცალკე) და კომპოზიტად (ერთად):  
**გარე სამყარო // გარესამყარო; გარე განათება // გარეგანათება; გარე  
ვაჭრობა // გარევაჭრობა; გარე მიგრაცია // გარემიგრაცია; გარე ავტო-  
სადგომი // გარეავტოსადგომი...**

მაგალითები: „გაეცანით **გარე განათების** სხვადასხვა ტიპებს  
და რჩევებს თქვენი სივრცისთვის შესაფერისი მოწყობილობების  
ასარჩევად“ (besenledlight. com), შდრ.: „კანცელარიისა და შსს-ს შე-  
ნობების **გარეგანათება** ბიუჯეტს მილიონი დაუჯდება“ (rustavi 2.  
org); „დღეიდან სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით **გარე ვაჭ-  
რობა** 1000 ლარით დაჯარიმდება“ (kvispalitra. ge), შდრ.: „გარკვეუ-  
ლი პერიოდის შემდეგ, ხელისუფლებამ კვლავ დაუშვა **გარევაჭრო-  
ბა**“ (netgazei. ge) და ა. შ.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ით-  
ქვას, რომ **გარეს** შემცველი შესიტყვებები ერთ სიტყვად დაწერის  
ტენდენციას ამჟღავნებენ.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება (თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით) აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

## რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

### **ხინალულური ენის ადგილის განსაზღვრისათვის დადესტნურ ენათა შორის. I. ძირეულ ლექსიკაში მომხდარი ზოგიერთი ფონეტიკური პროცესის ანალიზი<sup>1</sup>**

ხინალულური ენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი გვხვდება: ზოგიერთი მკვლევრის (რ. ერკერტი, ჟ. დიუმეზილი, ე. ბოკარევი, ბ. თალიბოვი, გ. კლიმოვი, ა. კიბრიკი, ს. კოძასოვი, ი. ოლოვიანიკოვა, ბ. გიგინეიშვილი, ალ. მაჰომეტოვი, გ. თოფურია, ფ. განიევა, მ. ქურდიანი და სხვა) აზრით, ხინალულური ენა ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფში შედის, ხოლო როგორც სხვა მკვლევრები (ნ. ტრუბეცკოი, რ. ლაფონი, რ. შაუმიანი, ი. დეშერიევი, მ. ალექსეევი, ვ. შულცე და სხვა) მიიჩნევენ, ხინალულური ქმნის ცალკე ქვეჯგუფს დადესტნურ (ან ნახურ-დადესტნურ) ენათა შორის. თბილისურ კავკასიოლოგიურ სკოლაში გაბატონებული იყო პირველი მოსაზრება, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს მხოლოდ ბ. გიგინეიშვილმა დაუთმო თავის შემაჯამებელ მონოგრაფიაში „დადესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“.

ბ. გიგინეიშვილი მიიჩნევს, რომ ხინალულური საერთოლევზიურს არჩიზულისა და უდიური ენების შემდეგ გამოეყო. ბ. თალიბოვის აზრით კი, „საერთოლევზიური ფუძე-ენის დაშლა დაიწყო ხინალულური ენის გამოყოფით“. ბ. გიგინეიშვილის მოსაზრება ძირითადად ლეზგიურ ენებში განვითარებულ \*ზ > \*ჟ პროცესს ეფუძნება: საერთოდადესტნურმა \*ზ ბგერამ ლეზგიურ ენებში (და ხინალულურში) ანლაუტსა და უმახვილო უკანა რიგის ხმოვნების წინ

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით: გრანტი № FR-24-10850.

მოგვცა \*ტ, თუმცა უდიურსა და არჩიბულში ეს პროცესი არ შეინიშნება, მაგ.:

ანდ. ბორწი: ახვ. ბოწო: დიდ. ბუცი: დარგ. ბამ (ურახ., აკუმ.)  
|| ბაც (წოდ.): ლაკ. ბარზ (< \*ბარგზ): არჩ. ბაც: კავკ.-ალბ. ბუზე:  
ლეზგ. ტარმ (< \*ტარგმ): თაბ. ტამ: აღ. ტახ: რუთ. ტახ: წახ. ტახ: ხინ.  
ტაწ „მთვარე“, „თვე“;

პირველისაგან განსხვავებით, შეუძლებელია დავეთანხმოთ ბ. გიგინეიშვილის მეორე არგუმენტს: მკვლევრის აზრით, საერთო-ლეზგიურში არჩიბულისა და უდიურის გამოყოფის შემდეგ ასევე ანლაუტსა და უმახვილო უკანა რიგის ხმოვნების წინ დ ფონემამ დენტალური სპირანტი მოგვცა (\*დ > \*ტ; შემდგომში \*ტ > \*ზ), რაც, როგორც ბ. გიგინეიშვილი მიიჩნევს, ხინალულურშიც მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვარაუდი ფაქტობრივად ერთ მაგალითზეა დაფუძნებული:

ხუნძ. დუ-ნ: ანდ. დე-ნ: ახვ. დე-ნე: დიდ. დი: ხვარშ. და: დარგ. დი (ირიბი ბრ. ფუძე): ლაკ. თუ (ირიბი ბრ. ფუძე): ლეზგ. ზუ-ნ: თაბ. იზუ: აღ. ზუ-ნ: რუთ. ზგ: წახ. ზგ: ხინ. ზგ: არჩ. ზონ: უდ. ზუ „მე“.

მ. ალექსეევი კი მიგვითითებს ორ ფონეტიკურ პროცესზე, რომლითაც, მისი აზრით, ხინალულური ლეზგიურ ენებს უპირისპირდება, ესენია:

საერთოდადესტნური მჟღერი აფრიკატების ცვლილება – ავტორის თქმით, „ხინალულური ინარჩუნებს აბრუპტიულობას, რითაც უფრო უახლოვდება, მაგალითად, ხუნძურს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში საერთოდადესტნურმა მჟღერმა აფრიკატებმა (ლატერალური რიგის გამოკლებით) მოგვცეს ორ-ორი კანონზომიერი რეფლექსი, სახელდობრ – მჟღერი სპირანტი და ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატი, რომლებიც პოზიციურად არ არის შეპირობებული. ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებით, ეს მეტყველებს მათი თავისუფალი მონაცვლეობის შესახებ უკვე საერთო-ხუნძურ-ანდიურ ფუძე-ენაში:

ხუნძ. მიჭ: ანდ. მიჭი: ახვ. მიწი: დიდ. მეჩა: დარგ. ნიძ: ლაკ. მიჭ: არჩ. მაჩ: ლეზგ. მიჯ („საკვები ბალახეული“): აღ. მაჯარ: კრიწ. მეჯ: ხინ. მეჭ „ჭინჭარი“; შდრ.:

ხუნძ. ზაზ: ახვ. ჟაჟა: დარგ. ძანძი (ურახ., ავუმ.) || ცაცე (წუდ.): ლავ. ცაც (< \*ცაზ): ლეზგ. ცამ: თაბ. ძამა: აღ. ზაზ: რუთ. ზიზა „ეკალი“;

საყურადღებოა, რომ დიდოური ენები ამ შესატყვისობათა ფორმულებში სუსტი ფშვინვიერი აფრიკატებითაა წარმოდგენილი. ეს არ გვამღვეს საშუალებას, რომ საერთოდადესტნური მჟღერი აფრიკატების შესატყვისად აღვადგინოთ ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატები საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ დონეზეც კი. აქედან გამომდინარე, საუბარი იმის შესახებ, რომ ხინალულურმა ამ ბგერათშესატყვისობათა ფორმულაში „შეინარჩუნა“ აბრუპტიული თანხმოვანი, არაკორექტულია. ამას გარდა, გასათვალისწინებელია, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში გვაქვს ინტენსიური აბრუპტივი, ხოლო ხინალულურში – სუსტი. ამდენად, რელევანტურ ფონეტიკურ პროცესთან მაინც არ გვაქვს საქმე.

ვერ გავიზიარებთ მ. ალექსეევის მიერ შემოთავაზებულ მეორე არგუმენტსაც. მ. ალექსეევის აზრით, ხინალულური ლეზგიურ ენათაგან განსხვავებით, რომლებშიც საერთოდადესტნურ სუსტ აფრიკატთა სპირანტიზაცია განვითარდა, ინარჩუნებს ამოსავალ თანხმოვანს.

მკვლევარი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ლეზგიურ ენებში საერთოდადესტნური სუსტი აბრუპტიული აფრიკატები, როგორც წესი, უცვლელადაა შემონახული, ხოლო ფშვინვიერმა სუსტმა აფრიკატებმა, გარდა არჩიბულისა და უდიურისა, მოგვცა ორ-ორი პოზიციურად შეპირობებული რეფლექსი: სპირანტიზაცია მოხდა მხოლოდ ანლაუტში, ხოლო დანარჩენ პოზიციებში ამოსავალი თანხმოვანი შენარჩუნებულია; არჩიბულსა და უდიურში კი საერთოდადესტნური სუსტი ფშვინვიერი აფრიკატები ყველა პოზიციაში გადავიდნენ სპირანტებში (ბ. გიგინეიშვილი):

ხუნძ. მეჩ: ანდ. უნჩი: ახვ. მეჭე (< ხუნძ.): დიდ. ჰენეშ: დარგ. შინც: ლავ. ჰიჭჩ: არჩ. ა'ნშ: ლეზგ. იჩ: თაბ. ჟიჩ: აღ. ჰაჩ: რუთ. შჩ: წახ. ეჩ: კრიფ. დეჩ: უდ. ეშ: ხინ. მეჩ „ვაშლი“...

ვფიქრობთ, რომ მაინც გვაქვს რამდენიმე ფონეტიკური პროცესი, რომელიც ეჭვეკემ აყენებს ხინალულური ენის სტატუსს, რო-

გორც ერთ-ერთი ლეზგიური ენისა. მათ შორისაა ერთი „ანომალიური“ ზგერათშესატყვისობა, რომელიც ბ. გიგინეიშვილს უკანაველარული ფარინგალიზებული ხშულ-მსკდომის (\*ყ<sub>1</sub>) პოსტულირების საშუალებას აძლევს:

ხუნძ. ზინკა: ანდ. ჰინკაუ: ახვ. იწკოტი: ხვარშ. აყტე: ლაკ. კულუ: არჩ. ნოყონ: ლეზგ. ყიჭ: თაბ. ყულ: აღ. ცულ: რუთ. ყულ: წახ. ყოჭ: კრიწ. ყალ: ბუდ. ყალ: ხინ. ნუკურ „თაგვი“;

ხუნძ. კი-: ბოთლ. კე-: ახვ. კე-: დიდ. ყა-: დარგ. კი-: ლაკ. კი-: არჩ. ყტე-: ლეზგ. ყტე-: თაბ. ყრ-: აღ. ცა-: რუთ. ყტე-: წახ. ყო-: კრიწ. ყტა-: ბუდ. ყა-: უდ. პა<sup>ა</sup> (< \*ყ<sup>ა</sup>ტა): ხინ. კუ „ორი“...

ლეზგიურ ენებში ერთმანეთს დაემთხვა საერთოდადესტნური \*ყ და \*ყ<sub>1</sub>-ს რეფლექსები, ხინალულურში კი ისინი განსხვავებულია. ეს ექვეყვემ აყენებს ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ხინალულური ენა არჩიზულისა და უდიურის შემდეგ გამოეყო საერთოლეზგიურს. თუმცა ეს საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

## თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე, გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ე ი ლ ი

### ებრაელთა ქართული (ტერმინისა და ცნების საკითხისათვის)

ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა ებრაელთა მსოფლიო ენების კვლევა. ამ კვლევებმა მოითხოვა ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის სტატუსის მინიჭება და შესაბამისი (საერთაშორისო) ტერმინის შექმნა. უმეტეს კვლევებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ქართველ ებრაელთა მეტყველების აღსანიშნავად გამოიყენებენ ტერმინს ებრაელთა ქართული (ინგლისური ვარიანტი Jewish Georgian (R. Enoch 2010) and Judeo-Georgian (Lomtadze Enoch 2029, S. Benor 2021. ამგვარი ყალიბებითაა ნაწარმოები მსოფლიოში არსებული ებრაელთა თითქმის ყველა ენა და ენობრივი ნაირსახეობა).

მართალია, ქართველ ებრაელთა მეტყველება ქართული დიალექტური სივრცის ორგანული ნაწილია. მაგრამ საკუთრივ ქართული დიალექტების გამოყოფისა და სახელდების პრინციპი სხვაობს ებრაელთა ქართულის გამოყოფისა და სახელდების პრინციპისაგან.

ქართული დიალექტების გამოყოფა ხდება ეთნიკური და ტერიტორიული პრინციპების მიხედვით; ასეც ვუწოდებთ - ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები (კახური, ქართლური, ფშაური, იმერული და სხვა). დიალექტის სახელდება ხდება ან ტერიტორიის სახელწოდებიდან (რაჭა -რაჭული, ლეჩხუმი - ლეჩხუმური, ფშავი - ფშაური...), ან ეთნიკური ტერმინიდან (თუში - თუშური, მოხევე - მოხეური, მთიული - მთიულური...)... ყველა შემთხვევაში ეს სამი ტერმინი (ეთნოსის აღმნიშვნელი, ტერიტორიისა და დიალექტის) ასე მიემართება ერთმანეთს...

რაც შეეხება **ქართველ ებრაელთა მეტყველებას**, მისი სახელდებისათვის გამოვიყენებთ მხოლოდ ეთნიკურ მონაცემს, მაგრამ ვერ მოხერხდება ტერიტორიული პრინციპის მოშველიება, რადგანაც ქართულად მეტყველი ებრაელები კომპაქტურად მოსახლეობენ სხვადასხვა კუთხეში (ქართლში, იმერეთში, სამცხეში, რაჭაში)... ამიტომ ტერმინი შეიქმნა ეთნიკურ პრინციპზე - **ებრაელთა ქართული** (ასე იცნობენ ამ მეტყველებას მსოფლიოს ებრაელთა ენების სამყაროში). ამის გამო მას **ეთნიკურ დიალექტად**, ანუ ეთნოლექტად სახელსვდებთ.

ბუნებრივია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველება განიცდის იმ დიალექტის გავლენას, რომლის წიაღშიც ის იმყოფება. ეს აშორებს ერთმანეთს და აახლოებს შესაბამის ქართულ ეთნიკურ-ტერიტორიულ დიალექტთან... ამიტომაც სხვადასხვა კუთხის ებრაელთა ქართული ერთმანეთს მიემართება, როგორც კილოკავები; ეთნოდიალექტის შიგნით არსებულ ნაირსახეობათა აღსანიშნავად შეიძლება გამოვიყენოთ პირობითად ტერმინი **ქვედიალექტი**.

ამგვარად, ქართული დიალექტების გამოსაყოფად გამოყენებულია ერთდროულად ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპი; ებრაელთა ქართული მეტყველებისათვის ეთნიკური პრინციპი - ეთნოდიალექტის (ეთნოლექტის) გამოსაყოფად, ხოლო ტერიტორიული პრინციპი - ქვედიალექტების გამოსაყოფად.

ებრაელთა ქართულის ტერიტორიული პრინციპით გამოყოფილი ქვედიალექტები იქნება: ქართლური ქვედიალექტი (აერთიან-

ნებს თბილისელ, ცხინვალელ, სურამელ, გორელ ებრაელთა მეტყველებას), იმერული ქვედიალექტი (ქუთაისელი, ვანელი, კულაშელი, საჩხერელი ებრაელებისა და აქვე გაერთიანდება სამეგრელოში მაცხოვრებელთა მეტყველება... ეს რთული ერთეულია, საგანგებო მსჯელობის საგანი), კახური ქვედიალექტი, რაჭული/ონური ქვედიალექტი, ლეჩხუმური / ლაილაშური ქვედიალექტი ი, სამცხური/ახალციხური ქვედიალექტი, აჭარული/ზათუმური ქვედიალექტი.

შიდადიალექტური დიფერენციაცია ეთნოდიალექტის ქვედიალექტებისა არაერთგვაროვანი იქნება იმისდა შესაბამისად, თუ რა გავრცელება აქვს ამა თუ იმ ტერიტორიასზე (კუთხეში) ებრაელთა მეტყველებას... ეს დამატებითი კვლევა-ძიების საკითხია.

## ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### „გელაზი“ ლექსების წამომავლობისათვის<sup>1</sup>

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსემა **გელაზი** განმარტებულია შემდეგნაირად: ზეთის სახდელი დიდი მრგვალი ქვა, დოლაზი. ჭაბუკი წყალში შეცურდა, მიდის და მიუხაროდა, ცალ მკლავზე გელაზი ეცვა, მარჯვენას ისე ხმარობდა. (ხალხ.) (გიორგიმ) მოთხარა, ამოაბრუნა რამდენიმე გელაზი (ვ. ბარნ.) არ გინახავს ჩვენს ეზოში გელაზები? (გ. ლეონ.) უდგათ ზარფუში და ზედადგარი, წისქვილის გელაზს კლდეებში თლიან (გ. გეგეჭკ.) (ქეგლი 1993)

საბასთან **გელაზი** განმარტებულია როგორც „ზეთის სახდელი ქვა“ (საბა 1993).

ქართული მატერიალური კულტურის ლექსიკონი ასე აღწერს **გელაზს** – მთლიანი ბორბალი გამოთლილი ბაზალტის ქვისგან. გელაზი ზეთსახდელის, საზეთე წისქვილის მოძრავი სამუშაო ნაწილია. გელაზი შუაში ოთხკუთხედადაა ჩაჭრილი. ნახვრეტში გაყრილი ჰორიზონტალური ღერძის ერთ ბოლოზე უდელს ამაგრებდნენ და გამწევ ძალას აბამდნენ.

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით: გრანტი № FR-24-10850.

გელაზის გარე პირის დიამეტრი შიდაზე მეტი იყო, რის გამოც სამუშაო პირის ძგიდე ირიბად იყო აჭრილი და ქვის ფილებით მოპირკეთებული წრიული კალოს დახრილობას შეესაბამებოდა. უღელში შებმული გამწევი ძალა ურმის თვალისგან ცერზე შეყენებულ ბორბალს კალოს ირგვლივ აგორებდა. გელაზის ქვით ხდებოდა სელის მარცვლის დაქუცმაცება-დაფქვა, დაგელაზება და შემდეგ ზეთის გამოხდა.

გელაზები უმეტესად დიდი ზომისაა. მათი დიამეტრი მეტრ-ნახევრიდან დაწყებული ორ მეტრს აჭარბებდა. (ს. ალასტანში გელაზის დიამეტრი 2მ. და 30 სმ., ს. ტურცხში –2 მ. 12 სმ., ს. წყალთბაში – 2მ. 25 სმ (სამცხ.-ჯავ.).

გელაზის ზედაპირი შემკული იყო სხვადასხვა რელიეფური მოტივებით. აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ფონდში დაცული ს. გუნიასალადან ჩამოტანილი გელაზი. იგი ყურადღებას იქცევს მხედრული წარწერის ფრაგმენტით, რომელშიც გარკვევით ამოიკითხება: „გელაზი“ ჩვენ ავგაროზიშვილებმა“ – რაც უნდა მიუთითებდეს ამ ნივთის ან ავგაროზიშვილთა კუთვნილებაზე, ან მის გამომკვეთ ხელოსნებზე. ამავე გელაზზე გამოსახულია გუთნეული და მის უკან მიმყოლი კაცი.

გელაზები ძირითადად გავრცელებული იყო საზეთე სელის ინტენსიურად გავრცელების არეალში (სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთი). აღმოჩენილ გელაზთა შორის ყველაზე ადრეულია მესხეთში მიკვლეული გელაზის ნაშთები. ლიტ.: გ. ჩიტაია, გელაზი, ძმ. № 20, 1970. ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები) 1963, (ქართული მატერიალური კულტურის ლექსიკონი, თბილისი, 2022 : 83).

აბაზურში დასტურდება იმავე ბგერითი შედგენილობის ლექსემა **გელაზლარა** „დგომა / ადგომა“, ჩვენ ვიქრობთ, რომ სიტყვის **გელაზი** ამოსავალი მნიშვნელობა შემონახული უნდა იყოს სწორედ ამ აბაზურ ლექსემაში, რომელმაც სესხებისას შესაბამისი ფონოტაქტიკური ტრანსფორმაცია განიცადა და **ზლარა** მასდართა მაწარმოებელი აფიქსის ლარა ელემენტი მოეკვეცა : **გელაზლარა > გელაზ(ი)**.

როგორც **გელაზის** მუშაობის აღწერისას არის აღნიშნული, **უღელში შებმული გამწევი ძალა ურმის თვალისგან ცერზე შეყენებულ ბორბალს კალოს ირგვლივ აგორებდა.**

სწორედ ეს ნიუანსი – **ურმის თვალისთვის ცერზე შეყენებული** მუშაობა, ანუ **დგომა**, შეიძლება იყოს ამ სახელწოდების შინაარსის განმსაზღვრელი.

თავად აბაზურში დოლაბის აღმნიშვნელია ლექსემა **ალუ**, რომელიც, ისევე როგორც **დოლაბი** ლექსემა, ნასესხები ჩანს.

რადგან **გელაზს** აბაზურში ახსნა ეძებნება, ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი წარმოშობით აბაზურია, შემდეგ გავრცელდა ქართულში. შესაძლოა, გელაზებს ჩრდილო კავკასიის ბაზალტის კლდეებშიც ამ-ზადებდნენ და ამიტომაც, სახელწოდებაც ამ სასოფლო-სამეურნეო იარაღს სწორედ აბაზურიდან შემოჰყვა.

## მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

### **სვანურ ღვთაებათა პანთეონის ზოგი არქაული ტერმინის წარმომავლობისათვის. IV. ლაპატრა<sup>1</sup>**

სვანურ „ღმერთთა“ თუ „ღვთაებათა“ პანთეონში რელიქტის სახით არაერთი ისეთი საკრალური ტერმინი შემორჩა, რომელთა ნაწილი წარმართულია, ნაწილი კი ქრისტიანული, თუმცა ძალზე ხშირად ქრისტიანული და წარმართული ლექსიკური ერთეულები აღრეულია ერთმანეთში და დიდი ძალისხმევაა საჭირო მათი თავდაპირველი მნიშვნელობის დასადგენად.

ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს სწორედ ამგვარი არქაული რელიგიური ლექსიკური ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი წარმოადგენს ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასალის მეტი წილი, სამწუხაროდ, მხოლოდ და მხოლოდ ნაბეჭდმა ტექსტებმა შემოგვინახეს, ნაწილი კი ველზე მუშაობის შედეგად მოვიპოვეთ. ცხადია, სვანური პანთეონის „ღმერთთა“ თუ „ღვთაებათა“ სახელებიდან ბევრი შესწავლილ-გაანალიზებულია როგორც ეთნოგრაფიული, ასევე ენათმეცნიერული თვალსაზრისი-

---

<sup>1</sup> ნაშრომი მომზადდა 2022 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (N FR – 22 – 7056) – „სვანური რელიგიური ლექსიკის ეთნო-ლინგვისტური ასპექტები“ ფარგლებში.

თაც, თუმცა გვხვდება ბევრი ისეთი ტერმინი, რომელთა კვლევა დღემდე არავის უცდია.

ზემოსვანურ დიალექტებში დადასტურდა „ღორების მფარველი ღვთაების“ აღმნიშვნელი რამდენიმე საინტერესო ლექსიკური ერთეული: ბქ. **ჯაჯღლზ/ჯაჯგილ/ჯერჯლზ** და ბზ. **ლაპატრა**, რომელთა ეტიმოლოგიის გარკვევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ბალსქვემოური **ჯაჯღლზ/ჯაჯგილ/ჯერჯლზ** სიტყვის შესახებ მსჯელობისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ და ყურადღებას შევაჩერებთ ბალსზემოურ **ლაპატრა**-ზე, რომელიც შეტანილია ვ. თოფურისა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ყოველგვარი ილუსტრაციისა და წყაროს მითითების გარეშე, თუმცა სვანურში ამ სიტყვის არსებობაზე მიუთითებს ბ. ნიჟარაძე თავის ეთნოგრაფიულ წერილებში.

ჩვენი აზრით, ეს მეტად არქაული და უკვე თითქმის დავიწყებას მიცემული ლექსიკური ერთეული ნაწარმოები სიტყვაა და შემდეგნაირად დაიშლება: **ლა-პატრა**-ა. **ლა-** – **ა**, როგორც ვიცით, დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი ძირითადი ცირკუმფიქსია, -**პატრა**- კი ძირია, რომლის მნიშვნელობაც, ცხადია, გასარკვევია.

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა მეგრული მესაქონლეობის (კერძოდ, ძროხის, ფურის, ხბოს) მფარველი ღვთაების სახელი **პატენია**, რომელიც ნაწარმოებია ქართული ბატონის შესატყვისი მეგრული **პატონი** სიტყვისაგან და ხშირად გამოიყენება სინტაგმაში მსაზღვრელად: **პატენია ჩხოვ, პატენია გინი** „ხატისთვის მიჩნეული, ხატისთვის განკუთვნილი ძროხა, ხბო“ (ს. მაკალათია; მ. ბუკია...).

მოხსენებაში მეგრული ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებითა და სვანურ-მეგრულ ფორმათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე შესაძლებლად ჩავთვალებთ, სვანური საანალიზო ძირი -**პატრა**-, რომელიც გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით, მომდინარეობდეს სწორედ მეგრული **პატენ-/პატენ-** (< **პატენი/პატონი** < ქართ. ბატონ-ი)საგან **თანხმოვანთა სუბსტიტუციითა** და **ინლაუტისეულ ხმოვანთა მონაცვლეობით**) ძირისაგან *აუსლაუტისეულ სონორ თანხმოვანთა მონაცვლეობითა* და *ძირეული ხმოვნის რედუქციით*, რაც დანიშნულების მაწარმოებელი აფიქსების დართვას უნდა გამოეწვია. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ორივე საკულტო ტერმინი, მეგრულიც და სვანურიც, სწორედ შინაური ცხოველების (*ძროხის, ფურის, ხბოს, ღორის...*) მფარველი ღვთაების აღმნიშვნელად გამოიყენება.

## თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

### **ერთი ტიპის კომპოზიტა და მათი შესაბამისი შესიტყვებების მართლწერისათვის**

თანამედროვე ქართულში არის ერთი ტიპი კომპოზიტებისა, რომლებიც მიიღება ბრუნვისფორმიან სიტყვასთან თანდებულის ან თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართის შერწყმით.

აღნიშნული სახის რთულ სახელებში პირველ კომპონენტის მიხედვით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ქვეტიპი, რომელთაგან ჩვენი ინტერესის სფეროში შემოდის ბრუნვისნიშანშენარჩუნებული ფორმის შემცველი რთული სახელები და შესიტყვებები.

ცნობილია, რომ ზოგადი ტენდენციის მიხედვით, ბრუნვის ნიშნის სრული ან ნაწილობრივი ჩამოცილება არის კომპოზიციის ხელშემწყობი ფაქტორი და პირიქით, ბრუნვის ნიშნის არსებობისას უმეტესად გვაქვს შესიტყვება და არა რთული სიტყვა. შდრ.:

**ეჭვგარეშე**, მაგრამ **ეჭვის გარეშე**

**კლასგარეშე**, მაგრამ **კლასის გარეშე**

**წყალგაღმა**, მაგრამ **წყლის გაღმა**

**უღელქვეშ**, მაგრამ **უღლის ქვეშ**

**თავზევით**, მაგრამ **თავის ზევით**

**თვალწინ**, მაგრამ **თვალის წინ**

**ცხვირწინ**, მაგრამ **ცხვირის წინ**

**ბომბებშუა**, მაგრამ **ბომბებს შუა**

**თითებშუა**, მაგრამ **თითებს შუა** და სხვ.

მიუხედავად აღნიშნული ტენდენციისა, არსებობს რთული სიტყვები, რომლებშიც შენარჩუნებულია ბრუნვის ნიშანი, მაგრამ ერთად უნდა დაიწეროს. მაგ., **ბუნებისმიერი**, **ძალისმიერი**, **სოკოს-მიერი...** **მთვარისირგვლივი...** **სკოლისგარეშე** (განათლება), **ბირჟის-გარეშე** (ოპერაციები)...

ზოგჯერ იმდენად იდენტურია კომპოზიტისა და შესიტყვების შემადგენელი ელემენტების ფორმა, რომ სემანტიკისა და არნ. ჩიქო-ბავას მეთოდის (რომელიც გულისხმობს შემადგენელ ნაწილთა გათიშვას გადასმით ან შიგ სხვა სიტყვის ჩართვით) მოხმობის გარეშე მათი მართლწერის საკითხის გადაწყვეტა რთულია. შდრ.:

**სკოლისგარეშე** სახელოვნებო განათლება უმნიშვნელოვანესია პიროვნების ჩამოყალიბებისთვის.

სოფელი **სკოლის გარეშე** ვერ იქნება.

გარდა ერთად თუ ცალ-ცალკე დაწერილობის პრობლემისა, იკვეთება კიდევ ერთი საკითხი.

თანამედროვე ქართულში ზოგჯერ კომპოზიტების შესაბამისი შესიტყვების ფორმები ხან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება, ხანაც მიცემითისა. შდრ.:

ექვგარეშე – ექვს გარეშე – სკოლის გარეშე

ხევგალმა – ხევს გაღმა – ოკეანის გაღმა

ზურგს უკან – ზოოპარკის უკან... და სხვ.

მოხსენებაში მასალის კვლევის საფუძველზე შემოთავაზებული იქნება მართებული ვარიანტები.

## ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

### **დიალექტური მასალის ჩაწერის პრინციპები (XX საუკუნის 10-20 იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით)**

ქართული ენის დიალექტების მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის 10-იანი წლებიდან იწყება. სათანადო ნაშრომებში ძირითადი აქცენტი 20-იან წლებიდან წარმართულ კვლევა-ძიებაზე კეთდება, მას შემდეგ რაც მუშაობას სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება.

20-იანი წლებიდან აქტიურად წარმართულ სადიალექტოლოგიო საქმიანობას წინ უძღოდა პეტერბურგში ნიკო მარის ხელშეწყობით წამოწყებული დიალექტოლოგიური მიმართულების კვლევა-ძიებანი. 1911 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი აკაკი შანიძე ფაკულტეტმა მიავლინა ფშავსა და ხევსურეთში დიალექტოლოგიური მასალის შესაგროვებლად. 1913 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით აკაკი შანიძე ისევ გააგზავნეს საქარ-

თველოში მთის კილოების შესასწავლად. ასევე, ნიკო მარის დავალებით შეუდგენიათ პეტერბურგში მოღვაწე აკაკი შანიძესა და იოსებ ყიფშიძეს (1916 წ.) ორენოვანი (რუსულ-ქართული) „Програма для собиранія диалектических матеріаловъ по грузинскому языку – პროგრამა ქართული ენის დიალექტური (კილოკავური) მასალის შესაკრებად“. ეს არის პირველი პროგრამა, რომელშიც დასაბუთებულია დიალექტური მასალის ჩაწერის მნიშვნელობა და სათანადო პრინციპები, რომელსაც ითვალისწინებდნენ და ეყრდნობოდნენ მომდევნო წლებში მასალების შეკრებისას როგორც სტუდენტები, ისე პროფესორები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებულ პროგრამას „სამსახურობრივი დანიშნულება ჰქონდა და დაიბეჭდა 50, ან 100 ცალი“, შესაბამისად ის არ იყო ფართოდ გავრცელებული და ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამას დამატა ისიც, რომ ნაწილი მასალისა, რომელიც სხვა მასალებთან ერთად 1917 წელს რკინიგზის ვაგონით გამოიგზავნა პეტერბურგიდან საქართველოში (სადაც იყო ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, გ. ჩუბინიშვილის და ა. შანიძის ბიბლიოთეკები, ნაწერები და სხვა ნივთები) „დაიღუპა გზაში, სადაც ჩრდილო კავკასიაში, სადაც იმ დროს სამოქალაქო ომი იყო“ და თბილისამდე არ ჩამოუღწევია.

ჩვენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალებში სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ აღნიშნული პროგრამის (1916 წ. გამოცემული) ერთი ეგზემპლარი, რომელიც 50-იან წლებში ვარლამ თოფურიას მიერ ჩაწერილ სვანურ მასალებში იყო ჩადებული.

საარქივო მასალებიდანვე ირკვევა, რომ 1923 წელს „საენათმეცნიერო საზოგადოების“ წევრებმა შეიმუშავეს ანკეტა დიალექტოლოგიური მასალების ჩასაწერად (ანკეტის რამდენიმე ბეჭდური ეგზემპლარი დაცულია აკად. არნ. ჩიქობავას არქივში). აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფ. გიორგი ახვლედიანმა წერილობით მიმართა განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობის მთავარ გამგეს და სთხოვა ანკეტები გადაეგზავნათ მაზრებში, საჭიროების შემთხვევაში კი განევრცოთ სასურველი პუნქტები. ანკეტების შევსება უნდა დავალებინათ ამა თუ იმ სოფლის მასწავლებლებისათვის. პროფ. გ. ახვლედიანის განმარტებით, მეცნიერული მნიშვნელობის გარდა, ასეთი მუშაობის მიზანი იყო შეექმნათ ქართული ტერმინოლოგია და მოემზადებინათ ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონი.

მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული პროგრამასა და ანკეტაში პუნქტობრივად გაწერილი მასალათა ჩაწერის პრინციპები, ასევე, პროგრამის შემდგენლებთან დაკავშირებული სადავო საკითხები.

## ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### სამი ქართველური სიტყვის ისტორიისათვის

1. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული სიტყვისათვის **კურცხალი** („მსხვილი ცრემლი“) შეიძლება ამოსავლად **ყურწყალი** ვივარაუდოთ (ნ. მარი).

ჩვენი აზრით, ქართული **კურცხალი** უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ სიტყვას **კირცხი** „სეტყვა“. ფონეტიკური და სემანტიკური დაბრკოლება ამ დაკავშირებას არ ახლავს.

2. ქართული **მოგვი** „ჩემმა“ სიტყვას უკავშირდება მეგრული **მაგუია** „უხეში ფეხსაცმელი“, რომელიც **მოგუია**-საგან უნდა მოდიოდეს. მეგრული ნასესხობად განიხილება (მეგრულში **-ია** სუფიქსი გამოიყოფა).

3. ქართული მასდარი **ძრწოლა** „კანკალი, თრთოლა, ძლიერი შიში“ კავშირშია მეგრულ **წირწოლ**-ი „წრიალი“ სიტყვასთან; მეგრულში თავკიდური **წ ძ**-საგან მოდის რეგრესული ასიმილაციით (**წირწოლი** < \***ძირწოლი**).

## ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

### კერვასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების შესახებ მეგრულში

სამოსლის კერვასთან დაკავშირებით მეგრულში გამოიყოფა როგორც ზოგადი სიტყვა „ჭალა“ (რომლის შესახებაც მოხსენება და-

იბეჭდა 2025 წლის XLV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალებში სათაურით: „**კერვასთან დაკავშირებული (მეგრული ჰალა „კერვა“)** სიტყვის სემანტიკური ცვლილებები“), ასევე, სხვა ერთეულები, რომლებიც კერვის სხვადასხვა ნიუნსა თუ თავისებურებას გამოხატავენ (ეს თემა ნაწილობრივ არის განხილული ჩვენს სტატიაში „**სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში**“, საენათმეცნიერო ძიებანი, XXII, 2006). შემდგომ მასალა შეივსო ლექსიკონებიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან და დაემატა ველზე მოპოვებული ერთეულებიც.

კერვასთან დაკავშირებული ცალკეული ლექსიკა, რომელიც ვრცლად არის წარმოდგენილი, გაანალიზებულია სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით, ზოგი საერთოა ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემებთან. სტრუქტურულად გამოიყოფა მარტივი და ნაწარმოები, ასევე, ხმაბამდითი სიტყვები. წარმოებისას განსაკუთრებული როლი აკისრია ზმისწინებს, ამოსავლად გამოვლენილია ზმნური და სახელური ძირ-ფუძეები, რომლებსაც ზოგჯერ არაპირდაპირი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ კერვის შინაარსს ზმნისწინი სძენს.

წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს: **თხირიშუა** (თხირიშ-უა) „ფლეთა, ხევა, გლეჯა“, გადატ. თხლემა, გამეტებით გარტყმა (ჯოხის) (ქაჯაია, ქობალია). საკერავი მანქანით სწრაფად კერვასაც ნიშნავს; ხმაბამდითია. შდრ. ქართ. **თხლაშან**-ი;

**კონკუა** (კონკ-უა) „კონკების მიკერება, შეერთება“ (ქაჯაია, ქობალია). შდრ. ქართ. **დაკონკავ**-ს კონკებით, ძველი საკერებლებით დააკერებს, – დააკონკებს;

**აკოლიშუა** (აკო-ლიშ-უა) „სახელდახელოდ ამონემსვა, ამოკერვა“. შდრ.: მეგრ. ლიშ-ი „ნემსი“, ქართ. **ამონემსვა** (ამო-ნემს-ვა);

**აკორინაფა** (აკო-რინ-აფ-ა) „პირისპირ ყენება, პირში წაყენება, ერთმანეთს მიდგმა, მისადაგება, შედგენა“. **აკორინაფილ**-ი (აკო-რინ-აფ-ილ-ი) „დაპირისპირებული, პირში წაყენებული, ერთმანეთს მიდგმული, მისადაგებული; შედგენილი“, **აკორინელ**-ი (აკო-რინ-ელ-ი) „პირისპირ დამდგარი; ერთმანეთს მისადაგებული; შემდგარი (კაბა)“. შდრ. **რინაფა** (რინ-აფ-ა) „დაყენება“ (ქობალია);

**გურიშთ**-ი || **გურისთ**-ი || **გვირისტუა** (გვირისტ-უა) „გვირისტი“ (ქაჯაია, ქობალია, ჭარაია). შდრ. გურ. **გვირიშტ**-ი;

**აკოჩვართუა** (აკო-ჩვართ-უა) „უშნოდ შეკერვა“ (ეს ფორმა ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ). შდრ.: ა) მეგრ. **ჩვართ**-ი „საქმის

ცუდად მკეთებელი; ჩანჩურა“; ბ) კუთხ. (თუშ.) **ამოჩვართვამ** (ამო-ჩვართ-ვა-მ) „დაუდევრად მოქსოვა, მოჯღლარდვა“;

**თაგალუა** (თაგალ-უა) „დაგვირისტება“, **თაგალ**-ი „გვირისტი, მაგარი ნაკერი“. შდრ. ქართ. **თაგალ**-ი 1. ძვ. გვირიტი (საბა). 2. კუთხ. (ჯავახ.) ძაფით გამოყვანილი სახეები (ქეგლი);

**ელაბანდუა** (ელა-ბანდ-უა) „ამოზღაპრავდა, ჰაი-ჰარად ამოკერ-ვა“ (ქობალია). შდრ. ქართ. **ზღანდვა** – შორიშორს ნემსის ამოგებით, კერვა – ლამზვა;

**ათოტახუა** (ათო-ტახ-უა) „საკერავის ნაპირების შემოკეცა და შემოკერვა.“, **ათოტახილ**-ი (ათო-ტახ-ილ-ი) „ძირში შეტეხილი“ (ქობალია). შდრ. ქართ. **შემოტეხა**.

## მ ა ნ ა ნ ა   ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

### **შიშის ფენომენის პოეტურ-ლინგვისტური დესკრიფცია** **შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში** **წითელი და იისფერი**

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემა **წითელი და იის-ფერი** შიშის ფენომენის მრავალწახნაგოვან სურათს წარმოგვიდგენს. დიდი ხელოვანის ნააზრევნი საყურადღებოა როგორც ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, ისე პოეტურ-ლინგვისტური თვალსაზრისითაც.

შიშის თემა აქ მრავალგვარ ინტერესს აღძრავს, არამხოლოდ ხელოვანის პოზიციიდან, ვთქვათ, საკუთრივ ემოციის კონსტატაციით, ან კონკრეტულად მასთან დაკავშირებული ემოციური მდგომარეობების ნაირგვარად რეალიზებული შინაარსებით (მაგ., გაკვირვება, წყენა, წუხილი, რისხვა, სიძულვილი, სიხარული და სხვ.), არამედ ენობრივი სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციური სპეციფიკითაც (ლექსიკურ, სემანტიკურ, ინტონაციურ კომპონენტთა მჭიდრო ურთიერთობით). იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ხასიათის ფსიქოლოგიური პროცესი თავისებურად დაკავშირებულია ენობრივ სისტემასთან, მათი ურთიერთგავლენა (მიზეზები, მიზნე-

ბი, შედეგები) შემოქმედთათვის, განსაკუთრებით კი სიტყვის ხელოვანთათვის, გაცილებით აღმატებული და იდუმალების შემცველია, ვიდრე წმინდა წყლის მეცნიერული სწორხაზოვნება (მაგ., სამედიცინო ენაზე შიში, როგორც ავადმყოფობა, ფობია < ბერძნ. phobos და ამ ტერმინით რეალიზებული ზოგადი ცნების შემცველი ნომენკლატურული სახესხვაობები – მრავალგვარი, კონკრეტული ფობიები; მეტი თვალსაჩინოებისათვის შდრ.: ეშინია, შიში აქვს და შიშები დასჩემდა).“

საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, შიში არის მოსალოდნელი (ან თავსდატეხილი) საფრთხის განცდით გამოწვეული ცუდი, შემაწუხებელი გრძნობა. რამდენადაც ის არ არის მხოლოდ ადამიანური ოდენობა (ვარირებს ცოცხალ ორგანიზმთა სამყაროში, როგორც სულიერთა არსებითი ნიშან-თვისება), მით უფრო საინტერესოა მისი ადამიანური მახასიათებლების ნაირგვარობა. პოემაში ამ ემოციური მდგომარეობის მხატვრული ვარიაცია დიდწილად განსაზღვრავს მთავარი ოპოზიციური წყვილის **წითელისა და იისფერის** კონტრასტულ ბუნებას.

შიშის ფენომენი პოემის ძირითადი თემატური მარკერია. შიშის გასაგნებისა და ენობრივი მატერიალიზების გზაზე თხზულების მხატვრულ სტრატეგიაში საგანგებო მნიშვნელობისაა რამდენიმე კომპონენტი, კერძოდ:

პირველი და უმთავრესი: ცნება და სიმბოლო 37 (ოცდაჩვიდმეტი) – სოციალური კულტურის უარყოფითი კოდი – ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის უახლოესი წარსულიდან მკითხველისათვის უკომენტაროდ გასაგებ აზრობრივ ველს ქმნის;

მეორე და ძირითადი: ტრაგიკული შიში, როგორც ლოზუნგური ცნობიერებისა და ყოვლისმომცველობის სასტიკი რეზულტატი, ინდივიდუალურობის დაკარგვის სახიფათო ტენდენცია „კოლექტიურისა“ და „საყოველთაოს“ წიაღში;

მესამე და მრავალმხრივი მუდმივად პრობლემური, ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი კარპმანის სამკუთხედი. ეს არის მოჯადოებული სა-

მკუთხედი – მსხვერპლის, მოძალადისა და გადამრჩენლის სოციალური თამაში.

მოხსენებაში მსჯელობის ძირითადი საგანია პოემის ტექსტში ასახული შიშის ფენომენის პოეტურ-ლინგვისტური დესკრიფციის თავისებურებები.

მ ე რ ა ბ რ უ ხ უ ა

### **ზოგი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის ღვადა / გრემი**

1. სოფელი **ღვადა** აფხაზეთშია დამოწმებული, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, კოდორის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, მდინარე ცხენიშწყაროს მარჯვენა ნაპირზე. იმავე სახელის მონაწილეობით ცნობილია ჰიბრიდული (აფხაზურ-ქართველური) ტოპონიმი **ღვადა-ა-ხუწა**.

**ღვადა** XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ხშირად იხსენიება წყაროებში. 1886 წელს იგი ჯგერდის თემში შემავალი სოფელია. 1930 წელს კვლავ იმავე თემში შედიოდა. მიუთითებენ, რომ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის „აფხაზეთის ასსრ-ს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ“ დადგენილებით 1935 წლის 16 აგვისტოს ჯგერდის სასოფლოს საბჭოს გამოეყო სოფლები: აბააჟვახუ, **ღვადა**, ჯირგული, ახუწა და დაარსდა სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ **ღვადა**-ში. იქვე მიუთითებენ, რომ **ღვადა** მეგრულად „მსუქან, ნოყიერ მიწას“, „წყლისპირა ადგილს“ აღნიშნავს (ბ. ხორავა, პ. ცხადაია, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი, 2016).

რეალურად სოფლის სახელი **ღვადა** ინახავს *ბროლის* აღმნიშვნელ არქაულ მეგრულ სიტყვას, შდრ. **ღვანდა** „ბროლი“; ანუ სოფელს სახელი მაშინ დაერქვა, როცა შესაბამის სიტყვაში ნ ჯერ კიდევ არ იყო ფონეტიკურად განვითარებული.

ამასთან, *ბროლის* რეალიზება საქართველოს ტოპონიმოგრაფიაში ცნობილი ფაქტია, შდრ. **ბროლ**-ის-ქედი — სოფელი იმერეთის მხარის თერჯოლის მუნიციპალიტეტში (გოდოგნის თემი), რომელიც მდებარეობს მდინარე ჭიშურის (ყვირილის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს.

2. **გრემ**-ის ნაქალაქარი ყვარლის რაიონში მდებარეობს, ყვარელ-თელავის გზატკეცილის მე-15 კილომეტრზე, მდინარე ინწობის მარჯვენა ნაპირზე; იქ, სადაც მას ერთვის პატარა მდინარე ბოლია. ნაქალაქარის ერთი ნაწილი ინწობის მარცხენა მხარესაც შეინიშნება, რომელიც დღეს თანამედროვე მჭიდროდ დასახლებულ სოფელ ენისელს უკავია. ქალაქი გაშლილი იყო კავკასიონიდან გამომავალი სამების ქედის დაბოლოებაზე, მთიანი კავკასიონის და ალაზნის ველის შესაყარზე. მდინარის სახელი „ინწობა“ არც ვახუშტიმ და არც სხვა ძველმა წერილობითმა წყაროებმა არ იცის. ვახუშტი მას „**გრემის** წყლის“ ან „საბუე-**გრემის** წყლის“ სახელით მოიხსენიებს. **გრემი**-ი – ადგილის სახელი, ქართულ ტოპონიმოგრაფიაში, გარდა აღნიშნულისა, სხვაგანაცაა ცნობილი, ოღონდ კომპოზიტით. ესაა *გრემის ხევი*. იგი ვახუშტის მიხედვით და დღემდე შემორჩენილი ტოპონიმითაც, მდებარეობდა ბაზალეთის დასავლეთით და ერქვა სოფელს, რომელიც რამდენიმეგზის მოიხსენიება საბუთებშიც; *გრემის ხევი* შეწირული ყოფილა სვეტიცხოვლისადმი, რაც განუახლებია ალექსანდრე მეფეს 1398 წ. ესაა ყველაზე ძველი ცნობა, სადაც *გრემის ხევი* არის მოხსენიებული.

წარმომავლობის კუთხით, ქართულ ტოპონიმოგრაფიაში **გრემ**-ი განცალკევებით დგას და თანამედროვე ლექსიკის მეშვეობით მის ახსნა ვერ ხერხდება. ნ. მარის აზრი ფანტასტიკურია: კრემლ-ი (Кремль, resp. kreml) მომდინარეობს იაფეტური არქეტიპიდან (kremel, სრულ ხმოვნობისას keremel), შემოკლებული სახით იგი არის kerem, რაც ეთანადება ჩუვაშურ keremen-ს, უსრულთანხმოვნოდ იქნება ker-m / ker-p (შდრ. **კერპ**-ი „ქართველთა წარმართული ღმერთი“).

სინამდვილეში, ქართული **გრემ**-ი საერთოქართველური წარმომავლობისა ჩანს, რომლის კანონზომიერი რეფლექსი შემონახულია მეგრულში სრულმნიშვნელოვანი სიტყვის სახით. ასეთად მივიჩნევთ **გარამ**- ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც შემდეგი დერივატები მოეპოვება მეგრულში: **გარამ**-ი „ქვესკნელი, ჯურღმული, კარსტული ჭა; ბუნაგი (დათვისა); უღრანი“; **გარამ**-ელ-ა „მღვიმოვა-

ნი; მიწისქვეშა, მღვიმის წყალი“; **გარამ**-წყარ-ი „მიწისქვეშა წყალი, ხევის წყალი“; **გარამ**-უჩა „უფსკრულის მსგავსი სიბნელე“...

გარდა ამისა, **გარამ**- საკმაოდ გავრცელებული ტოპოლემაა სამეგრელოში, შდრ. **გარამელა** – მღვიმოვანი; მიწისქვეშა, მღვიმის წყალი. (ცხადაია, წალენჯიხა : 64); **გარამი**<sup>1</sup> – ჭასავით ჩასავარდნი ადგილი. ქვას ჩააგდებენ და ხრიგინ-ხრიგინით ვარდება (ცხადაია, ჩხორწყუ : 100); **გარამი**<sup>2</sup> – კარსტული ჭა; წყალქვეშა მღვიმე. (ცხადაია, ჩხორწყუ : 100).

ამიტომაც ვფიქრობთ, ქართ. **გრემ**- და მეგრ. **გარამ**- ფუძეთა შედარების საფუძველზე, საერთოქართველური ფუძეენის დონისათვის უნდა აღვადგინოთ \***გერემ**- არქექტიპი, რომლისთვისაც ძირითადი მნიშვნელობები უნდა ყოფილიყო: „ქვესკნელი, უფსკრული, ჯურღმული, კარსტული ჭა; ბუნაგი (დათვისა); უღრანი ადგილი“; ფაქტია, ფუძეენური წარმომავლობის **გრემ**- ფორმა მხოლოდ ქართულ ტოპონიმებში შემოგვრჩა, მაშინ, როდესაც მისი ძირითადი მნიშვნელობა ენაში დაკარგულია. და თუ -ემ / -ამ სუფიქსებია ქართველურში, მაშინ არარედუცირებული **გერ**- / **გა(რ)** შეიძლება ჩანდეს შიდაქართლის **გერ**-ი / **გერ**-ისი ტოპონიმში, ხოლო მეგრული **გა**- „სერი“ დღემდე ცოცხალი სიტყვაა, რომელიც გვხვდება ტოპონიმებშიც: **გა**-რახა, **გა**-ბარ-ი, შდრ. **გაბარ**-ი „ვაკე-ბორცვი; ვაკე, სერი“; ალ. ქობალია: **გაბარ**-ი „1. ზეგანი, გავაკება, ხევი მთასა და ბარს შორის; 2. გორაკის, ბორცვის სწორი ზედაპირი, თხემი“ (პ. ცხადაია).

## ნ ი ნ ე ლ ი   ქ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

### **ზოგი კომპოზიტის წარმომავლობისათვის ქართულში (1. ჩუმქარი; 2. ნიაქქარი)**

თანამედროვე ქართულ სამწერლო ენასა და მის ლექსიკონებში სხვადასხვა სიხშირით გვხვდება როგორც ძველი, ისე საშუალო ქართულის, ქართველური ენების და სხვადასხვა დიალექტების, როგორც ფონეტიკურად, ისე წარმოებით და სემანტიკურად ცვლილი ლექსემები. სამწუხაროდ, არა გვაქვს ისტორიული დიალექტოლოგია, ამიტომ ძნელი სათქმელია, სამწერლო ქართულის რომელი პე-

რიოდის ან დიალექტის კუთვნილებას წარმოადგენს ესა თუ ის ლექსემა.

ამჯერად შევეხებით კომპოზიტებს, 1. **ჩუმქარი**; 2. **ნიავექარი**, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ლექსემა ქარი 1. ჰაერის ძლიერი მოძრაობა – ქეგლი.

ლექსემა **ქარი** და მის ფუძე სხვადასხვა კუთხით განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ივ. იმნაიშვილი, ა. არაბული, ს. ომიაძე, ა. ქურდიანი, აგრეთვე, ნ. ჭოხონელიძე) ამიტომ აქ აღარ ვეხებით.

1. ახ. ქართ., დიალექტ. **ჩუმქარი** კუთხ. (მოხევ.) იგივეა, რაც ნამქერი. [მცენარეები] ზამთრობით იფარავდნენ [მგზავრს] ძლიერი ქარიშხლისაგან და *ჩუმქრისაგან* (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

დიალექტ. **ჩუნქარი** – თოვლის ნამქერი. „თუ *ჩუნქარი* ავარდა, მგზავრობას უნდა მაერიდა“ (მოხ. ქავთ.). **ჩონქარი**, **ჩუნქარი** ქარ-ბუქი. აქედან ჩაჩუმქრვა (მოჭ. შან.).

სამწერლო ქართულში გვხვდება ზმნური ფორმებიც. **ჩაჩუმ-ქრავს** წაყრება და დაფარავს, დამარხავს (თოვლი, ნამქერი). ბუქი და ქარიშხალი ყოველ წუთს გვიქადის *ჩაგვჩუმქროს* (ა. ყაზბ.) – ქეგლი. **იჩუმქრება**: (დათიამ და არჩილმა) იგრძნეს, რომ სწრაფად იჩუმქრებოდნენ, ძარღვები ეყინებოდათ (რ. ინანიშვილი).

ვფიქრობთ, **ჩუმქარი** იგივეა რაც ძველი ქართულის **ქარ-ცუარი** ქარიშხალი. *ქარ-ცუარი* სასტიკი იქმნა (დან. 252,30) – ზ. სარჯველაძე. ცვარი ნამი, დილისა ან საღამოს ნოტიო, ჩამოსული მცენარეთა ზედა; წვეთი – დ. ჩუბინაშვილი. ვფიქრობთ, რომ ძვ. ქართ. **ცუარ-ქარი** > ახ. ქართ. დიალექტ. **ჩუნქარ-ი** // **ჩუნქარი**.

\***ცუარ**- არქეტიპი აღდგენილია საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990).

ჩვენი აზრით, ფონეტიკური პროცესები ასე განხორციელდა: ძვ. ქართ. **ცუარ-** > **ცორ-** > **ჩონ-** > **ჩუმ-**; **ვა** კომპლექსი > **ო**; **ც** // **ჩ** სუბსტიტუცია, **რ** : **ნ** მონაცვლეობა (ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, 1964. გვ. 199, 211, 236).

2. ძვ. ქართ. **ნიავექარი** «ბორბალი», გრიგალი: „იყო *ნიავექარი* ქარისა დიდისა“ C, – „იყო ბორბალი ქარისა“ (DE მრ. 4, 37). „წმდეს ...სული *ნიავექარისა* (ფს. 10,6); „ვითარცა *ნიავექარი* უდაბნოდთ გამოვიდეს“ (I ეს. 21, 1); „*ნიავექარმან*, ვითარცა ქარქუეტნი, წარიხუნა იგინი“ (O ეს. 40, 24) – ილ. აბულაძე.

საშ. ქართ. ნიაგი მდაბ. **ნიაო** ქარი ნელი და სასიამოვნო; **ნიაგ-ქარი** ძლიერი და სასტიკი ქარიშხალი – დ. ჩუბინაშვილი.

საშ., ახ. ქართ. **ნიავექარი** 1. იგივეა, რაც ნ ი ა ვ ი. დილის *ნიავექარი* ოდნავ არხევს სურნელოვნებით შეზავებულ ჰაერს (ეკ. გაბ.). 2. «ძლიერი და სასტიკი ქარიშხალი» (დ. ჩუბინ.). უეცრად ატყდა რამ *ნიავექარი* (ილია). ღმუილით ქროდა ზღვის *ნიავექარი* (ა. მირცხ.). ნიავექარივით ზმნს. ისე, როგორც ნიავექარი, \_ სწრაფად, გამალებით. *ნიავექარივით* მიქროდა ქართველი რაზმი (ნ. ლომ.). [მიმინო] ხანდახან სოფელს *ნიავექარივით* გადაუქროლებდა (თ. რაზიკ.). 3. გადატ. ქარივით, ნიავექარივით სწრაფი. [ქალი და ვაჟი] შესხდნენ *ნიავექარის* ცხენებზე და გაემურნენ (ზღაპ.). ცხენსა კითხულობს თავისას, მოჰგვარეს *ნიავექარია* (ვაჟა – ქეგლი. შდრ. **ქარფეხა** ძლიერ სწრაფი, მალი; ფეხმარდი, ფეხმალი. *ქარფეხა ცხენი* – ქეგლი. **ქარფეცი** // **ქარფერცი** ქარივით მსწრაფმავალი, – ზღაპრული ცხენის, რაშის მუდმივი ეპითეტი (იუსტინე აბულაძე).

ვფიქრობთ, რომ **ნიაგი** < **ნია** ნაკადი, ტალღა (ჰაერისა, წყლისა). შდრ. **ნიაქარი** ნიავექარი, მბრუნავი, მოსეირნე ქარი, ქარბორბალაზე იტყვიან ზან. (მეგრ. ქობალია). ვფიქრობთ, რომ **ნიაგი** < **ნია**, **გ**-ს ბოლოკიდური განვითარებით. შდრ. ნიაღვარი.

## ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

### ერთი კორექტურული შეცდომის შედეგი [ლუსუმი//ლუხუმი]

ნინო ბაღათურიას ხელნაწერებში აღმოჩნდა ერთი ძალიან საინტერესო თეზისი (თეზისის მონახაზი) ამ სათაურით: „ლუხუმი – დენდრონიმი და ანთროპონიმი“, რომელსაც აქ უცვლელად წარმოგიდგენთ (ნინო ბაღათურია, აღმოსავლეთმცოდნე – თურქოლოგი, მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ლექსიკოლოგიის განყოფილებაში, კერძოდ, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის ჯგუფში 1986-1998 წლებში):

„1. ა. მაყაშვილი „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ერთმანეთთან აკავშირებს კულმუხოსა და ლემურას.

კულმუხო девясил лекарственный *Inula halinium* ლუხუმა (ფშ.), კუმუხო (ხევს., ლეჩხ.), კუმუხო//კუმუხა (მეგრ.).

ლემურა переступень, жен-шень кавказский (შდრ.: ჩინ. ჟენ-შენი „ფესვი-ადამიანი“, ჩინეთის ფარმაკოლოგიის „დედოფალი“) *Pryonia alba*.

ხეჭრელი крушина ломкая *Rhamnus frangula* ლუკუმხა//ლუკუხო//ლუკუფხა (გურ.), ლუკუხა//ლუკუმხა (მეგრ.-ჭან.).

რიტინი<sup>2</sup>//რეტინე „რომელ არს კულმუხი“; „ხის მანანაა, ჯველას რგებს, ტკბილია და მწვანე“ (საბა).

სამეგრელოში კუმუხოთი უძველესი დროიდან მკურნალობენ კუს ქარს, ანუ სიმსივნეებს (ი. შაბლოვსკი).

შდრ.: უიღურ. (ძვ. თურქ.) *kulum//kulum xua* ჩინ. *xua//xwa* „ყვავილი“. ეს ლექსიკური ერთეულები დადასტურებულია უიღურულ სამედიცინო ცნობარებში, რომელიც ჩინურიდან ითარგმნა (~VIII-X სს.) (გ. რაჰმათი).

2. ვაჟას არაისტორიულ პერსონაჟთა სახელები „ბახტრიონში“ ნებისმიერად არ შეურჩევია: წიწოლა < ძრწოლა, შიში (ა. ჭინჭარაული); კვირია – მსხვერპლი „უფლისა“, „საუფლო“ (ზ. კიკნაძე); სანათა „მესანთლე“ < (ფოლკ.) თამარის ხატის აღმომჩენი ქალი – სანათა, რომელიც სასანთლეთა აშენებასა და პატრონობას იტვირთებს; ლუხუმი – გველის კეთილისავენ მომქცეველი და მისგანვე განკურნებული [შდრ.: სამკურნალო ბალახის სახელი – ცალმკლავა გმირის სახელი (თუშ. პოეზ.), დაჭრილისა და გველის ურთიერთობა (ქართ. მიოთოლოგ.)]“ (ნინო ბადათურია, გამოუქვეყნებელი თეზისი).

საგულისხმოა, რომ ქეგლშიც **ლუხუმა** დადასტურებულია, როგორც მცენარის ფშაური სახელი და დამოწმებულია შემდეგი ნიმუშები ვაჟა-ფშაველას პოეზიიდან: „**ლუხუმა** (ფშ.) იგივეა, რაც კულმუხო. *დღესნამდე დაბლა ყვოდა ია, ლუხუმა, ვარდია (ვაჟა). ია – ენძელას, ლუხუმა ორივეს გადახვეოდა (ვაჟა)...* (ქეგლი IV, 1955). **კულმუხო** [*Inula helenium*] მაღალი მრავალწოვანი ბალახი; აქვს დიდი ფოთლები და კალათებად შეკრებილი ყვითელი ყვავილები; ხმარობენ სამკურნალოდ... (ქეგლი IV, 1955)“.

აქვეა დადასტურებული ფშაური **ლუსუმა**:

„**ლუსუმა** (ფშ.) [*Primula macrocalyx*] ფურისულას ერთ-ერთი სახეობა, ყვითელყვავილიანი. *ენძელა და ლუსუმა რახანია ამოდვრა მიწიდან (თ. რაზიკ.). ყვითელი ფერი და თავისებური სურნელება*

ლუსუმასი უკვე შორიდანვე ეძახდნენ ბანჯგვლიანს და თავისკენ ეპატიჟებოდნენ (თ. რაზიკ.) (ქეგლი IV, 1955)“.

თუმცა, ეს თეზისი გადახაზული იყო. ნინო ბადათურიამ ის აღარ გამოაქვეყნა, როგორც გაირკვა, ბატონ ალექსი ჭინჭარაულთან კონსულტაციის შემდეგ: ბატონი ალექსი აღნიშნავს, რომ ფშაურში არ არსებობს მცენარე ლუხუმა, მას ლუსუმა ჰქვია.

ვაჟა ფშაველას მცირე ლექსიკონში ალექსი ჭინჭარაული შე-  
ნიშნავს: „**ლუხუმა** [„დღესნამდე დაბლა ჰყვოდა“ („სული ობლისა“)]  
**ბეჭდვის შეცდომაა, იხ. ლუსუმა**“. ე.ი. უნდა იყოს **ლუსუმა**: „**ლუსუმა**  
[Primula macrocalyx] ყვითელყვავილიანი ფურისულა. ია – ენძელას,  
**ლუსუმა** ორივეს გადახვეოდა („სული ობლისა“); კორდებს ამშვენებს  
**ლუსუმა**, იამაც გამოიღვიძა („პირველი გაზაფხულისა“); ჯერ ხომ  
ბორხვენა ამოჩნდა, მერე **ლუსუმა**, ღოლოცა („დედა და შვილი“);  
დღესნამდე დაბლა ჰყვოდა ია, **ლუსუმა**, ვარდია („დღესნამდე დაბ-  
ლა ჰყვოდა“)“... (ალექსი ჭინჭარაული, „ვაჟა ფშაველას მცირე ლექ-  
სიკონი“).

ასევე, ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურულის ლექსიკონში“ და-  
დასტურებულია სიტყვა **ლუსუმიც** „დიდი და წყლიანი თოვლი.  
იმაზე ნიადაგ არ გაივალოდ, **ლუსუმ** იდგ. აგრეთვე: მალუსუმებული.  
**მალუსუმებული** სველი თოვლით დაფარული“ (ალექსი ჭინჭარაუ-  
ლი, „ხევსურულის ლექსიკონი“), სწორედ ამ სიტყვას უკავშირდება  
ყვავილის სახელიც. ხოლო „**ლუხუმ**-ი ცხენის საკუთარი სახელია.  
სამი იორლა გავზარდე, შეთე, მინინო, ლუხუმი (ალ. ოჩ. 198, 27)...“  
(ალექსი ჭინჭარაული, „ხევსურულის ლექსიკონი“).

თუმც, უნდა ითქვას, რომ ეს კორექტურული შეცდომა გახდა  
ორი სხვადასხვა თაობის მეცნიერთა კვლევისა და საინტერესო  
თვალსაზრისის საგანი. ეს ერთი მაგალითიც კარგი ნიმუშია იმისა,  
თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ალ. ჭინჭარაულს ვაჟა  
ფშაველას თხზულებათა ტექსტის დადგენაში.

ნ ა ნ ა ხოჭოლავა-მაჭავარიანი,  
დავით ჭელიძე

**„მცენარეთა სახელების კრებისითი ლექსიკონი“ –  
კვლევის შედეგები და მცენარეთა ქართული  
სახელების ერთიანი მოდელი**

მოხსენება წარმოადგენს შვიდწლიანი კვლევის შედეგს, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ფიტონიმის სრულფასოვანი, სტანდარტიზებული კორპუსის შექმნას. მისი მთავარი პროდუქტია **„მცენარეთა სახელების კრებისითი ლექსიკონი“**, რომელიც აერთიანებს ქართული მცენარეთა სახელების ისტორიულ, დიალექტურ, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ და თანამედროვე ბოტანიკურ მასალას. ლექსიკონის ძირითადი მიზანია მცენარეთა სახელების სისტემური აღწერა, იდენტიფიკაცია და ტერმინოლოგიური სტანდარტიზაცია.

სამუშაო პროცესის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა: მრავალფეროვანი წყაროების შეკრება (ხელნაწერები, ძველი და თანამედროვე ლექსიკონები, კარაბადინები, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული და დიალექტური მონაცემები, ქართულ პრესაში (XIX-XXსს) გამოქვეყნებული მასალა, ბოტანიკური ლიტერატურა, ველზე მუშაობისას მოპოვებული სახელები); სინონიმებისა და ფონეტიკური ვარიანტების სრული აღრიცხვა; მასალის კლასიფიკაცია; ტაქსონომიური მონაცემების გადამოწმება; და ერთიანი ტერმინოლოგიური სტანდარტის ჩამოყალიბება.

კვლევამ გამოავლინა არაერთი ტაქსონომიური შეცდომა და არაზუსტი იდენტიფიკაცია, რომლებიც გვხვდება ქართულ ლექსიკონებსა და ცნობარებში. დაზუსტდა მრავალი ფიტონიმის წარმომავლობა, მიკუთვნებულობა და ისტორიული ფორმები, რომელთა კვლევას მიეძღვნა ავტორთა არაერთი პუბლიკაცია. გამოვლინდა აქამდე უცნობი სახელები და მომზადდა ამოუცნობი (არაიდენტიფიცირებული) ფიტონიმების რეგისტრი, რაც ქმნის ბაზას შემდგომი კვლევისთვის და იძლევა მცენარეთა სახელდებისა და ბოტანიკური იდენტიფიკაციის ისტორიული რეკონსტრუქციის საშუალებას.

პროექტი ემყარებოდა ალ. მაყაშვილის **„ბოტანიკური ლექსიკონის“** (1961) მნიშვნელოვან ტრადიციას, თუმცა ახალი კრებული

არსებითად განახლებული და გაფართოებულია: მასში ასახულია ძველი ქართული ენის მონაცემები, საარქივო და გამოცემული ლექსიკონების, კარაბადინების, პრესის მასალა, დიალექტური მონაცემების სრული სპექტრი, სოკოთა სახეობები მათი სინონიმური სახელებით, ახალი (ინვაზიური) სახეობებისთვის შემოთავაზებული ქართული სახელები და საერთაშორისო ლათინურ ნომენკლატურასთან სრულად შეჯერებული ტერმინოლოგია.

**„მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი“** წარმოადგენს სრულყოფილ, მეცნიერულად სტრუქტურირებულ კორპუსს, რომელიც პირველად წარმოსახავს ქართული ფიტონიმიის ერთიან, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ბოტანიკურ სურათს და ქმნის სანდო საფუძველს მომდევნო კვლევებისთვის — ენათმეცნიერებაში, ბოტანიკაში, ეთნობოტანიკაში.

აღსანიშნავია, რომ **„მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი (ქართული)“** არის ფართომასშტაბიანი პროექტის – **„მცენარეთა ქართველური სახელების კრებსითი ლექსიკონის“** – პირველი ნაწილი. დაგეგმილია მისი შემდგომი ნაწილების შექმნა:

- **„მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი (მეგრულ-ლაზური)“**,
- **„მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი (სვანური)“**,
- **„მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი (ჯიშების ქართველური სახელები)“**.

ეს მრავალეტაპიანი პროექტი სრულყოფილად წარმოაჩენს ქართველური ფიტონიმიის მთლიან სურათს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ტერმინოლოგიის, ლექსიკოგრაფიისა და ბოტანიკური მეცნიერების განვითარებაში.

ც ი რ ა    ჯ ა ნ   ჯ ლ ა ვ ა

## **ფონეტიკური პროცესები მეგრულ ნასესხებ ლექსიკაში**

ლექსიკის სესხება ენობრივი კონტაქტების ბუნებრივი შედეგია. ენა ცდილობს თავის ბგერით სისტემას მოარგოს ნასესხობანი, კერძოდ, მისთვის უცხო ბგერითი კომპლექსები გაამარტივოს ან

გარდაქმნას ბუნებრივ კომპლექსებად. განვიხილავთ ზოგ ასეთ პროცესს:

**სტ** > **ს**: ქართ. სტუმარი > მეგრ. სუმარი

**შთ** > **შ**: შტერი > შერი „გიჟი“, „არანორმალური“

**მზ** > **ზზ**: სამზადი > საზზადი

**რს** > **სრ**: სასროლი > სარსოლი

**შრ** > **რშ**: შრიალი > რშიალი

**დვ** > **დ**: ცოდვა > ცოდა

**გდ** > **რდ**: აგდება > არდება

**თლ** > **თ**: ქართლი > ქართი „თბილისი“

**ვლ** > **ულ**: მეორედ მოსვლა > მერეთმოსულა „საოცარი“

**ოო** > **ო**: \*ნოოხორი > ნოხორი

**აა** > **ა** \*თომაამი > თომამი...

## პროექტი

### **ტრადიციულ ხალხურ სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში**

(პროექტი № FR-24-3535 ხორციელდება შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური  
მხარდაჭერით)

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

### **ტრადიციული ხალხური სამეურნეო ყოფის ამსახველი კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის<sup>1</sup>**

კვლევის საგანს წარმოადგენს ტრადიციულ ხალხურ სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველი ისეთი კოლოკაციები (მყარი შესიტყვებები), რომლებიც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გვევლინებიან:

- 1) საწესჩვეულებო / სარიტუალო ქცევათა და ქმედებათა სახელწოდებებად;
- 2) სარიტუალო საგანთა სახელწოდებებად;
- 3) რიტუალის შემსრულებლის, რიტუალში მოქმედი პირის სახელწოდებებად;
- 4) რიტუალში მოქმედი არსების (ცხოველის, ფრინველის...) სახელწოდებებად;
- 5) საწესჩვეულებო / სარიტუალო ქმედებათა ობიექტების სახელწოდებებად;
- 6) საწესჩვეულებო / სარიტუალო ქმედებათა ადგილის სახელწოდებებად;

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-24-3535).

7) საწესჩვეულებო / სარიტუალო ქმედებათა დროის სახელწოდებებად (ხალხური კალენდრის ქრონონიმები);

8) რიტუალის შესრულებისას წარმოთქმულ / წარმოსათქმელ მყარ ენობრივ ფორმულებად და სხვ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ყ ო ფ - ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს თ ა ნ დაკავშირებული ესა თუ ის წეს-ჩვეულება ტრადიციულ საზოგადოებაში შეიძლება იყოს როგორც რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი, ანუ დამყარებული მრავალსაუკუნოვან ემპირიულ დაკვირვებებსა და შრომით გამოცდილებაზე, ისე – შეპირობებული რ ე ლ ი გ ი უ რ ი რ წ მ ე ნ ა - წ ა რ მ ო დ გ ე ნ ე ბ ი თ; მაგ., ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის ნიშანდობლივია, რომ სამეურნეო დანიშნულების რომელიმე ადგილი, ნაგებობა თუ სათავსო (მაგ., ყანა, კალო, მარანი, ბოსელი, ბედელი და სხვ.) იმავდროულად წარმოადგენს ხოლმე ს ა რ ი ტ უ - ა ლ ო ა დ გ ი ლ ს, ხოლო სამეურნეო დანიშნულების იარაღები (მაგ., გუთანნი, თევზსაჭერი ბადე და სხვ.) – ს ა რ ი ტ უ ა ლ ო ს ა - გ ნ ე ბ ს. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ს ა რ ი ტ უ ა ლ ო ა რ - ს ე ბ ე ბ ა დ გვევლინებიან ხარი, ცხენი, ღორი, თხა, მამალი და სხვ. ტრადიციული საზოგადოების სამეურნეო ყოფა-ცხოვრებაში ორივე ეს ასპექტი (რაციონალური, რელიგიური), როგორც წესი, ურთიერთგადაბმულია.

მოხსენებაში განიხილება ამ ტიპის კოლოკაციათა ზოგი ნიმუში, სათანადო ეთნოგრაფიულ რეალიათა სახელდების თვალსაზრისით.

მაგალითად, გვალვის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ხალხური ტრადიციული რიტუალი ქართულ ენაში სახელდებულია კოლოკაციით **წყლის მოხვნა**: ქალები ეზმებოდნენ უღელში და გუთანს მდინარეში შეაგდებდნენ ისე, რომ თვითონაც დასველებულიყვნენ და გუთანიც დაესველებინათ (ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე, 1991). ამ სარიტუალო ქმედების სახელწოდებაა, აგრეთვე, **წყლის განრისხება**. რიტუალში მონაწილე ქალებს ეწოდებოდათ **მუშა საქონელი** (ვ. ბარდაველიძე, 1991). გვალვის საწინააღმდეგო ასეთი ირაციონალური სარიტუალო ქმედებები დადასტურებულია საქართველოს არაერთ კუთხეში და კავკასიის სხვა ხალხებშიც; მაგ., დაღესტნელებში, სომხებში... (გ. ჩიტაია, 2001).

საყურადღებოა სარიტუალო ქმედებათა ანთროპომორფული სახელდება, გამოხატული კოლოკაციათა სახით; მაგალითად:

ქართულში **კალოს ქორწილი**. კალო მიიჩნეოდა საკრალურ ადგილად. კალო და ნალეწი ხვავი ავი თვალისაგან რომ დაეცვათ, ლეწვის მონაწილე აიღებდა რკინის ნაჭერს და ქვას ურტყამდა. როდესაც კალოობის სამუშაოს მორჩებოდნენ, გადაიხდიდნენ ხოლმე მცირე ღვინს, რომელსაც „კალოს ქორწილი“ ეწოდებოდა (მესხეთ-ჯავახეთში) (ნ. ანთელავა, მ. ბუკია, ი. კვამილავა, მ. ჩუხუა, 2023).

**ყანის დასვენება** აგრარული რიტუალია (თუშეთში). სრულდებოდა ყანის მკის დამთავრებისთანავე. მომკელები ყანის აღმოსავლეთ კიდეში გავიდოდნენ, ყანისკენ ზურგმექცევით დასხდებოდნენ და ნამგლებს ზურგსუკან გადაისროდნენ სიტყვებით: „ყანაო, დადებული-დ დასვენებულიმც ხარი...“ (გ. ცოცანიძე, 1987).

**თოფის შერცხენა** ეწოდება ერთ-ერთ სამონადირეო რიტუალს (რაჭაში). სრულდებოდა იგი თოფის მარცხიანობის გასანიტრალეზად: თუ მონადირეს თოფი უმტყუნებდა და ვერ მოახვედრებდა ნადირს, ასეთ შემთხვევაში თოფს საღორეში დამარხავდნენ ან დედაკაცის ქვედა საცვალში გაატარებდნენ და ასე „შეარცხენდნენ“ მას (ალ. რობაქიძე, 1941). მსგავსი წეს-ჩვეულება დადასტურებულია დაღესტნის ხალხებშიც; მაგ., თაბასარანელებში: თუ მონადირე ახლო მანძილიდან რამდენჯერმე ესროდა თოფს ნადირს და ვერ მოახვედრებდა, მიიჩნეოდა, რომ თოფი გათვალეს. გათვალვის გასაუვნებელყოფად მიმართავდნენ თოფის წაბილწვას, რასაც ეწოდებოდა **თუჭენგ მურდალ აპუზ**, სიტყვასიტყვით „თოფის ბილწად (მურდალად) ქმნა“: მონადირე შარდავდა თავის თოფზე და ავი თვალისაგან რომ დაეფარა, მასზე ჩამოკიდებდა ხოლმე თავისი სიკვდილით მომკვდარი („მურდალად მომკვდარი“) ცხოველის ან ფრინველის მცირე ზომის ძვალს. მსგავსი წეს-ჩვეულება არსებობდა ხუნძებშიც (რ. სეფერბეკოვი, 2011; ზ. ალიჰაჯიევა, რ. სეფერბეკოვი, 2018).

სახელდების თვალსაზრისით საინტერესოა ქართულში **გუთნის დედა** (ქართულში ეს კოლოკაცია ამჟამად კომპოზიტად არის ქცეული). დღეს უცნაური ჩანს **დედა** კომპონენტის არსებობა ამ სახელწოდებაში, რომლის დენოტატსაც მამაკაცი წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ ენაში შემორჩენილი ამგვარი სახელდება გამოძახილი შეიძლება იყოს ოდესღაც არსებული და დიდი ხნის წინ დავიწყებული რიტუალური ტრავესტიზმისა (ქალად გადაცმა). სახელწოდება

**გუთნისდედა** რიტუალური შინაარსისაგან ამჟამად სრულიად დაცლილია.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, „დედაკაცი რომ უშუშველეს ხანაში ქართველ ტომთა შორის ხვნა-თესვის მთავარი მოქმედი ძალა და ამ საქმის გამძლოლი უნდა ყოფილიყო, ეს ქართული წარმართული რწმენისა და ზნე-ჩვეულებათაგანაც მკაფიოდ მოჩანს. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ, როდესაც მიწადმოქმედებას თავს განსაცდელი დაატყდება გვალვისა, თუ მოჭარბებული ავდრიანობის გამო, ამ უბედურების თავითგან ასაცილებლად განკუთვნილ სარწმუნოებრივ წესებსა და ლოცვა-ვედრებაში თითქმის განსაკუთრებით ქალები იღებენ მონაწილეობას. ტაროსის ღვთაების ვედრება, ლაზარეობა, ხომ ქალების, გოგოების მოვალეობას წარმოადგენდა... გვალვის ასაცილებლად დაწესებულს ამ სარწმუნოებრივ ძველის-ძველ ჩვეულებაში „გუთნის დედის“ სახელწოდება მართლაც სრულ სინამდვილეს გამოჰხატავს, რათგან სახვწელს მართლაც დედაკაცი ჰმართავს“ (ივ. ჯავახიშვილი, 1996). სავარაუდოდ, ოდესღაც ამ სახელწოდების მამაკაცზე გადანაცვლება ერთბაშად კი არ უნდა მომხდარიყო, არამედ გარკვეულ ხანაში მაინც, ამ გადანაცვლებას თან უნდა ხლებოდა რიტუალური ტრავესტიზმიც (ქალად გადაცმა).

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სვანეთში (უშგულის თემში) ერთი ჩვეულება, რომელიც დადასტურებულია ჯერ კიდევ XIX ს.-ის დასასრულს: შობის წინა ღამეს, ნავახშმევს ოჯახი ვაჟიშვილს ჩააცმევდა ქალურად, კერიის უკან დასვამდა, წინ რძით სავსე ქოთანს დაუდგამდა, ყველს მოუტანდნენ და შეაჰმევდნენ. ამ ჩვეულების სახელია **ტუნუ ღოშგინ ლისგურე** „ქოთნის უკან დაჯდომა“. ამ ყველაფერს ასრულებდნენ, მაგრამ ხალხმა არ იცოდა, თუ რას ნიშნავდა თვითონ ეს ჩვეულება (ზ. ნიჟარაძე, 1886). როგორც ვხედავთ, ამ ჩვეულებაში თვალსაჩინოდ, თუმცა დესემანტიზებული სახით არის შემონახული რიტუალური ტრავესტიზმი. სავარაუდოდ, იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ოჯახის გამრავლების, სიუხვისა და კეთილდღეობის მისაღწევ ერთ-ერთ ქმედებასთან. რიტუალური ტრავესტიზმი დადასტურებულია მსოფლიოს სხვა ხალხების ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც.

წეს-ჩვეულებისა თუ რიტუალის დესემანტიზაცია ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიისათვის, როგორც სიტყვის დესემანტიზაცია ენათმეცნიერებისათვის. ეთნო-

ლოგიაში წეს-ჩვეულება თუ რიტუალი ისევე საჭიროებს ხოლმე ეტიმოლოგიურ ანალიზს, როგორც ენათმეცნიერებაში სიტყვა.

ხუნძურ ენაში საინტერესოა **წადალ ჰამა** „ლოკოკინა“, სიტყვასიტყვით „წვიმის ვირი“ (სალიტერატურო ხუნძურში ეს კოლოკაცია კომპოზიტად არის ქცეული: **წადალჰამა**). ასევე ეწოდება წვიმის გამოსაწვევ რიტუალში მონაწილე პირს („ლოკოკინა“), რომელსაც გვალვის დროს გახდიდნენ სამოსს, მწვანე ტოტებითა და ბალახით თავიდან ფეხებამდე მორთავდნენ. ასეთნაირად შემოსილს დაატარებდნენ სოფელში, სადაც მოსახლეობა მას წყლით წუწავდა (ზ. ნიკოლსკაია, 1959; ნ. ომარაშვილი, 2001; რ. სეფერბეკოვი, 2002; მ. ხალიდოვა, 2004; ზ. ალიჰაჯიევა, 2008; ნ. ანთელავა, 2017; რ. მაჰომედოვი, 2020 და სხვ.). თუ რატომ უკავშირდება ხუნძების ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში წვიმის წამოსვლა სწორედ ლოკოკინას, ეს საკვებით გასაგები და ბუნებრივია. სირთულეს წარმოგვიდგენს ამ მხრივ ლაკური ენა, რომელშიც წვიმის გამოწვევის ანალოგიურ რიტუალში მონაწილე პირი სხვადასხვა სოფლებში სხვადასხვაგვარად არის სახელდებული, კოლოკაციების (მყარი შესიტყვებების) მეშვეობით; მაგ., **ურთილ სიხუ** „ბალახის თოჯინა“, **ურთილ ჩაითუ** „ბალახის კატა“, **ურთილ თუქუ** „ბალახის ვირი“ და სხვ. ბალახებით საგანგებოდ შემოსილი ბიჭის მონაწილეობით ეწყობოდა სარიტუალო მსვლელობა, რომლის დროსაც ყველა ცდილობდა წყლით გაეწუწა იგი (პ. ხალილოვი, 2004). ხუნძურისაგან განსხვავებით, ლაკურში არ დასტურდება „ლოკოკინის“ აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება ამ რიტუალში მონაწილე პირის სახელწოდებად.

ქართული კოლოკაციები **ხარის ქედი**, **გუთნის ყელი** ფიგურირებს სარიტუალო ტექსტებში; მაგ., „ღმერთმა ადღეგრძელოს **ხარის ქედი**, **გუთნის ყელი**, ცის ნამი და დედამიწის მოსავალი“ (ჯ. რუხაძე, 1999). გამოიყენება ფიცის ფორმულებში (დიალექტებში): **ხარის ქედის მადლმა**, **ხარ-გუთნის მადლმა** (ს. მაკალათია, 1934; ს. მაკალათია, 1985; გ. ხორნაული, 2000) და სხვ.

თუშურში (დამწყალობნების ერთ-ერთი ტექსტიდან): „ღმერთო, გაუმარჯვე ღვთის ნაწილსა, ღვთის ბარაქსა, **ცის ნამსა**, **დედამიწის მოსავალსა**, **ჯარის ქედსა**, მუშა-მამვრალთა მარჯვენასა...“ (გ. ბოჭორიძე, 1993. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

აქ აღსანიშნავია, აგრეთვე, ცის ნამი, რომელიც ტექსტში შეკავშირებულია კოლოკაციასთან **დედამიწის მოსავალი**; შდრ. ხეცსუ-

რულში: „დიდო მინდორის ჯვარო, ცა-ღრუბელთ მცაო, მფარაო. დი-  
დი ხარ, დალოცვილო. ცა-ღრუბელნ შენ გაბარიან. შენ მიეც  
ცას ნამი, მიწას მწვანილი...“ (ზ. კიკნაძე, ხ. მამისიმე-  
დიშვილი, ტ. მახაური, 1998. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.); „...მანამ ადღე-  
რძელას, სანამ ცას ნამ მაზდისა, მიწას მწვანილი“  
(ალ. ოჩიაური, 1980. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.); ფშურში: „შენამც იმ-  
რავლებ მაღლა ცის ნამო, დაბლა მწვანილო“  
(ზ. კიკნაძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური, 1998. ხაზგასმა ჩემია –  
ლ.ა.); „დიდება შენდა, ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ცის  
ნამთა და დედამიწის მწვანილთა დამარსებელო“  
(ზ. კიკნაძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური, 1998. ხაზგასმა ჩემია –  
ლ.ა.); თუშურშივე: „... გორსამ მწვანილად ამოგივა-  
თავ, ცასამ ცვრად გადაგიწვდე ბათავ, მანამდამც  
ნუ გაგითავდებათავ, სანამდ კარ ხწნევდესავ, გორს მწვა-  
ნილ ამოზდიო დესავ, ცას ცვარ ჩამოზდიო-  
დესავ...“ (ზ. კიკნაძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური, 1998. ხაზ-  
გასმა ჩემია – ლ.ა.).

**კარ-გუთანო** ფიგურირებს ასევე სარიტუალო ტექსტებში;  
მაგ., დამწყალობნების ერთ-ერთ თუშურ ტექსტში: „...სახლ-ყუდრო  
უზიანოდ შაინახნიდით, კარ-გუთანს ჯვარ დაუწე-  
რიდით, ყანა კა მოღგვარიდით, ხვავ-ბარაქას ჩაუგდიდით, ორ-  
ფეჭს უშველიდით, ოთხ ფეჭს უშველიდით. მთაზე დაგიბა-  
ხონთ, მთაზე დეშველნიდით, ბარში დაგიბახონ, ბარში დეშველ-  
ნიდით. ქუდოსან-მანდილოსანს უშველიდით, სწყალობ-  
დით, გამარჯვებულნო!“ (აკ. შანიძე, 1984. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

გარდა იმისა, რომ ამ ტექსტში გამოიკვეთება კოლოკაცია **კარ-  
გუთანს ჯვარ დაუწერიდით**, საყურადღებოა, აგრეთვე, სიტყვათა  
წყვილების გამოყენება (**ორფევი** „ადამიანი“ – **ოთხფევი** „პირუტყვი“,  
**მთაზე – ბარში, ქუდოსანი – მანდილოსანი**...), რაც სარიტუალო ტექ-  
სტებისათვის ნიშანდობლივ მოვლენას წარმოადგენს ზოგადად;  
შდრ., მაგ., მონაკვეთი ხუცობის ერთ-ერთი ხეცსურული ტექსტიდან:  
„...შენ მაგათ თავისად ჯალაფობისად, სყმოსად-საგლე-  
ხოსად, მაგათ ყუდრო-ჯალაფობისად, ორფევი-  
ოთხფევისად, კაცისად, საქონისად, ქუდოსან,  
მანდილოსანისად ნაშვრალ-ნამუშავლისად, მე-  
შველი, მწყალობნელი მხოიშნებელიმც იქნები...“ (ზ. კიკნაძე, ხ. მა-  
მისიმედიშვილი, ტ. მახაური, 1998. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

სიტყვათა წყვილებად სარიტუალო ტექსტის ამ მონაკვეთში გვევლინება: **საყმო – საგლეხო, ყუდრო („სახლი“) – ჯალაფობა** („ოჯახის წევრები“), **ორფეკი („ადამიანი“) – ოთხფეკი („პირუტყვი“),** **კაცი („ადამიანი“) – საქონი („საქონელი“), ქუდოსანი – მანდილოსანი, ნაშვრალი – ნამუშავალი.**

სიტყვათა სწორედ ეს წყვილები ერთმანეთის გვერდით რეგულარულად გამოიყენება ხოლმე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არაერთ სარიტუალო ტექსტში.

ამა თუ იმ სიტყვათა რეგულარულად გამოყენება ერთმანეთის გვერდით სარიტუალო ტექსტებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. სარიტუალო ტექსტებში თავჩენილი ეს მოვლენა საგანგებო განხილვასა და ანალიზს საჭიროებს.

სიტყვათა ასეთი რეგულარული გამოყენების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ კაცი („ადამიანი“) და საქონი („პირუტყვი“), რომლებიც ტრადიციული საზოგადოების დისკურსში მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. ამ სიტყვათა ერთმანეთის გვერდით რეგულარული ხმარება, გარდა სარიტუალო ტექსტებისა, თვალსაჩინოა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაშიც; მაგ., ხეცსურულში დედაკაცების მისალმებისას:

– მოხეე მშვიდობით!

– გიშველას ღმერთმა! (ან: მშვიდობითამც მექნები) ხო არა გიჭირსთ, რაგორ ხართ კ ა ც ი თ, ს ა ქ ო ნ ი თ, აოდ ხო არვინ გყავთ?

– არა, შენი ჭირიმე, არაფერიც არა გვიჭირს, ორთ მშვიდობით შენის წყალობით. თქვენ ხო არა გტკივისთ, ხო არა გიჭირსთ კ ა - ც ი თ, ს ა ქ ო ნ ი თ? (ავ. შანიძე, 1984. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

ამ სიტყვათა (**კაცი „ადამიანი“ – საქონი „საქონელი“**) ერთმანეთის გვერდით რეგულარულად გამოყენებას არაერთგზის შევხვდებით სხვადასხვა სარიტუალო ტექსტშიც. ერთ-ერთი ამისი მაგალითი ზემოთ უკვე ვნახეთ.

რეგულარულად გამოყენებულ სიტყვათა წყვილად სარიტუალო ტექსტებში გვევლინება, აგრეთვე, **კარი („ხარი“)** და **მკარი** („მხარი“); მაგ., ხეცობის ერთ-ერთ ხეცსურულ ტექსტში (საკლავის დაკვლის წინ):

„კ ა რ ი ს ა და მ კ რ ი ს ნ ა მ ა შ ვ რ ა ლ ზ ე ჯ ვ ა რ და - გ ვ ი წ ე რ ე“ (ვ. ბარდაველიძე, 1938); შდრ. თუშურში (დამწყალობების ტექსტში): „კ ა რ - გ უ თ ა ნ ს ჯ ვ ა რ და უ წ ე რ ი დ ი თ“

(აკ. შანიძე, 1984); ხევსურულშივე (ხუცობის ტექსტში): „ჭ ა რ ი ს ა' მ ჯ რ ი ს ნ ა მ ა შ ვ რ ა ლ ს ჯ ვ ა რ ს დ ა უ წ ე რ ი დ ი თ, ბარაქა დაუტანიდით...“ (ნ. არდოტელი, 1995).

სარიტუალო ტექსტებში რეგულარულად იხმარება, აგრეთვე, კოლოკაცია **ჰარის ნაწნავი**; მაგ., ხევსურულ სარიტუალო ტექსტში (ხუცობა ადგილის დედა-ხთიშობლისადმი): „შენ უშველი კ ა ც - ს ა ც, ს ა ქ ო ნ ს ა ც, კაცის ნამუშევარსაც, ჰ ა რ ი ს ნ ა წ ნ ა ვ ს ა ც. ფურსაც და ფურის ნ ა წ ვ ე ლ - ნ ა დ ღ ვ ე ბ ს ა ც“ (ზ. კიკნაძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური. 1998. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). როგორც ვხედავთ, გარდა შესიტყვებისა **ჰარის ნაწნავი** ტექსტში კვლავაც თავს იჩენს სიტყვათა წყვილი **კაცი** („ადამიანი“) – **საქონი** („საქონელი“). აქ ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, რძის პროდუქტების კრებსითად აღმნიშვნელი შეერთებითი კომპოზიტი **ნაწველ-ნადღვები**, რომელიც სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა.

ანალოგიისათვის შდრ. ხევსურულისავე სხვა სარიტუალო ტექსტში: „ჩ ვ ე ნ ჯ ვ ა რ დ ა გ ვ ი წ ე რ ე თ ჰ ა რ ი ს ნ ა - ჯ ნ ა ვ ს, ფ უ რ ი ს ნ ა წ ვ ე ლ ს“ (ს. მაკალათია, 1984).

საინტერესოა, რომ კოლოკაცია **ხარის ქედი** დიალექტებში აღნიშნავს, აგრეთვე, საახალწლო სარიტუალო ნამცხვარს, რომელიც ხარის თავს გამოსახავდა. დიალექტებში მოიპოვება, აგრეთვე, შესიტყვებათაგან მიღებული კომპოზიტური სახელწოდებები **ხარიქედაი** „საახალწლო ნამცხვარი ხარის გამოსახულებით“, **ხართკვერი** „საახალწლოდ ხარისათვის გამომცხვარი სარიტუალო პური“ (გ. ზედგინიძე, 2014; თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, 1981), **ჰართ-კვერი** (ფშაურში) „ახალწელიწადს იციან. ბედის კვერებთან ჰართ-კვერსაც გამოაცხოებენ საერთო ოჯახის ბედზე“ (აკ. შანიძე, 1984) და სხვ.

საერთოდ, სარიტუალო ნამცხვრებისა თუ კვერების სახელწოდებები, რომლებიც საკმაოდ მოიპოვება დიალექტებში, ფრიად საინტერესოა სახელდების თვალსაზრისით და სპეციალურ შესწავლას იმსახურებს, ლინგვისტური თვალსაზრისით.

მაგალითად, თუშურში – **ცხენის ნაღრ** „ნაღრები ფორმის ნამცხვარი, ცხენის სიმბოლური გამოსახულება ქრისტის სუფრაზე დასადებად“ (**ქრისტის სუფრაი** „შობის ღამეს გამზადებული ტაბლა, რომელიც გამცხადებამდის ხელუხლებლად დევს ოჯახში და მაშინ-ღა დაიშლება. ზედ ალაგია სხვადასხვა დანიშნულების რიტუალური ნამცხვრები: კოტორი – ქრისტის საგზალი, კაცის, ცხენის,

ცხვრის, ხარის, ფურის, ქალის სიმბოლური გამოსახულებები, რომელთა სიმრთელესა და სიმრავლესაც ეხვეწება ღმერთს ოჯახი“ (გ. ცოცანიძე, 2012).

ქართულში შესიტყვება **ქერის ორმო** ნიშნავს, აგრეთვე, საახალწლოდ გამომცხვარ ერთგვარ პატარა პურს (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, 1981). ასეთი სახელდება უკავშირდება სიუხვესა და ბარაქას, რომლის სიმბოლოსაც ეს პური წარმოადგენს.

კავკასიის სხვადასხვა ენებში მსგავსი სახელდება აქვს ერთ-ერთ ირაციონალურ მაგიურ-რიტუალურ ქმედებას, რომლის მიზანიცაა შინაური პირუტყვის დაცვა მტაცებელი ცხოველისგან; მაგ., ქართულში ამას ეწოდება **მგლის პირის (/კბილის) შეკვრა ან მგლის პირის დაჭერა**: ერთ-ერთი წესის მიხედვით, როცა პირუტყვი დაიკარგებოდა ტომარაში ჩადებდნენ გალესილ ცულს, სავარცხელსა და ფილთაქვას, მოუკრავდნენ პირს, ჭერზე ჩამოკიდებდნენ და იტყოდნენ: „მგელს პირი ამ ტომარასავით შეეკრას, ცული თავში მოხვდეს, ქვა კი ყელში გაეჩხიროს“, ანდა დიდი მაკრატლის პირებს ბაწარს შემოახვევდნენ და ამით ვითომ მგელს პირი შეეკვროდა. აფხაზურ ენაში ამას ეწოდება **აქ'გჯმა ახაფგე ჭაპიარა** „მგლის კბილის შეკვრა“; ხუნძურ ენაში – **ბაწილ კალ ბუნიზე** „მგლის პირის შეკვრა (/დაბმა)“ ან **ბაწილ კალ ყამ** „მგლის პირის მოჭერა“; დარგულ ენაში – **ბეწლა მუჰაული ზიხნი** „მგლის პირის დაბმა“; თაბასარანულ ენაში – **ჯანაჭრინ უშუ იოტუბ** „ნადირის პირის შეკვრა“ (ს. მაკალათია 1934; მ. ჩიქოვანი 1956; გ. ჩურსინი, 1957, შ. ინალ-იფა, 1960; ნ. ანთელავა, 2017; რ. სეფერბეკოვი, 2018) და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აღსანიშნავია დღეობა სახელწოდებით **მგელთ უქმი**. მიიჩნეოდა, რომ ეს დღეობა ღმერთის მიერ იყო დაწესებული. და ვინც მასში მონაწილეობას არ მიიღებდა, მას საქონელსა და ცხვარს მგელი გაუნადგურებდა. მსგავსადვე, არსებობდა **ცხვრის უქმი**. წარმოდგენის თანახმად, ვინც ამ დღეობაში მიიღებდა მონაწილეობას, მის ცხვარს მგელი ვერ გაეკარებოდა. ანალოგიური დღეობებია **თაგვთ უქმი, ჩიტთ უქმი** (ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, 1991) და სხვ.

## სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში<sup>1</sup>

ტრადიციულ ხალხურ სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებულ ლექსიკაში ვხვდებით არაერთ ლექსემას, რომლის ისტორია-ეტიმოლოგია საინტერესოა არა მხოლოდ მეგრულ-ლაზური ფუძეების სარეკონსტრუქციოდ, არამედ საერთოქართველური ფუძეების დონეზე არსებული არქეტიპების სარეკონსტრუქციოდაც. ამჯერად განვიხილავთ ტრადიციულ ხალხურ სამეურნეო ყოფასთან, კერძოდ, მევენახეობასა და მეხილეობასთან დაკავშირებული ზოგი ლექსემის ისტორია-ეტიმოლოგიას.

1. ქართულ დიალექტურ ლექსიკაში და ძველქართულ სალიტერატურო ენაშიც დასტურდება მევენახეობის ტერმინი **წიდნე** // **წიდნა**: „და იქმნა იგი ვენაჲ, და ყვნა **წიდნენი**“ (ეზეკ.; 17.6.); „**წიდნა** – გადაწვენილი ვაზის პირველად ამოსული ღერო“ (ქართლ., ლეონ.). ქართული **წიდნეს** მეგრული შესატყვისი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს **კინდი**, რომელიც წნელს ნიშნავს. საკუთრივ **წნელ** – ფუძის შესატყვისად მეგრულ-ლაზურში გვაქვს **კინ-ი** (მეგრ.), **კინ-უ** (ლაზ.) (ნ. მარი, პ. ჭარაია).

ქართულ **წიდნე** // **წიდნა** ფუძეში ნ-ს მეტათეზისის შედეგად, როგორც ჩანს, მივიღეთ **საწინდარი** ფუძე.

ლექსემა **საწინდარი** თითქოს „საწინაოს, საწინასწაროს“ მნიშვნელობას გვაფიქრებინებს და, შესაბამისად, ეტიმოლოგიურად იგი წინ ზმნისართისაგან უნდა იყოს ნაწარმოები, მაგრამ ასეთი დაკავშირებისათვის დამაბრკოლებელია **წინდ** – ფუძეში დ-ს სუფიქსად გამოყოფა და, რაც მთავარია, ლექსემა **საწინდარი** ქართულ დიალექტებში გვევლინება **წიდნე** // **წიდნა** ლექსემის სინონიმად; მაგ., „ამოთხრილ მიწაში ჩანერგავდნენ ლერწს, როცა გეიხარებდა, იქითაქეთ **გადაწიდნიდენ**. ამისთანა ლერწებს ერქვა **საწინდარი ლერწი**“ (ზ. იმერ.; „შინამრეწვ.“).

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-24-3535).

ასევე, ვფიქრობთ, **წიღნ**- ძირი დასტურდება სხვა ფუძეშიც, რომელიც სემანტიკურად შორს დგას მისგან, კერძოდ, **დაწინდვა** ლექსემაში, თუმცა სემანტიკური გადაწევაც არ უნდა იყოს რთული ასახსნელი: ერთი მხრივ, ვენახის რტოს მონიშვნა და, მეორე მხრივ, საქორწინო წყვილის დანიშვნა.

მეგრულში დაწინდვა-დანიშვნის მნიშვნელობით **ნიშნობა** ფუძესთან დაკავშირებული **ნიშანუა** დასტურდება. ლაზურში კი წყვილის ნიშნობას ჰქვია **ნიშანი ოხვენუ** ან **ახთი ოხვენუ** „ნიშნობის კეთება“.

მოხმობილი ფუძეების ბგერათშესატყვისობის საფუძველზე შესაძლებელი ჩანს საერთოქართველური ფუძეების დონეზე **წიღნ**-ძირის რეკონსტრუქცია.

2. მეგრულ-ლაზურში მოიპოვება „მწიფეს“ მნიშვნელობით **მონჭა** და **მონდა** ლექსემები; მაგ.: **მონჭას** ქაყათეს, კობუქ ქაითოლუა || **მონდას** ოყოთეს დო კობუქ ქედოლუა „მწიფეს ესროლეს და მკვავზე ჩამოვარდაო“ (ანდაზა). ლაზურში **მონჭა** ლექსემის გამოყენებას უფრო ფართო არეალი აქვს: **მონჭა**, **მონჭაფა**, **მონჭონი**, **მონჭაფერი**, **მონჭინერი**, **მონჭერი** „მწიფე“, „მომწიფებელი“.

ვფიქრობთ, **მონჭა** ლექსემა ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ქართულ სიტყვას **მონაწევი**.

ქართული **მონაწევი** ლექსემის სეგმენტაციის შედეგად გამოსაყოფია ოდენ **წ**- ძირი, რომელიც გვაქვს არაერთ სხვა ფუძეშიც: **წ**-ევ-ა, მო-**წ**-ევ-ა, მო-**წ**-ე-ულ-ი...

ცნობილია **წ**- ძირის შემცველი რამდენიმე ფუძის (**წ**-ევ-ა; მო-**წ**-ევ-ნ-ა; მო-**წ**-ივ-ებ-ა) მეგრულ-ლაზური და სვანური შესატყვისობა; კერძოდ:

მეგრ. **ჭ-აფ-ა** // **ნჭ-აფ-ა** „დაწევა“; **მო-ნჭ-აფ-ილ-ი** „მოღწეული“...

ლაზ. **ო-ნჭ-უ** „მოწევა“; **მე-ბ-ი-ნჭ-ი** „მივაღწიე“...

სვან. **ლი-ჰ-ე** // **ლი-მჰ-ე** „მოწევა“ (მარი 1918; ჩიქობავა 1938).

ასევე **წ**- ძირისაგან ნაწარმოებ სხვა ფუძეთა შორისაც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ბგერათშესატყვისობის გამოვლენა ქართველურ ენებში. მათ შორის ერთ-ერთია ქართ. **მო-ნა-წ-ევ-ი** : მეგრ. **მო-ნჭ-ა** : ლაზ. **მო-ნჭ-ა**.

**წ**- ძირისაგან სათანადო აფიქსთა დართვით არაერთი სხვა ლექსემაც შეიქმნა ძველ ქართულში: **წ-ევ-ა**, **წ-ევ-ნ-ა**, **შე-წ-ევ-ა**, **შე-წ-**

**ევ-ნ-ა, აღ-წ-ევ-ა, გამო-წ-ევ-ა, გან-წ-ევ-ა, და-წ-ევ-ა, ზედა-მი-წ-ევ-ნ-ა, ზედა-მი-წ-ევ-ნ-ით, წარ-წ-ევ-ნ-ა.** ასევე: **მ-წ-ე, შე-მ-წ-ე.**

ამავე ძირისაგან ჩანს ნაწარმოები: **მწევარი (მ-წ-ევ-არ-ი)** „ძალი მაწევარი“ (საბა); **ნაწევარი (ნა-წ-ევ-არ-ი)** „სადრეკი“, „ნასხამი“, „საკრველი“, „შეკრება“ (აბულაძე), „სახსართ შემდგმულობა“ (საბა); **წვერი (წ-ევ-რ-ი)** [წვერი შდრ. **ნაწევარი** – საბა]... ახალი ქართული: **ა-მ-წ-ე, მი-ღ-წ-ევ-ა, მო-წ-ევ-ა, და-ღ-წ-ევ-ა** და სხვა.

**წევს** ზმნასა და **მწევარ** სახელს შორის, სავარაუდოდ, ისეთივე მიმართებაა, როგორც **დევს** და **მდევარს** შორის. დაპირისპირებას ქმნის ამ ფორმათა სტატიკურობა (**წევს**) –დინამიკურობა (**მწევარი**, ანუ ვინც მისდევს, ეწევა). ასევე საფიქრებელია **დაწევა** ფუძესა და მეგრ.-ლაზ. **დონჭაფა** „id.“ ფუძეთა შორის შესატყვისობა.

როგორც ჩანს, **წ-** ძირისაგან ნაწარმოები სხვა ფუძეც – **მო-წ-ევ-ა, წ-ვ-ე-ულ-ებ-ა** – მეგრულ-ლაზურში სათანადო შესატყვისობით არის წარმოდგენილი: მეგრ. **ჭ-ან-ა, მო-ჭ-ან-აფ-ა** „მოწვევა; წვეულება“ : ლაზ. **ჭ-ან-დ-ა** „წვეულება; ქორწილი“, **ჭ-ან-დ-ერ-ი** „მოწვეული“.

საანალიზო ფუძეთა ბგერათშესატყვისობების მიხედვით, ვფიქრობთ, შესაძლებელია, საერთოქართველური ფუძეების დონეზე შემდეგი არქეტიპების რეკონსტრუქცია: **\*წ-** ძირი, **\*წ-ევ-ნ** ფუძე.

ზანურში (მეგრულში) „მწიფე-ს“ აღსანიშნავად სხვა ფუძეც გვხვდება – **მო-ნდ-ა**, რომლის **ნდ-** ძირის შესატყვისის ვპოულობთ ქართულ ფუძეში **უ-ნდ-ილ-ი** „უმწიფარი“, „მკვახე“, „შემოუსვლე-ლი“.

ქართულ-ზანურ ფუძეთა (**უ-ნდ-ილ-ი** : **მო-ნდ-ა**) შეპირისპირების საფუძველზე შესაძლებელია არქეტიპად **\*ნდ-** ძირის აღდგენა.

საანალიზო ძირ-ფუძეთაგან ნაწარმოებ სხვა ლექსემათა შესახებ მოხსენებაში იქნება მსჯელობა.

**მიწის ლოცვის რიტუალთან დაკავშირებული  
კოლოკაციები სვანურში (ე. კოჟევნიკოვას ტექსტების  
მიხედვით)<sup>1</sup>**

ტრადიციული საზოგადოების სამეურნეო წეს-ჩვეულებათა ენაში ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა სვანური კოლოკაციები: **გიმი ნამზურუნ** „მიწის შესალოცი, მიწის შესაწირი?“ **გიმი ლემზირ** „მიწის სეფისკვერი“, **გიმი ლიმზირ** „მიწის ლოცვა“, **ჩუზო ლიმზირ** „დაღმა ლოცვა“ („ქვემოთკენ ვედრება“?), **კერრი ლემზირ** „კერიის სეფისკვერი“, **ზაი მაჯად** „წლის მოსავალი“, **ლასდი ბარაქ** „სარჩო-საბადებელი“, **გიმი მეწსე** „მიწის გამჩენი, სამყაროს შემოქმედი“ და სხვ.

სვანეთში აგრარული რიტუალები ამჟამად დავიწყებას ეძლევა. მათ შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ე. კოჟევნიკოვას მიერ საუკუნის წინ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც შეიცავს, აგრეთვე, საინტერესო ლინგვისტურ მონაცემებსაც.

ე. კოჟევნიკოვას იგარულ ტექსტებში ვკითხულობთ:

ხომა თანფა უბიში ჰამს ხამთქვას ზურელარს ჟი ლიგნალ. ჟი იფრენიხ თეთნე ლაჩქარს. ეჯდა ერე სურუ უცხუ უიქმ ხაბ-ჟახ ხომა თამფა უბიში. ლიშდაბ ხადურდ მად შიდ. ჰამს ქა ლირ-ბიელ, ლემზირალ ქა ლინყალ ლი. მანკუი **კერრი ლემზირ** ხეკუეს პნაყენს. **კერრი ლემზირჟინ** ხანგნეხ სამ **ტაფ ლემზირს**, ერუნლო ანყეხ **ფუსნა მუჟუტელს**. ფუსნამუჟუტელს ხანგნეხ სამ **კაჩ ლემზირს** ი ჟიქან ჟიხაპანწკუტეხ სამ ფხულემი ნაზიმს, ი ერუნლო ანყეხ ამ ლემზირალს.

კერრი ლემზირს ანყეხ **გიმი ნამზურუნდ** ი **ზაი მაჯადხან** ხამზირიხ. **ჩუზო ლიმზირჟი** მერბიელ ზურალ ჩუ იჩქუტეუი კერი ჭიშცახან ი მურსგუტანთე სუმინ ვსპუნე ლემზირს კერი ჭიშხი გირიმურგუტალდ. **გიმი მეწსა, ლასდი მუჟუტდი ღერბათ** გუნ

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-24-3535).

ხეცერალ: გიმი მეწსა ღერბათ, შუიღბა ნწყრ ი ლასდი ბარაქ ლა-  
ნო. **გიმი ლიმზირი** ლიწედ ღუაჟმნრად მად ხოშიდ ი დეი ჩუ  
ლიზუტებ **გიმი ლემზირიმ**. ღო ჩუ იზბიხ ზურალარ ი ერუნდო  
ღუაჟარს სგა ხატულიხ. ი ჟი ხმზერბი ღუაჟარ ფუსნ მუჟუელს  
ი მერმა ლემზერალს. ფუსნ მუჟუელი ლიზუტებ ღუაჟარს გარ  
ხოშიდხ ი ზურალარს მამა. ფუსნ მუჟუელს ხამზერბი მაცხუარს  
ღუაჟრე ნაფმირახნ ი ხოჩა კაფხან. ეჯ ლადელ სერ ზეჟიმ ი  
მუჟული ლიმრე მად შიდ, ეჯჟი უცხუ ლისგურემ ლი (კოჟენი-  
კოვა: 1927 წელი, ივარი, საქალაღდე, № 7 გვ. 8-9).

„დიდი აღდგომის პარასკევს ქალები დგებიან დილაუთენია  
და თეთრ მანდილებს მოისხამენ, თეთრ ლეჩაქებს წაიკრავენ თავ-  
ზე, იმიტომ რომ ძალიან საპატიო უქმე დღედ მიაჩნიათ დიდი  
აღდგომის პარასკევი. იმ დღეს არანარი მუშაობა არ შეიძლება.  
დილა იწყება სეფისკვრების გამოცხოვით. ამ დღეს პირველ  
რიგში აცხოვენ **კერიის სეფისკვერს**. კერიის სეფისკვერზევე აყე-  
ნებენ, ზედვე ადგამენ სამ **დაღმა სეფისკვერს**, მერე აცხოვენ  
**ფუსტის წინამძღოლს**. ფუსტის წინამძღოლზე აყენებენ, ადგამენ  
სამ **აღმა სეფისკვერს**, ამ სეფისკვერებს ზემოდან კუწუბოებს უკე-  
თებენ; ამის მერე უკვე აცხოვენ ჩვეულებრივ სეფისკვერებს. კერი-  
ის სეფისკვერს აცხოვენ **მიწისთვის შესაწირად და წლის მოსავ-  
ლისთვის. დაღმა დალოცვისას**, მცხოველი ქალი ჩაიმუხლებს კე-  
რიის მარჯვენა ფეხთან და სამჯერ მარჯვნივ შემოატრიალებს სე-  
ფისკვერებს კერიის ფეხის ირგვლივ. ოჯახის დიასახლისი **მიწის  
გამჩენს, სარჩო-საბადებელის მომცემ ღმერთს** ძალიან ევედრება,  
გულით ემუდარება: „მიწის შემქმნელო, მოგვანიჭე მშვიდობა, მო-  
გვეცი სარჩენი და მოგვმადლე ხვალი და ბარაქა. **მიწის ლოცვის**  
ნახვა მამაკაცისთვის აკრძალულია, არ შეიძლება. მამაკაცს არც  
**მიწის სეფისკვერის** ჭამა შეუძლია. ამ რიტუალის შესრულების  
მერე ქალები მარტოდმარტო მიირთმევენ ხოლმე მიწის სეფის-  
კვერებს და მხოლოდ ამის მერე დაუძახებენ სახლში მამაკაცებს.  
აქ მამაკაცები შეალოცავენ და შესწირავენ უკვე **ფუსტის წინამ-  
ძღოლსა** და სხვა სეფისკვერებს. **ფუსტის წინამძღოლის** ჭამა მხო-  
ლოდ მამაკაცებს შეუძლიათ, ქალებს – არა. მეორე სეფისკვერს  
(**ფუსტის წინამძღოლს**) შეალოცავენ უკვე მაცხოვარს და შესთხო-  
ვენ მამაკაცების სიმრავლეს, მშვიდობას, მამაკაცებისავე კარგ ზნე-  
ხასიათსა და კარგ საქციელს. იმ დღეს შემისა და კვარის დამზა-

დებაც კი არ შეიძლება. იმდენად საპატიო და მკაცრად დასაცავი უქმე დღეა“ [კოჭენიკოვა: 1927 წელი, ივარი, საქალდე, № 7].

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით საყურადღებო ეს პასაჟი იმავდროულად ასახავს არქაულ სვანურ წესჩვეულებებს, ესოდენ საინტერესოდ წარმოდგენილს სვანურ ენაში, საუკუნეების წინანდელ სვანურ რეალობაში, ზოგადად, მთიელ ქართველთა ყოფით ცხოვრებაში.

როგორია ამ კოლოკაციების სტრუქტურა ანუ კომბინატორული მექანიზმი, როგორია ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთა როლი და წილი მყარი ენობრივი ფორმების „შენების“ საქმეში?

ზმნურკომპონენტის სტრუქტურის კოლოკაციებია: **გიმი ლიმზირ** „მიწის ლოცვა“, **ჩუბოჟ ლიმზირ** „დაღმა ლოცვა“, ეს უკანასკნელი სინტაქსურად მირთვია; კოლოკაციად არის ქცეული სინტაგმა (ადგილის ზმნიზედა + მასდარი).

ოდენ სახელური სტრუქტურის კოლოკაციებია: **გიმი ნამზურუნ** „მიწის შესალოცი“ **გიმი ლემზირ** „მიწის ლემზირი“, **კერი ლემზირ** „კერიის სეფისკვერი“, ფუსნა მუჟუჟელ „ფუსტის წინამძღოლი“, **გიმი მეწსე** „სამყაროს შემოქმედი, მიწის გამჩენი“, **ზაი მაწად** „წლის მოსავალი“ გვევლინება მართულმსაზღვრელიან სინტაგმებად, ხოლო **კაჩ ლემზირ** „აღმა სეფისკვერი“ და **ტაფ ლემზირ** „დაღმა სეფისკვერი“ – ატრიბუტულმსაზღვრელიანი.

ქართველოლოგები თითქმის უპირობოდ თანხმდებიან, რომ ქართველურ ენათა შორის სვანური ყველაზე მეტად ხასიათდება არქაულობით. შესაბამისად, რიტუალებთან დაკავშირებული სვანური ფრაზეოლოგიზმებისა და კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ასპექტით კვლევა უადრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

ამრიგად, ე. კოჭენიკოვას მიერ ივარის თემში ჩაწერილ უნიკალურ სვანურ ტექსტებში შემონახულია არქაული აგრარული რიტუალების ამსახველი სვანური სახელწოდებები, მივიწყებული ლექსემები და ფრაზემები: **გიმი ნამზურუნ** „მიწის შესალოცი, მიწის შესაწირი?“ **გიმი ლემზირ** „მიწის ლემზირი“, **გიმი ლიმზირ** „მიწის ლოცვა“, **ჩუბოჟ ლიმზირ** „დაღმა ლოცვა“ „ქვემოთკენ ვედრება“? **კერი ლემზირ** „კერიის სეფისკვერი“ და სხვ.

## სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ზოგიერთი იდენტური ლექსემა და კოლოკაცია ქართული ენის მთის კილოებსა და ნახურ ენებში<sup>1</sup>

ქართული ენის ხევსურული დიალექტიდან ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში ნასესხებია ლექსემა **წიერალა**.

ხევსურულში **წერილა** ნიშნავს ოთხკუთხედად აგებულ ოც-დაერთ ძნას (ჭინჭარაული 2005). თავის მხრივ ძნა არის მომკილი თავთავის კონა. ზვინად დადგმულ ასეთ კონებსაც ძნას ეძახიან. შდრ., კალოში ძნის გაშლა გასალეწად (ქეგლი 1986).

იმავე ხევსურულში **წერ**-ი არის სამი **წერილა** ერთად აგებული. „ა, დედას შენსას, ნიკოვო, არც მოგიმკავის წერიო“; „ერთი წერის მომავალი მიწა ფასობდა ერთი ფეკითი ძროხა“ (ჭინჭარაული 2005).

**ააწერავენს – წერებად** დადგამს ძნას.

ხევსურული **წერილა** ფშაურში წარმოდგენილი **წერა**-ს სახით (ჭინჭარაული 1969); ეს არის ექვსი-რვა ძნა ერთმანეთზე მიყუდებული. ქისტურში **წიერალა** წარმოადგენს ერთმანეთზე დროებით დაწყობილი თავთავის 7-8 კონას, რომელსაც ამზადებენ კალოზე გადასატანად. ხევსურულში დასტურდება ლექსემა **წერი**-ც, ეს არის სამი **წერილა** ერთად აგებული (ჭინჭარაული 2005).

**წერა, წერანი, წერონი** – ასე ეძახიან სვილის 90 ხელეურს მოხევეები. „90 ჯელეური ერთად შაკრული საბლით, იმას წერი ექტინა“ (ქავთარაძე 1985). **წერილა**-ი – შვიდი სამეულის ძნა (ქავთარაძე 1985).

თავის მხრივ, **ხელეური** არის ნამგლით მომკილი პური, რაც ერთ ხელში თავსდება, ხელეურის სინონიმია **მჟელეული** [ქეგლი 1986].

სინტაგმა **ყანა ჩაკდების** ხევსურულ დიალექტში ნიშნავს „ყანა გახმება და მოისპობა“. **ჩაკდენა** ხევსურულში, ჩვეულებრივი „მიხვედრება, გაგებინების“ გარდა, აქვს აგრეთვე მნიშვნელობა „დაბლა

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-24-3535).

ჩაყვანა“ (ჭინჭარაული 2005). მაშასადამე, გადაწვიფებული თავთავი-ანი მოსავლის მარცვლები „ჩაჭდება“, ე. ი. კილიდან გამოვა, მიწაზე დაიყრება, დაღპება და განადგურდება.

ჩეჩნური **კა** (დიალ. **კან**) **ჩუღუორ-დ-უ** (*ზედმიწ. ხორბალი ჩა-ცვივდება, ჩაიყრება*) „ხორბალი ჩაწვება“ წარმოადგენს ანალოგს ხევსურული **ყანა ჩაჭდების** სინტაგმისა.

ხორბლის გადაწვიფებას უკავშირდება ხევსურული **ჩაუფიცბდების** „ძალიან გაუხმება (ყანა და მისთ)“; მაგ., „საქმე გაქვ გასაკეთები, ჩაგიფიცბდების ყანები“ (ქავთარაძე 1985). „ჩაფიცება“ ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში ხევსურულიდან არის ნასესხები **ჩაფიცბად-დ-ალა<sup>5</sup>** ფორმის სახით. ეს არის კლასნიშნიანი **დ-ალა<sup>5</sup>** მეშველი ზმნით ნაწარმოები ვნებითი გვარის ინფინიტური ფორმა, აქვს „გადამწიფებისაგან მარცვლის ჩაცვენის“ მნიშვნელობა.

ხევსურული **ყანა გამავ(ას)** ნიშნავს: „ყანა დამწიფდება“, ე. ი. „ხორბლის ნათესი შემოვა, დამწიფდება“. ქისტურ დიალექტში მას შეესატყვისება **კანჟ-დ-ოდორ(გ)-დ-უ** „ყანა შემოვა (დამწიფდება)“.

ხევსურულში **უძრავ მიწა** არის დაუმუშავებელი, ადრე არნათხარი მიწა, მაგარი მიწა [ჭინჭარაული 2005]; იგივე სინტაგმა **უძრავი მიწა** დასტურდება მთიულურში. უძრავი მიწის საპირისპიროა **ნაძრავი მიწა**. ნაძრავს ეძახიან დამუშავებულ მიწას (კაიშაური 1967); შდრ. ქისტური **ნახანძ ლათთ(ა) // ჭ'რად ლათთ(ა)** – უხნავი მიწა//მაგარი მიწა; ყამირი მიწა.

მიწა, რომელიც ძნელად იხვნება, არის **მძიმე მიწა**, რომელიც ადვილად იხვნება – **მსუბუქი მიწა**. „მძიმე მიწის“ ადეკვატური შესატყვისია ჩეჩნური **დეზა ლათთა** (ქისტური **დეძ ლათთ**), ხოლო „მსუბუქი მიწისა – ჩეჩნური **დაძნ ლათთა** (ქისტური **დეძ ლათთ**).

**მშიერი მიწა** ხევსურულში ნიშნავს „ხირხატ, მწირ, უნაყოფო მიწას“ (ჭინჭარაული 2005). ამ სინტაგმის ზუსტი შესატყვისია ჩეჩნური **მეცა ლათთა** (ქისტური **მეც ლათთ**) „მშიერი მიწა“.

**ზღავი** ქართულში ნიშნავს ბოსლის იატაკს, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთზე მიწყობილ მრგვალ ხეებს (ან ფიცრებს), იგივეა ზღვეც (ქავთარაძე 1985). ხევსურულში **ზღავი** ქვის იატაკია ბოსელში, კალოზე. **ზღვე** დასტურდება ქართული ენის ბევრ დიალექტში. ამ სიტყვის ხმოვნით განსხვავებული ვარიანტებია **ზღუ** (საბა), **ზღუე** (გურ.)... „ზღავი“ ქისტურში ფუძის სახით არის წარმოდგენილი: **ზღავ**. ეს ლექსემა ქისტურში სავარაუდოდ ხევსურულიდან უნდა

იყოს ნასესხები. **ზღაგ** ქისტურში ნიშნავს ლასტს, წნელის წნულს, რომელსაც ბოსელში აგებდნენ პირუტყვის სადგომად.

ლასტი ქისტურში არის **ძ'წრ** (ჩეჩნური ენის ბარის დიალექტში **ზ'წრა**; ინგუშურში **ზ'წარ**). ლასტისთვის წნელი უფრო წვრილი იყო ზღავის დასამზადებელ წნელთან შედარებით. სხვადასხვა ზომის ლასტს იყენებდნენ ღობის კარებად, ხილის გასაშრობად... ლასტის მნიშვნელობით **ზარ** იძებნება წოვათუშურში. შდრ.: „**მათხეჰა ზარმაჟ ჩირ ბაყოზ**“ „მზეში ლასტზე ჩირს ახმობენ“ (ქადაგიძე 1984“. ბგერობრივად ახლოს დგას ქართულ **ძარა**-სთან (**ძარა** „ურმის ძირითადი ზედა ნაწილი ღერძისა და თვლების გამოკლებით“). არ არის გამორიცხული, რომ ამ ლექსემებს ნახურსა და ქართულში საერთო წარმომავლობა ჰქონდეთ.

„მიწის“ აღმნიშვნელი სიტყვის საინტერესო შესატყვისები იძებნება ნახურ ენებსა და ქართული ენის მთის კილოებში. ჩეჩნურში **ლათთა** „მიწას, ხმელეთს“, ზოგადად, „დედამიწას“ ნიშნავს. ინგუშურში „დედამიწას, პლანეტას“ **ლ'ათთა** ჰქვია. ინგუშური ფორმა ჩეჩნურისაგან ფუძისეული **ა** ხმოვნის უმლაუტით განსხვავდება. ორსავე ენაში **ლათთა**-ს, ფუძისეული მარტივი **ა** ხმოვნით, აქვს მეორე, ზმნური მნიშვნელობაც – „დგომა“. **ლათთა**<sup>5</sup> ჩეჩნურ-ინგუშურში ინფინიტივია.

ბაცბურშიც **ლათთა**<sup>6</sup> „დგომას“ ნიშნავს; შდრ.: **‘უგ ეენ ფენიხ ლათთერ** „მწყემსი ცხვრის გვერდით იდგა“ (ქადაგიძე 1984). ამავე დროს, მოულოდნელია, რომ იმავე ბაცბურში **ლათთ** „ნაგავს“ ნიშნავს და არა „მიწას“. მაგალითი ბაცბურიდან: **„ლათთ ქოყნიე ჰეგ'წ** „ნაგავს ცოცხით გვის“ (ქადაგიძე 1984).

თ. გონიაშვილი 1940 წელს დაბეჭდილ თავის სტატიაში წერს: **ლათთა**-ს წოვურში საგრძნობლად უცვლია მნიშვნელობა და... „ნაგავს“ აღნიშნავს. ამავე სტატიაში მოხმობლია არნ. ჩიქობავას მოსაზრება, რომ ანალოგიური ძირი იპოვება ჰანურში **ლეტა**-ს სახით და „მიწას“ ნიშნავს, ხოლო მეგრულში იგივე **ლეტა** „ტალახის“ მნიშვნელობით იხმარება. დასკვნის სახით ნათქვამია, რომ ჰანურ-მეგრული **ლეტა** ჩაჩნურის ენობრივი წრიდან (და ზოგადად კავკასიურიდან) ჩანს შემოსული [გონიაშვილი 1940, 605-606].

„მიწის“ შესატყვისად ი. გიულდენშტედტს ჩეჩნურში მოაქვს **ლათე**, ინგუშურში – **ლათე**, ბაცბურში – **მოხსტე** (გიულდენშტედტი 1964). ი. გიულდენშტედტს კავკასიურ ენათა ლექსიკური მასალა

ჩაწერილი აქვს კავკასიაში მოგზაურობის დროს 1771 წელს. სიტყვაში **ლათა** „მიწა“ **თ** არის მაგარი ყრუფშვინვიერი დენტალური ხშული და არა მარტივი **თ**, როგორც ეს ი. გიულდენშტედტს აქვს. **ლათა** ფორმა, ფუძისეული მარტივი **თ** თანხმოვნით, სამსავე ნახურ ენაში ნიშნავს „წაჩუბებას, დაჭიდებას“ (ერთ-ერთი მნიშვნელობა), ე. ი. იგი არ გამოხატავს „მიწას“.; შდრ: **ლათა** „მიწა“ – **ლათა** (< **ლათა**<sup>5</sup> < **ლათან**) „დაჭიდება“. ინფინიტივს ნახურ ენებში აწარმოებს -ნ ფორმანტი, რომელიც სუსტდება და ანაზალებს წინა ხმოვანს ჩეჩნურსა და ბაცბურში. ინგუშურში აღნიშნულ ხმოვანს ნაზალობაც დაკარგული აქვს.

ჩვენი ვარაუდით, ი. გიულდენშტედტის მიერ მოხმობილ ჩეჩნურ **ლათე** და ინგუშურ **ლმათე** ფორმებში ბოლოკიდური -**ე** არის **ლათა**<sup>5</sup> „დგომა“ ზმნისაგან აწმყო დროის მაწარმოებელი ფორმანტი. მასასადამე, ვფიქრობთ, **ლათა** ფორმისთვის „მიწის“ მნიშვნელობა მეორეულია და „დგომა, უძრავისაგან“ არის მომდინარე. „დგომა“ ზმნის ჩეჩნური ან ინგუშური შესატყვისი არც ი. გიულდენშტედტის და არც ი. კლაპროტის (კლაპროტი 1814) ლექსიკურ ჩანაწერებში არ ფიქსირდება.

ზემოთ ითქვა, რომ ი. გიულდენშტედტს ბაცბურში „მიწის“ შესატყვისად მოაქვს **იოხსტე**. ქადაგიძეების ლექსიკონში გვაქვს **იოხსტ** // **იოფშტ** (მრ-ში: აბსტაჲრ), განსხვავება ამ ფორმებს შორის ფონეტიკის ფარგლებს არ სცილდება. საინტერესოა, რომ ინგუშურში **იოსთ** „ფხვიერ მიწას“ ნიშნავს (ქურქიევი 2005; ბეკოვა... 2009). როგორც ჩანს, ინგუშურში თანხმოვანთა კომპლექსი არის გამარტივებული: **ბსტ** > **სთ**. ბაცბური **იოხსტ** და ინგუშური **იოსთ** ფუძეები წარმოშობით, სტრუქტურით და სემანტიკით ერთი და იგივე ჩანს. „ფხვიერი“ ჩეჩნურში გადმოიცემა ზედსართავი სახელით **სიემსა**, რომელსაც აქვს „გაბუებულის“, „დაუტკეპნავის“ მნიშვნელობებიც.

„მიწას“ ბაცბურში გამოხატავს ლექსემა **ქაზდარ**; მაგ., **დახკოვ ქაზდარ ახკრ** „თაგვი მიწას თხრის“ (ქადაგიძე 1984). თუშურ დიალექტში **ქაზდარ**<sup>6</sup> არის „სახლის იატაკი ან ეზოს ბანედი“ [ცოცანიძე 2012]. **ქაზდარ**-ი „მიწის იატაკის“ მნიშვნელობით დასტურდება ხევსურულში (ჭინჭარაული 2005), ფშაურში [ქეშიკაშვილი]. ი. ქავთარაძე წერს, რომ მოხეურში **„შუა ყანა** (არის) „მიწის იატაკი, სოხანე (ხევს. **ქაზდარი**), ოთახის შუა ადგილი“ (ქავთარაძე 1985). ბაცბურში

**ქაზდარ**, „მიწის“ მნიშვნელობით, ქართული ენის მთის დიალექტებიდან ჩანს შეთვისებული. ამ ფუძის წარმომავლობა დასადგენია.

მიწის საზომ ერთეულად ქართულში გამოიყენება სიტყვა **დღიური**, ერთი, ორი... **დღიური**. ეს არის „დაახლოებით იმდენი, რასაც ერთ დღეში მოხნავდნენ“ (ქეგელი 1986). „დღიური (მიწა)“ **დღე** სიტყვისაგან –**ურ** ფორმანტით ნაწარმოები სახელია.

ქართულ „დღიურ მიწას“ ქისტურ დიალექტში შეესატყვისება **დე** // **დეე**, რაც ჩეჩნურსა და ბაცბურში „დღეს“ ნიშნავს, ინგუშურში **დი** გვაქვს. ეს ლექსემა ქისტურში გამოხატავს როგორც „დღეს“, დროის მონაკვეთს, ისე მიწის ფართობსაც: **ში დე** ქისტურში არის ერთი ჰექტარი. ფართობის გამოხატვის მნიშვნელობით **დე** // **დი**, ქისტურის გარდა, სხვა ნახურ ენა-დიალექტებში არ იმეზნება. როგორც ჩანს, აღნიშნული მნიშვნელობა ქისტურში ქართულის გავლენით არის დამკვიდრებული.

**გუთნის დედა** მთიულურში არის „კაცი, რომელსაც ხვნაში გუთანს უჭირავს“ (კაიშაური 1967). „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ გვაქვს: **გუთნისდედა** ძველად – მიწის მუშა, რომელიც ხვნის დროს გუთანს მისდევდა უკან და ხელით აწესრიგებდა მის გეზს, ხვნის სიღრმეს და სხვ. მთისა მეცხვარეს ჰკითხე, ბარისა – გუთნისდედასაო“. იგივე სინტაგმა იმავე ფორმითა და სემანტიკით უცვლელად არის შესული ქისტურ დიალექტში. საინტერესოა მისი პოვნეირება ჩეჩნურშიც: **გუოთანა ნანა** „გუთნის დედა“ (მადაევა 1990, 44).

ჩეჩნურ-ინგუშურ ენებში **გუოთანა ჰარზა** „გუთნის ჩიტს“ ნიშნავს. მისი სინონიმია **რხუნა ჰარზა**, რასაც ქართულში შეესატყვისება „ხნულის ჩიტი“. ეს ფრინველი ხვნისას გუთანს მისდევს და ბელტებში ეძებს საკვებს. ქართულში მას ბოლოქანქარასაც ეძახიან. ნათელია, რომ ჩეჩნურ-ინგუშური და ქართული შესატყვისები ერთმანეთის იდენტურია.

**აფხაზური ა-ც („ხარი“) ლექსების შემცველი  
მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული  
ტერმინოლოგიის ეთნოლინგვისტური  
ანალიზისათვის<sup>1</sup>**

აფხაზთა სამიწათმოქმედო ჩვეულებების, მათ შორის სათანადო ლექსიკის, შესახებ მასალა მოიპოვება პ. ჭარაიას, ს. ბახია-ოქრუაშვილის, თ. გვანცელაძის, ნ. ანთელავას და სხვა მკვლევართა ნაშრომებში, მაგრამ ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით ეს საკითხი დეტალურად შესწავლილი არ ყოფილა. მოხსენებაში განხილულია სოფლის მეურნეობის ხსენებულ დარგთან დაკავშირებული ენობრივი ერთეულები, თუმცა, მათი სიმრავლის გამო, ამ ეტაპზე განსახილველად შეირჩა მხოლოდ „ხარის“ აღმნიშვნელი **ა-ც** სიტყვის შემცველი აფხაზური ტერმინოლოგია.

საანალიზო მასალა მოძიებულია ს. ბახია-ოქრუაშვილის „აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონიდან“, ავტორთა კოლექტივის ორტომეული აფხაზურ-რუსული და სამტომეული რუსულ-აფხაზური ლექსიკონებიდან.

მუშა ხარის აღმნიშვნელად აფხაზურში დასტურდება **ანგშა-ცე** (აფხ. **ა-ნგშა** „მიწა“, **ა-ც** „ხარი“), ეტიმოლოგიურად „მიწის ხარი“.

აფხაზური ლექსემა **ა-ც** „ხარი“ ფიგურირებს სახვნელის აღმნიშვნელ ერთეულში: **ა-ცმათა** „კავი, ძველი სახნავი იარაღი“ (აფხ. **ა-ც** „ხარი“, **ა-მათა** „სამოსი“).

კავის სახელურს აფხაზურად ეწოდება **ა-ცმაა** (აფხ. **ა-ც** „ხარი“, **ა-მაა** „სახელური“), სიტყვასიტყვით „ხარის სახელური“. ამავე ფორმისგანაა წაწარმოები „გუთნისდედის“ აღმნიშვნელი აფხაზური სიტყვა **ა-ცმააჰჟე** (**ა-ც** „ხარი“, **ა-მაა** „სახელური“, **ა-ჰ-რა** „ჭერა“, **ჰჟე** – პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი სუფიქსი), სიტყვასიტყვით „ხარის სახელურის დამჭერი“.

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-24-3535).

ლექსემა **ა-ც** „ხარი“ ფიგურირებს სახნისის კიდევ ერთი სახეობის სახელწოდებაში: **ა-ცემა** „სახნისი (მიწის მჭრელი რკინით)“ (აფხ. **ა-ც** „ხარი“, **ა-მა** „რკინა“), ეტიმოლოგიურად „ხარის რკინა“.

**ა-ც** „ხარი“ დასტურდება საკვეთლის აღმნიშვნელ სიტყვაშიც: **ა-ცფგზა** „საკვეთელი, გუთნის ნაწილი, რომელიც ვერტიკალურად ჭრის მიწას“ (აფხ. **ა-ც** „ხარი“, **ა-ფგზა** „წინამძღოლი“).

მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული **ა-ც** „ხარის“ შემცველი ტერმინოლოგია ძირითადად კოლოკაციური წარმოშობის კომპოზიტების სახითაა წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა არსებითი სახელებისგანაა შემდგარი: **ა-ცმათა** „კავი“ (აფხ. **ა-ც** „ხარი“, **ა-მათა** „სამოსი“), **ა-ცემა** „სახნისი“ (აფხ. **ა-ც** „ხარი“, **ა-მა** „რკინა“), ნაწილი კი რთული ზმნისაგან ნაწარმოები მიმდებარა: **ა-ცმააჰჟ** „გუთნისდედა“ (აფხ. **ა-ც** „ხარი“, **ა-მა** „სახელური“, **ა-კ**-რა „ჭერა“, **ჰჟ** – პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი სუფიქსი).